ლონ ქუთათელაძე, რუბენ თავაძე (1904—1941), შოთა მიქაბაძე, კორნელი სანაძე, და სხვ. მალე მათ შემოქმედებითი ახალგაზრდობის სხვა წარმომადგენლებიც მიემხრნენ, მათ შორის, თამარ აბაკელია (1905—1953), ქრისტეფორე გიორგაძე (1907—1957), ლადო გრიგოლია, დიმიტრი თავაძე, მირიან თალაკვაძე, ლადო კეშელავა, სვეტირან გეცხევილი, ლადო ლემონჯავა, დავით ქუთათელაძე, ლადო ქუთათელაძე, ლადო ქიქოძე და სხვა. ხოლო ქართველ მხატვართა საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ, მისი ყოფილი წევრების უმრავლესობაც „სარმას“ შემადგენლობაში შევიდა, ერთი ნაწილი კი რევოლუციურ მხატვართა ასოციაციაში („რევმასი“) გაერთიანდა.

„სარმას“ ოფიციალური გაფორმება 1930 წლის დასაწყისში მოხდა, როდესაც მისი დეკლარაცია გამოქვეყნდა. ამ საზოგადოების ორგანიზატორები აღცხადებდნენ, რომ რევოლუციურ მხატვართა შემოქმედებაში საჭიროა აისახოს საბჭოთა

ხალხის ბრძოლა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების/ ყველა ფორმებზე. ის უნდა განიმსჭვალოს სოციალისტურმა მშენებლობის პათოსით, იძლეოდეს ძველებური ყოფის „გარდაქმნის სურათს, შეებრძოლოს ამ ყოფის გადმოსაშუებს. „ამ ბრძოლას, — ნათქვამი იყო დეკლარაციაში, — საზოგადოებრივი აქტიურობა და სიმრწვევე უნდა ახასიათებდეს“.

მოუწოდებდა რა საქართველოს მხატვართა კოლექტივის ზრდას და გაჯანსაღების მიზნით მისი რიგების ახალი ძალებით შევსებისაკენ, დეკლარაცია პირობას იძლეოდა: „ჩვენ უმჭიდროეს კავშირს დგამაყრებით მუშებისა და გლეხების თვითმოქმედ წრებთან, შევეცდებით, რომ მათი წრიდან შეექმნათ მხატვართა ახალი კადრები... მაქსიმალურად შევეწყობთ ხელს ჩვენს რიგებში ყველაზე ნიჭიერი რევოლუციური ახალგაზრდობის მიზიდვას...“

თავისი ეს დაპირება „სარმამ“ ნამდვილად განახორციელა და ამავაი მისი ერთ-ერთი მთავარი დამსახურება. ის სისტემატურად აწყობდა მორჩავე გამოფენებს, შემოქმედებით განხილვებსა და საუბრებს. თავის ირველივე შემოიკრიბა ნუშა და სოფლის ახალგაზრდობა, დიდ დახმარებას უწევდა სახვითი ხელოვნების თვითმოქმედ წრეებს. მთელი ეს მუშაობა იმითაც იყო საგულისხმო, რომ ამ გზით თვითონ მხატვრებიც უფრო ახლოს ეცნობოდნენ მშრომელთა ყოფას, მათ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, რაც მათ შემოქმედებას ახალი თემებით და სახეებით ამდიდრებდა.


„სარმამ“ დიდი ამაგი დასდო ქართული სახვითი ხელოვნების სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან დაახლოებისათვის ბრძოლის საქმეს. ყველაზე მჯავიოდ ეს მის მიერ გამართულ გამოფენაზე გამოჩნდა. პირველი ასეთი გამოფენა 1930 წელსვე მოეწყო. არსებითი აქ ის იყო, რომ მისი ექსპოზიცია ძირითადად იმ ნაწარმოებებისაგან შედგებოდა, რომლებშიც ასახვა ჰპოვა სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა გარდაქმნებმა. ამ ტენდენციამ კიდევ უფრო სრული და ჩამოყალიბებული სახე მიიღო 1931 წლის გამოფენაზე, რომელსაც საეტაპო შეიძლება ვუწოდოთ.

1931 წლის გამოფენა სრულ წარმოდგენას იძლეოდა იმაზე, თუ როგორ ამაღლდა საქართველოს მხატვართა შემოქმედების საერთო დონე მას შემდეგ, რაც ისინი პირველად ჩაებნენ საბჭოთა ხელოვნების მშენებლობაში. მაგრამ გამოფენას რეტროსპექტიული ხასიათი როდი ჰქონდა. პირიქით, აქ მაყურებელმა მხოლოდ ახალი ნაწარმოებები იხილა და ამასთან მანამდე მისთვის უცნობი ბევრი მხატვრის შემოქმედებას გაეცნო. იგი გარკვეულად განსხვავებულად წინა გამოფენისაგან. მას ბევრად უფრო მეტი მონაწილე ჰყავდა; ექსპოზიციის მასშტაბიც გაიზარდა. წარსულთან შედარებით, როდესაც ფერწერა შთანთქმავდა ყველაფერს, აქ საკმარისი სისრული წარმოდგენილი იყო სახვითი ხელოვნების ყველა სხვა ძირითადი დარგიც — ქანდაკება, გრაფიკა, პლაკატი და თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება.

მაგრამ მთავარი მაინც გამოფენის იდეური მოზარწარავა იყო. მხატვართა ყურადღება მრავალმა აქტუალურმა თემამ მიიქცია. ამ თემების შერჩევაში მათ გამოამყვადნეს ახლის გრძობა, თანამოქმედოების იდეალებისათვის თავდადება, გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწარმოებებში ასახვა ჰპოვა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის ჰეროიკამ, ახლებური ყოფის მრავალმა მნიშვნელოვანმა მხარემ. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, მაგალითად, მოსე თითის

ფერწერული ტილოები — „ჭიათურელი მემადაროელები“ და „ჭიათურა“, ალექსანდრე მრეველიშვილის „დასვენების დღე“, ლადო გუდიაშვილის „ანდემიტი“, კოტე გეგლიშვილის „კასპის ცემენტის ქარხანა“ და „ჩაის დარგვა“, კოტე კინკიძის „სოფლად“, სვერიან მისისაშვილის „ვინ — ვის?“ და „სამთავისის კომუნა“, კორნელი სანაძის — „მშენებლობაზე“ და „მანდარინების საბჭოთა მეურნეობაში“, დავით წერეთლის „საკოლმეურნეო ბრიგადა“, კოტე ხუციშვილის „სამწყობო ცეხი“, უჩა ჯაფარიძის „ძველი და ახალი“ და სხვ. ქანდაკებებს შორის საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა რევოლუციური მოღვაწეთა ძეგლების პროექტები, რაც მინუშენტური პრობაგანდის ლენინური იდეის განხორციელებაში ქართველ მხატვართა ნაყოფიერ მონაწილეობას მოასწავებდა. არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის პროექტები შექმნეს იაკობ ნიკოლაძემ, ვალერიან თოფურაძემ და შოთა მიქაბაძემ, ელბაძისა — ნიკოლოზ კანდელაკმა, რუბენ თავაძემ და კოტე მერაბიშვილმა. ამ ნაწარმოებებს გვერდს უშევენ — და იაკობ ნიკოლაძის კარლ მარტის ძეგლის პროექტი, ვ. თოფურაძის — „მუშა“, შ. მიქაბაძის „კოლმეურნე ქალი“, ლადო გრიგოლიას — „მუშა“ და სხვ. მრავალფეროვანი იყო გრაფიკაც, რომელიც წარმოდგენილი იყო თემბურთი კომპოზიციების (ლადო გუდიაშვილის „კულაკის შურისძიება“, ვლ. კემულავას „ჩაის კრეფა“ და სხვ.), წიგნის ილუსტრაციების (სვერიან კეცხოველის, სვერიან მისისაშვილისა და სხვ.), პლაკატის (აპოლონ ქუთათელაძისა და სხვ.) და სხვათა სახით. აქვე იყო დიმიტრი თავაძის თეატრალური ესკიზებიც.

1931 წლის გამოფენამ ნაყოფიერი ნიადაგი მოაზადა ქართული სახვითი ხელოვნების აღმავლობისათვის, მისი შემდგომი შემოქმედებითი ამოცანების განსაზღვრისათვის. ეს ამოცანები მხოლოდ მოპოვებულ მიღწევათა განსოგადობებანავითარებაში როდი მდგომარეობდა. გამოფენამ ცხადი გახადა, რომ რესპუბლიკის მხატვართა შემოქმედებაში ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სიცოცხლისუნარიანობა ზოგიერთ იმ მოვლენას, რომელიც ბოჭვავა მას, არ აძლევდა მას, ფართო გასაქანს. თემის ზერულე გახსნა, მისი არასაკმაო დამუშავება და განვითარება გამოფენაზე წარმოდგენილ ბევრ ექსპონატში შეინიშნებოდა. აქა-იქ ისევ გვხვდებოდა სტილიზატორული



ზ. გოგოლაშვილი

დასვენება


ტიქდენცია, ნაძალადევი პრიმიტიულობა. ყოველივე ეს სახეებით გასაგებს ხდოდა იმას, რომ მხატვართა მორიგ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა იდეური ზრდის ორგანული დაკავშირება რეალისტური მხატვრული ოსტატობისათვის ბრძოლასთან.

მაგრამ „სარამა“ ვერ უზრუნველყო ამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა. თუმცა მისმა დეკლარაციამ ეს საკითხი დააყენა და მისი გადაჭრისათვის კონკრეტული ღონისძიებებიც კი დასახა, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა გვიჩვენა. პროლეტარული რეალიზმის ლოზუნგი, რომელიც ამ დეკლარაციის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, პრაქტიკულად სულ სხვას ნიშნავდა, ვიდრე ეს საფიქ-

დ. ხანუტაშვილი

სამუშაო დარბონება





ბ. ხახვაძე ქალშევის პორტრეტი

რებელი იყო. დაძლია მაინც მისმა ფსევდონომატორულმა ინტერპრეტაციამ, ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში რეალიზმის როლის გარკვეულმა შეუფასებლობამ. ამ ნიადაგზე „სარმასი“ დაჯგუფებები წარმოიშვა, იგი მრავალი წინააღმდეგობის წინაშე აღდგა. მდგომარეობას ამწევენდა კიდევ ისიც, რომ შემოქმედებითი საკითხების გადაჭრაში სარმას ხელმძღვანელობა სულ უფრო დგებდა ადმინისტრირების გზაზე, ვერ იხენდა სათანადო იდეურ სიფხიზლეს და პრინციპულობას, ანტირეალისტურ მიმდინარეობათა მიმართ. ყოველივე ამან არაქანსალი ატმოსფერო შექმნა, რის გამოც „სარმას“ თნდათანობით ჩამოშორდა ბევრი წამყვანი მხატვარი, საგრძნობლად შესუსტდა მისი რეალისტური ფრთა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „სარმა“, როგორც სამხატვრო ორგანიზაცია მოაღწია ბოლოს და ბოლოს, დაბრკოლებდ იქცა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების გზაზე.

ამ მხრივ უფრო პერსპექტიული იყო „სარმას“ პარალელურად არსებული რევოლუციურ მხატვართა ასოციაციის („რევმასის“) საქმიანობა. ამ სამხატვრო ორგანიზაციის მთავარი შემოქმედებითი ხაზი ქართულ სახვით ხელოვნებაში რეალისტური პრინციპების აღდგა იყო. აქ გაერთიანებული იყვნენ მოსე თოიძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, გრიგოლ მესხი, ივანე

წვხვაძე, ვასილ კროტკოვი, გიგო შერბაბიანი, ირაკლი შიშინი, სილოვან კაკაბაძე და სხვ. „რევმასი“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული რევოლუციური რუსეთის მხატვართა ასოციაციასთან (ასრ), რაც ცხადყოფდა ამ სამხატვრო ორგანიზაციების მიზნებისა და ინტერესების ერთიანობას. მაგრამ რევმასს არ დასცალდა მოღვაწეობის ფართოდ გაშლა. უკვე 1931 წლის მეორე ნახევარში მისი დაშლა გარდუვლი გახდა: ნაწილობრივ მის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა გამო, უმთავრესად კი „სარმას“ უკუქმედობის მეოხებით, რომელიც უფრო ძლიერი და გავლენიანი სამხატვრო ორგანიზაცია იყო. „რევმასის“ ერთი ნაწილი — უბირატესად მისი ახალგაზრდული ფრთა „სარმას“ შეუერთდა.

1932 წლის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს პროლეტარული მხატვრების ასოციაცია. მხატვართა რიგების შეკავშირების ნაცვლად, ამ ასოციაციამ კიდევ უფრო გაამწვავა შინაგანი წინააღმდეგობანი და მალე გადაიქცა ისეთ სამხატვრო ორგანიზაციად, რომელიც დაუპირისპირდა სამხატვრო საზოგადოებრიობის ძირითად მასას.

* * *

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“ ბოლო მოუღო იმ არაქანსად მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ხელოვნების ფრონტზე ოცდაათიანი წლების დასაწყისში. ამ ისტორიული დადგენილების ცხოვრებაში გატარებამ რეალური პირობები შექმნა როგორც მთელს საბჭოთა, ისე ქართულ ხელოვნებაშიც, შემოქმედებითი ძალების გაერთიანებისათვის.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი, რომელმაც შესცვალა განცალკევებული შემოქმედებითი დაჯგუფებანი, იმ ერთადერთ სიცოცხლისუნარიან სამხატვრო ორგანიზაციად მოგვევლინა, რომელსაც ნამდვილად შეეძლო ქართული სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი ძალების გაერთიანება, მისი დაუბრკოლებელი ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. სწორედ ეს ამოცანა დაუსახა მას საქართველოს მხატვრების პირველმა ყრილობამ, რომელიც 1933 წელს ჩატარდა.

მხატვართა კავშირები სხვა მომხმ რესპუბლიკებშიც ჩამოყალიბდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მრავალეროვანი საბჭოთა სახვითი ხელოვნების რიგების შემჭიდროვებისათვის. ეს კავშირები მჭიდროდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს თანამშრომლობისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების საფუძველზე. ამან კიდევ უფრო მეტად გაზარდა საკავშირო სამხატვრო გამოფენების მნიშვნელობა, რომლებიც მთელი საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიღწევების დემონსტრირებისათვის იყო მოწოდებული. სულ უფრო შესამწევნი ხდება ამ გამოფენებზე საქართველოს მხატვრების მონაწილეობა. 1933 წელს გამართული საკავშირო სამხატვრო გამოფენა მუშურ-გლეხური წითელი არმიის 15 წლისთავს მიეძღვნა. აქ ექსპონირებული იყო ახოლონ ქუთათელაძის ფერწერული ტლო „წითელარმიელთა მიერ რადიკოვანის მოწყობა სვანეთში“, დაშინ ნადარეიშვილის „შეხვედრა თბიშში“, ირაკლი თოიძის „ლუწის აჯანყება“, უნა ჯაფარიძის „წითელარმიელი კოლმუწერეთაში“ და სხვ. ამ ნაწარმოებებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს, რაც არა მარტო მათი ავტორების, არამედ მთელი ქართული სახვითი ხელოვნების უღაგო წარმატება იყო.

სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის იუბილე რესპუბლიკური სახმატრო გამოფენის მოწყობითაც აღინიშნა. ამ გამოფენამ ჩვენს მხატვრებს ახალი გამარჯვებები მოუტანა, განსაკუთრებით თემატური კომპოზიციების შექმნის დარგში. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსე თოთის „წითელი არმია მამისონის პულტერნილზე“ და „წითელი კუთხე“, ვალერიან სიღამონ-ურისთვის — „წითელარმიელის გადასვლა მდინარეზე“ და „წითელარმიელები კოლმეურნეობაში“, კოტე გძელიშვილის — „სტუმრად წითელარმიელებთან“, ლალო ლემონავას — „1917 წელი“, გიორგი ჯაშის „წითელარმიელები კოლმეურნეობაში“, ვალენტინ შერპილოვის „კოლმეურნეობის დასახმარებლად“, გივი გულისაშვილის „სადარაჯოზე“ და სხვ. ქართული ქანდაკების მნიშვნელოვანი შენაძენი იყო იაკ აბ ნიკოლაძის პორტრეტული ნაწარმოებები „გ. ი. ლენინი“ და „კარლ მარქსი“.

1933 წელს თბილისში კიდევ ერთი დიდი სამხატვრო გამოფენა გაიმართა, რომელსაც ეყოდა „პირველი ხუთწლიანი ქართული სახვითი ხელოვნებაში“. გაითვალისწინეს რა წარსულის შეცდომები, გამოფენის თაოსნებმა მეტი მომთხოვნელობა გასთიჩინეს ნაწარმოებების მხატვრული ღირსებისა და პროფესიული დონის მიხარით. ამან თავისი დადებითი ნაყოფი გამოიღო იმ მხრივ, რომ უფრო სრულად გასიჩხდა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ცხოვრების ღრმა და დაფიქრებულად შესწავლის შედეგს წარმოადგენდნენ. ამასთან ნაწარმოებთა შესრულებაში ხათლად გამოიქვანებდა დახვეწილი მხატვრული ფორმებისაკენ სწრაფვა. სწორედ ეს თვისებები ახასიათებდა მოსე თოთის ფერწერულ კომპოზიციას „სახელოვანი“, სამსონ ნადარეიშვილის — „ძველი და ახალი“, კოტე გძელიშვილის — „რამის პლანტაცია ნოსირში“, გიორგი სესიაშვილის საქანდაკო ჯგუფს „მიჯნის ამოგდება“ და სხვ.


პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, ქართული სახვითი ხელოვნების დარგში მოსიძარმა არსებითმა ცვლილებებმა სრულყოფილი გამოსატყულება 1934 წლის სამხატვრო გამოფენაზე პოვეს. ეს გამოფენა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ცამეტე წლისთვის მიეძღვნა და ამ ხნის განმავლობაში მის მიერ მოპოვებული მიღწევების ჩვენებას ითვალისწინებდა. თუმცა მას რეტროსპექტული ხასიათი ჰქონდა, მისი ექსპოზიციის უდიდეს ნაწილს მაინც ახალი ნაწარმოებები შეადგენდა, რაც თავისთავად ბევრის მოქმედი გამოფენამ ყველასათვის ცხადი გახადა, რომ ქართველ მხატვართა შემოქმედებებში უკვე ძირითადი გახდა მოვ-



ლ. ცოქია ამათ ქანდაკების პორტრეტი

ლენინის რეალისტური ხილვა, და თუ სადმე კიდევ ჩანდა ამ გზიდან გადახვევის ცდები, ეს მხოლოდ ცალკეულ, არატიპურ შემთხვევას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის საგულისხმო ფაქტი, რომ გამოფენის ექსპოზიციის საპატიო ადგილი დაეთმო გიგო გაბაშვილის და ალექსანდრე მრეველიშვილის ნაწარმოებებს. ამით თითქოს ხაზგასმით აღინიშნა ის, თუ როგორი უწყვეტი ჯაჭვი გაიბა ქართული ეროვნული მხატვრული კულტურის შესანიშნავ რეალისტურ ტრადიციებსა და თანამედროვეობის შემოქმედების ძიებებს შორის. მკვეთრად გამოჩნდა გამოფენის ყოველი მონაწილის შემოქმედებითი სახე, მხატვრული ინდივიდუალობის

წ. კაპიევი



სამე



მ. თოიძე

სიმღერა სამშობლოზე

ფორმირების თავისებურება. სიმპტომატური ის იყო, რომ წარსულ წლებში შერატლებული ნაწარმოებებიდან მათ სწორედ ისეთები გამოფინეს, რომლებშიც ცოტად თუ ბევრად რეალისტური მიდრეკილება ჩანდა. ეს კი თანამედროვე მიღწევება სიმალლიდან განსვლილი გზის გადასინჯვას, ხელახალ შეფასებას ნიშნავდა, რაც ქართული სახვითი ხელოვნების იდეურებისა და ჭკუმიარტი მხატვრობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომავალი იყო.

მხატვართა შემოქმედებით ნაყოფიერებაზე და აქტიურობაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ერთი წლის შემდეგ მათ კვლავ ახალი სამხატვრო გამოფენის გამართვა შესძლეს. ეს გამოფენა მრავალმხრივ საყურადღებო იყო და შეიცავდა ბევრ ისეთ ნაწარმოებს, რომლებშიც ქართული სახვითი ხელოვნების ძირითად ფონდში შევიდა: იაკობ ნიკოლაძის „ვ. ი. ლენინი“, ნიკო კანდელაკის მხედარიმთავარ მ. ლევანდოვისა და მხატვარ ლეო გუდიანოვის პორტრეტები, ქეთევან მაღალაშვილის ფერწერული პორტრეტები — „შალვა ამირანაშვილი“ და „ელენე ასვლედიანი“, სვერიან მაისაშვილის გრაფიკული კომპოზიციები, ელენე ასვლედიანის ილუსტრაციები მამუკაშვილი წიგნებისათვის და სხვ. დავით კაკაბაძის შემოქმედებები მომხდარ დადებით ძვრებზე მეტყველებდა მისი ჩანახატები რიონჰესის თემაზე, რომლებსაც პეიზაჟური ფერწერის დარგში სანატრესო ძიებანი მოჰყვა. იმდროინდელი მონუმენტური ქანდაკების უდავო მიღწევა იყო რუმუნ თავაძის და კოტე მერაბიშვილის მიერ შექმნილი ბორის ძნელაძის ძეგლი, ვალიკო თოფურაძის — ლალო კეცხოველის ძეგლი და სხვ.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისში ჩვენი მხატვრების ყურადღება მიიზიდა ისტორიულ-რევოლუციური წარსულის და საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის თემებმა. ამ თემებზე მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების არსებითი ნიშნების საბოლოო დადგენისათვის. მაღალი იდეურობით გამსჭვალული შემოქმედებითი ძიების შედეგად შეიქმნა მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო ფერწერული, სკულპტურული და გრაფიკული ნაწარმოებები, რამაც რესპუბლიკის მხატვართა მთელი კოლექტივი საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიწინავეთა რიგებში ჩააყენა. ამ ნაწარმოებებს ბევრი ქართველი მხატვრის შემოქმედების ფორმირებაში საეჭვოპი როლი მიენიჭა. 1936 წელს ეს ნაწარმოებები ექსპონირებული იყო სპეციალურ სამხატვრო გამოფენაზე, რომელიც შეესაბამებოდა გადასახლისებელი სახით ნაჩვენები იქნა შემდეგ მოსკოვ-



ში, ლენინგრადში და ხარკოვში. გამოფენას ფართო გამოხატულება ჰქონდა და ამ ქალაქებში მისი მოწვევით კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი მხატვრების შემოქმედებითი კავშირი საბჭოთა კუეყნის მხატვართა კოლექტივებთან.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში რესპუბლიკის სამხატვრო ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. 1937 წელს ქართველმა ხალხმა იზეიმა შოთა რუსთაველის გენიალური პიემის 750 წლისთავი, ხოლო მომდევნო წლებში — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას და სხვ. იუბილე. ყველა ეს დღესასწაული ჩვენი მხატვრების აქტიური მონაწილეობით ჩატარდა. შეიქმნა ბევრი ახალი ნაწარმოები. ამავე პერიოდში არაერთი და ორი სამხატვრო გამოფენა მოეწყო, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს XX წლისთავის აღნიშნავი გამოფენა. ამასთან რესპუბლიკის მხატვრები სულ უფრო გაბედულად და წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო სამხატვრო გამოფენებზეც („სოციალისტის ინდუსტრია“, „ლენინური კომკავშირის XX წლისთავი“ და სხვ.)

ამგვარად, თავისი არსებობის პირველი ოცი წელი ქართულმა საბჭოთა სახვითმა ხელოვნებმა საგულისწლო გამარჯვებებით დაასრულა. როგორც დავინახეთ, ამ გამარჯვებათა დიდი ნაწილი ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარს ხვდება, როდესაც საქართველოს მხატვართა კოლექტივი თავისი შემოქმედებითი მოწინავეების ხანაში შევიდა.

თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების დაცკვეული დარგებისა და ჟანრების მიღწევებს, მაშინ უცუკალად უნდა დავასახელოთ ფერწერაში: მრავალფეროვანი კომპოზიციების შორის — აპოლის ქეთათელაძის „მათუშის მუშათა პოლიტიკური დემონსტრაცია“ და „სტრეო ორჯონიძე პარტიზანებთან“, უჩა ჯაფარიძის „აპრილის კონფერენცია“ და „საპარტელის დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს“, სამსონ ნადარეჟიშვილის „დისკუსია ჭიათურაში“ და „ოჯახის სიხარული“, პეტრე ბლოტიკინის „რაკოვის თათირი“ და „კარნავალი ორჯონიძის სახელობის კულტურისა და მუსიკების პარკში“, ივანე ვეფხვაძის „თბილისის დეგობის დეგობის რევოლუციური გამოსვლა“, ირაკლი თითძის „სტალინი რიონჰესის მშენებლობაზე“, სვერიან მაისაშვილის — „გიორგი სააკაძე ბრძოლის ველზე“ და სხვ., პორტრეტებს შორის — ქეთო მაღალაშვილის „ვერიკო ანჯაფარიძე“ და „სოლოკო ვირსალაძე“, მოსე თითძის „სტახანოვილი“, უჩა ჯაფარიძის „ზაქარია ფალიაშვილი“ და „ახალგაზრდა კოლმურენე“, კორნელი სანაძის „ავტობორტრეტი“, კოტე კიკნაძის „სტახანოვილი ქალი“, ვლენტი შერპილოვის „აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი“ და სხვ., პეიზაჟებს შორის — ალექსანდრე ცინკაერძის, შალვა მამალაძის, დავით კაკაბაძის, ელენე ასვლედიანის, კოტე გელიშვილის, ვახტანგ ჯაფარიძის, იორამ მაშალაძის და სხვათა ფერწერული ტილოები.

ორმოციანი წლების დასაწყისისათვის მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა მოპოვებული ქართველი ქანდაკებასაც. ამას მოწმობს ი. ნიკოლაძის „დიადი ძაბუკი“, „შოთა რუსთაველი“, „ილია ჭავჭავაძე“ და სხვ., ნ. კანდელაკის — „ი. ბ. ბატალი“ და „შემადროე“, თ. აბაკელიას მრავალფეროვანი ხანდაზღვევითი ფიქსი, რომელმაც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტრუქციის საქართველოს ფილიალის შენობის ფსადლი დაამშენა, ვ. თოფურაძის — „კოლმურების ოჯახი“, შ. მიქიტაძის „შვილის პორტრეტი“, რ. თავაძის „ზაქარია ფალიაშვილი“

და სხვ. ამავე პერიოდში კ. მკრამიშვილმა შექმნა შოთა რუს-თავლის ძეგლი, რომელიც 1942 წელს აღიდა თბილისში.

ქართული გრაფიკის განვითარების თავისებურებას და სიძლიერეს ასახავდნენ სერგო ქობულაძის ილუსტრაციები შექსპირის ტრაგედიებისა და რუსთაველის პოემისათვის, თამარ აბაკელიას — სომხური ეპიკური პოემისათვის „დავით ასანუცი“, ირაკლი თოიძისა — „გუფხისტყაოსნისათვის“, იოსებ გაბაშვილის, ლადო გრიგოლიას, ლადო გუღიაშვილის, ლადო ქუთათელაძის და სხვათა წიგნების გაფორმებაში, დავით ქუთათელაძის, ვლადიმერ კუმულავის, ნიკოლოზ ჩერნიშკოვის, არამ კოჯორიანის და სხვების დაზუსტური გრაფიკა.

საბჭოთა პერიოდში სწრაფი განვითარების გზას დაიკა თეატრალურ-დრამატული მხატვრობა, რომელმაც სულ ორი ათწლეული წლის მანძილზე მდიდარი შემოქმედებითი გამოღვივების დაგროვება შესძლო და მაღალ პროფესიულ დონეს მიაღწია. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ვალერიან სიდაშინ-ურისთვის, ირაკლი გამრეკელს, დავით კაკაბაძეს, სოლოკო ვირსალაძეს, პეტრე ოცულს, სერგო ქობულაძეს, თამარ აბაკელიას, ელენე ახვლედიანს, დიმიტრი თავაძეს, თამარ თავაძეს, მიხეილ გოცირიძეს, სასმინ ნადარეიშვილს, კონრედი სანაძეს, ნიკო ყაზბეგს, იოსებ შარლენას, ირინე შტენინგერს და სხვებს. ქართულ კინემატოგრაფიის წარმატებების უშუალო მონაწილენი გახდნენ შალვა მამალაძე, სიმონ ვაჟაძე, რევაზ მირზაშვილი, თამარ აბაკელია და სხვ.



სამაშულო ომის წლებში ქართულმა სახეობამ ხელფეხებამ ნაყოფიერი შვილი შეიტანა გამარჯვების საქმეში. ომის პირველი დღეებიდანვე არაერთმა მხატვარმა შესცვალა ფუნჯი და საჭრეთელი საბრძოლო იარაღით და გვერდში ამოუდგა გმირული საბჭოთა არმიის მებრძოლებს. ზურგში მყოფი მხატვრები დიდ პატრიოტულ საქმეს ეწეოდნენ: იმართებდნენ სამხატვრო გამოფენებს, ფრონტზე გაიგზავნენ მხატვრების ბრიგადები, გამოიყა პლაკატები, გახტოველდა საავტოგაციო ხასიათის მხატვრობა. საქმდის „ფანჯრები“ და პლაკატების სერია „ხიშტი“ და კალმით“ სისტემატურად აცნობდნენ ფართო საზოგადოებრიობას ბრძოლის ველზე მომხდარ ამბებს და საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის მაგალითებს; ამასთან არ შენელებულა შემოქმედებითი მუშაობაც.

საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველ მხატვართა შემოქმედების ცენტრალური თემა გახდა ომისა და ომისშემდგომობისათვის შორის უნდა აღინიშნოს შექმნილ ფერწერულ ნაწარმოებთა შორის უნდა აღინიშნოს სასმინ ნადარეიშვილის „გმირის სადიდებლად“, რევაზ მირზაშვილის „უღელტეხილის დამცველები“, შალვა მამალაშვილის „ნაყოფიერი ნადირობა“, შოთა მებტრეველის „დივერსანტის შეპყრობა“, მოსე თოიძის „სასიხარულო ამბავი“ და „თბილისელი ქალები ამზადებენ საჩუქრებს ფრონტზე გასაგზავნად“, აპოლონ ქუთათელაძის „გენერალი ლეიფ-ლიძე მებრძოლებთან“, უჩა ჯაფარიძის „დაჭრილის მოწოდება“, გიორგი ჯაშის „საბჭოთა კავშირის გმირი ირაკლი ციციშვილი“, ქეთო მაღალაშვილის „საბჭოთა არმიის მებრძოლი“ და სხვ. ამ თემაზე ბევრი საგულისხმო ნაწარმოები შეიქმნა ქანდაკებაშიც. შოთა მიქატაბიას, ორფიგურაიანა კომპოზიცია „სამშობლო გეპახისი“, იაკობ ნიკოლაძის — გენერლების ლესკიძის, ჩანჩინაძის და თავართქილაძის პორ-

ტრეტები, ნიკო კანდელაკის — საბჭოთა კავშირის მარშლის თედორე ტოლბუხინისა და საბჭოთა კავშირის გმირის დავით ბეჭრადის პორტრეტები, ტიტუტ სიხარულიძის — გენერალ ყუფარაძის პორტრეტი, რომან შეროზიას — საბჭოთა კავშირის გმირის ქანთარიას პორტრეტი და სხვ.

დიდი სამაშულო ომის პერიოდში ქართველი მხატვრები თემებს იღებდნენ არა მარტო თანამედროვეობის მასალიდან, არამედ მშობლიური ხალხის გმირული წარსულიდანაც, ასე, მაგალითად, მოსე თოიძემ შექმნა ფერწერული ტილო „ერეკლე მთიერე“, აპოლონ ქუთათელაძემ — „გიორგი სააკაძე ბრძოლის წინ“, სვეტირან მამისაშვილმა — „კრწანისის ბრძოლა“ და სხვ.

ქართველ მხატვრებს მათ წინაშე მდგარი ახალი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტაში გზას უნათებდა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1946 წელს მიღებული დადგენილებები ლიტერატურისა და ხელოვნების საქმიანებზე. ამ დადგენილებებში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარების პირობებში ლიტერატურასა და ხელოვნებას უნდა შევლევოდა უნდა სი პარტული და სახელმწიფოებრივი საქმე აქვს დაკისრებული — იდეოლოგიური მუშაობის სხვა დარგებთან ერთად ხელი შეუწყოს საბჭოთა ხალხის, კერძოდ ახალგაზრდობის, სოციალისტური შეგნებისა და კულტურული დონის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. ამასთან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დავით ს. სერიოზოვი ნაკლოვანებები და მავნე ტენდენციები, რომლებმაც თავი იჩინეს ომის შემდეგ ზოგიერთი ჩვენი მწერლის და ხელოვნების მუშაკის შემოქმედებაში: ისინი თანამედროვეობას მოწყდნენ, უდიდესი ტყვეობაში ჩავადნენ.


ამის სამშორების წინაშე ჩვენი მხატვრების ერთი ნაწილიც იდგა, რომლებიც გაიტაცა ფრაგმენტული ხასიათის სახეობითი ამოცანების გადაწყვეტაში, საზოგადოებრივ მნიშვნელობის მოკლებულმა სემატურმა სოფაფიქრებისა. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალურმა დადგენილებამ 1948 წელს, კონკრეტული დონისძიებები დასახა რესპუბლიკის მხატვართა შემდგომი იდეური და პროფესიული ზრდის უზრუნველსაყოფად, იმ მიღწევათა განზოგადებისა და განვითარების საფუძველზე, რომლებიც მათ ქონდათ მოპოვებული.

ეს მიღწევები კი, მართლაც, მეტად საგულისხმო იყო. ამის დასადასტურებლად საკმარისია თქვას, რომ სწორედ ორმოციანი წლების მეორე ნახევარში იაკობ ნიკოლაძემ შექ-

ა. ციმაკურიძე

ქიშხე 10





ს. დაბაშიძე

სავთის ქაბოლილივი

მნა თავისი შესანიშნავი ქანდაკებები — „XII საუკუნის ქართული პოეტი-მოაზროვნე ჩახრუსაძე“ და „ლენინი — ისკრის“ დამარსებელი“, რისთვისაც მას სტალინური პრემიები მიენიჭა; ვალენტინ თოფურიძემ — „გამარჯვება“, რომერტ სტურუამ მონუმენტური ფერწერული კომპოზიცია „გამარჯვების დღესასწაული“, რომელიც აგრეთვე სტალინური პრემიით აღინიშნა; სტალინური პრემიები დაიმსახურეს ირაკლი თოიძემ — „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ და „საქართველოს ისტორიის“ დასურათებისათვის, ალექსი ვეფხვაძემ სურათისათვის „სტალინის გაგზავნა გადასახლებაში ბათუმიდან“, სოლიკო ვირსალაძემ — „ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტ „რაიმონდის“ და ოპერა „ტარასის ოჯახის“ მხატვრული გაფორმებისათვის, სერგო ჭიბულაძემ — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტ „სინათლეს“ და ოპერის — „ამბავი ტარიელისა“ მხატვრული გაფორმებისათვის. თეატრის მხატვრებს შორის სტალინური პრემიები მიენიჭა აგრეთვე დიმიტრი თავაძეს, იოსებ სუმბათაშვილს და ფარნაოზ ლაბიაშვილს. ქართული სახვითი ხელოვნების უდავო წარმატება იყო მოსე თოიძის ფერწერული ტილო „გამარჯვების სიმღერა“, გიორგი ჯაშის „ზეიმი კოლმეურნობაში“, ქეთო მალალაშვილის „სერგო ზაქარიაძე“, უჩა ჯაფარიძის „იოსებ იმედაშვილი“.

რ. ციხელაშვილი



ქაჩანაში

ქართული გრაფიკის მნიშვნელოვან მონაბოვარს წარმოადგენდა დავით ქუთათელაძის ოფორტები, შალვა ცხადაძის ლითოგრაფიები, თამარ აბაკელიას ილუსტრაციები ვეფხვაძის კვლას პოემებისათვის, იოსებ გაბაშვილის საბავშვო წიგნების დასურათება, ალექსანდრე ნაცვლიშვილის ოფორტები ინდუსტრიულ თემებზე და სხვ.

50-ნი წლების დასაწყისში რესპუბლიკის მხატვართა კოლექტივმა დაიწყო ახალი დიდი სამხატვრო გამოფენისათვის მზადება. ბევრი მათგანი გაემგზავრა შემოქმედების მივლინებაში — მსხვილ საწარმოებსა და ახალ მშენებლობებზე, კოლმეურნოებებსა და საბჭოთა მეურნეობებში, არა თავიანთ სახელოსნოებში, კარჩაკეტვითა, არამედ ცხოვრებაში იწყეს მათ მომავალი ნაწარმოებებისათვის მასალის შეგროვება.

ყოველდღე ანა, ცხადია, ბევრი შემატა მათს შემოქმედებით გამოცდილებას, აღძრა ცოცხალი ინტერესი და სურვილი უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ ცხოვრების მასალას. ამ მხრივ რაოდენ მეტყველი იყო, მაგალითად, ელენე ახვლედიანისა და ქეთევან მალალაშვილის თაოსნობა, რომლებმაც ბრიგადები შეადგინეს მხატვრებისაგან და ეტიუდებისა და ჩანახატების შესასრულებლად მიემგზავრებოდნენ ახალ მშენებლობაზე — სამფორმენზე, ვანათმშენზე, ბულაჩაურის წყალსადენისა და ორთაჭალის ჰესის მშენებლობაზე და სხვ. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ხშირი სტუმრები იყვნენ ფერმწერლები — ბიძინა გორჯაძე და ალექსანდრე ჟღენტი, გრაფიკოსები დავით ქუთათელაძე და ალექსანდრე ნაცვლიშვილი (1919—1953).

კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობებში მივლინებების დროს მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო მასალა შეაგროვეს მხატვრებმა აპოლონ ქუთათელაძემ, კოტე გქელიშვილმა, კორნელი სანაძემ, გრიგოლ ჩირინაშვილმა, სვეტირან მისასვილმა, ვლადიმერ ტოროტაძემ, ვახტანგ ჯაფარიძემ, შალვა მაცაშვილმა და სხვ.

საქართველოს მხატვრების შემოქმედებითი კოლექტივის ცხოვრებაში საგულისხმო მოვლენა იყო სამხატვრო გამოფენები, რომლებიც იმართებოდა საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეასა და საქართველოს მხატვრების კლუბის დარბაზებში. ამ გამოფენებზე წარმოდგენილი საქვეპოზიციო მასალის ძირითად ნაწილს სწორედ ის ეტიუდები და ჩანახატები



ხ. მახარაძე

ცენზურით

შეადგენდა, რომლებიც მხატვრებმა შემოქმედებითი მივლინებებისა და გასვლების დროს შეაგროვეს.

ამ მასალამ ცხადყო, რომ ქართულ სახვით ხელოვნებაში კვლავ ხელმძღვანელი პოზიცია დაიკავა შემოქმედებითი მასალის ცხოვრებაშივე ძიების ჯანსაღმა ტენდენციამ, რითაც იქმნებოდა ნაყოფიერი ნიადაგი შემდგომი იდეურ-შემოქმედებითი და მხატვრულ-პროფესიული აღმავლობისათვის, იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომლებიც ახასიათებდა მხატვართა ნაწილის შემოქმედებას. ეს ნათლად დადასტურდა კიდევაც 1954 წლის დასაწყისში გამართულ დიდ სამხატვრო გამოფენაზე, რომელიც საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეასა და საქართველოს სახელმწიფო-მუზეუმის დარბაზებში მოეწყო. ეს გამოფენა დღემდე ინარჩუნებს ერთგვარი კრიტერიუმის მნიშვნელობას ქართული სახვითი ხელოვნების მიღწევათა შეფასებაში. თავისი ასეთი მნიშვნელობა მან იმითომ შეინარჩუნა, რომ რესპუბლიკის მხატვართა კოლექტივი დიდი, სერიოზული შემოქმედების გზაზე დააყენა. მისი ორგანიზებით ახალი ეტაპი დაიწყო ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია ჩვენი მდიდარი და მრავალფეროვანი სინამდვილის მხატვრული ასახვისათვის ახალი, უფრო სრულყოფილი და მეტყველი საშუალებების გაბედული და დაუცხრომელი ძიება.

ამ ძიების გზაზე უკვე მოპოვებულია თვალსაჩინო მიღწევები. ფერწერის დარგში ამის მაჩვენებელია აპოლონ ქუთათელაძის „სასიხარულო მოსავალი“, უჩა ჯაფარიძის ჯანრული ტილოები, გრიგოლ ჩიჩინაშვილის „საკოლმეურნეო

შრომა“, რომერტ სტურუას მონუმენტური კომპოზიცია „ხალხთა მეგობრობა“, კორნელი სანაძის „ვაჟა ფშაველა მთიელ ზღაპრის მთქმელთა შორის“, ვალენტინ შერპილოვის „დიდი ოსტატის ძმური რწევა“, კოტე მახარაძის „სუფორი და ბაგრატიონი ალპებში“, დიმიტრი ხახუტაშვილის „საქართველოს უხუცესი მხატვრები“, დავით გაბიტაშვილის „გაზაფხული“, გოგი თოთიბაძის „ახალ მიწაზე“, გურამ გელოვანის „სიჭაბუკე“ და სხვ. საყურადღებოა მხატვრული სახეების როგორც შინაგანი გაგებით, ისევე გარეგნული განსახიერებით ქეთო მაღალაშვილის „ნუცა ჩხეიძე“, უჩა ჯაფარიძის „ვ. ი. ლენინი“, კორნელი სანაძის „გ. გამსახურდია“, გიორგი ჯაშის „მხატვარი ბორის შებუევი“, კოტე კიკნაძის „მომღერალი ბათუ კრავიცილი“, ალექსანდრე ბანძელაძის „გალაკტიონ ტაბიძე“, ედმუნდ კალანდაძის „მხატვარი ზურაბ ნიჭარაძე“ და სხვ. ლადო გუდიაშვილის პერსონალურმა გამოფენამ ფართო გამომხატურება ჰპოვა ჩვენს საზოგადოებაში.

თემატური სურათის, საყოფაცხოვრებო ჟანრისა და პორტრეტის დარგში ბევრს მუშაობენ აგრეთვე რენო თურქია, ჯანი მეძმარიაშვილი, ეკატერინე ბაღდავაძე, ნათელა იანქოშვილი, ვაჟა მდივანი, ზურაბ ნიჭარაძე, რეზო კეჭუყმაძე, შოთა ხოლუაშვილი, ჭოლა კუკულაძე, ბორის სანაკოევი, თენგიზ მირზაშვილი, ნელი ჩიქოვანი, ოთარ ჯაფარიძე, გოგი როინიშვილი, ოთარ სულავა და სხვ. ახალი ნაწარმოებები შეიქმნა პეისაჟური ფერწერის დარგშიც ელენე ახვლედიანის, შალვა მამალაძის, საშინ ნადარეიშვილის, ვახტანგ ჯაფარიძის, კორნელი სანაძის, ვალენტინ შერპილოვის, იორამ მამალაძის, მარინე თარიშვილის, ნიკოლოზ მეტონიძის, რუსუდან

ჯავრიშვილის, ი. გვიგოლაშვილის და მომდევნო თაობის მსატრეების — მიხეილ ხვიტას, ბიძინა გორგაძის, ალექსანდრე ჯუენტის, პეტრე დათბაშვილის, დიუნდრე კალანდარის, შოთა ზამთარაძის, ელგუჯა ბერძენიშვილის, გურამ ქუთათელაძის, ლეო ძაძაძის, ნიკოლოზ თაყუაშვილის, მერაბ დურგლოშვილის, საურმაგ დამაშვილის და სხვათა მიერ. ნატიურმორტიკის დარგში ნაყოფიერად მუშაობენ კოტე ხუციშვილი, ნინო თამაშველა და სხვ.

უკანასკნელ წლებში ბევრი მონუმენტული ქანდაკება შეიქმნა, მათ შორის, ვ. ი. ლეინინის ძეგლები, რომლებიც დიდი-და თბილისში, მასხარაძეში, ქუთაისში, სოხუმში და სხვ. პირველის ავტორია — ვალეო თოფურბეძე, მეორისა — შოთა მიქატაძე, მესამისა — კოტე მერაბიშვილი, მეოთხისა — თეიმურაზ ასათიანი და ანთიმოზ გორგაძე. აღსანიშნავია გურამ კორძაბას მიერ შექმნილი მაიაკოვსკის ძეგლი, რომელიც დაიდგა მოსკოვში, პოეტის სახლ-მუზეუმის შენობის წინ. თბილისში დაიდგა ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ძეგლი, რომელიც ვალერიან თოფურბეძემ და შოთა მიქატაძემ შექმნეს. ბევრი ახალგაზრდა მოქანდაკე ქართული პლასტიკის ახალი მონუმენტური სტილის ძიებაშია. ამასე მტკცველემენ ფიგურული ქანდაკებები, 1905 წელი“ გიორგი ოჩიაურისა, „მოჭიდავე“ ელგუჯა ამაშუკელისა, „შოთა რუსთაველი“ მერაბ ბერძენიშვილისა, „ქალიშვილი“ გულდა კალაძისა, ჯუნა მიქატაძის „სიჭაბუკე“ და სხვ. ნაყოფიერად ვითარდება ქართული სკულპტურული პორტრეტი, რომლის მიღწევებს მოწმობენ ნიკო კანდელაკის „ავადმეიკოსი ნიკო მურხელიშვილი“ და „მსახიობი აკაკი კვანტალიანი“, კოტე მერაბიშვილის „მსატარი მარტიროს სარაინა“, სილოვან კაკაბაძის „ავადმეიკოსი ივანე ბერიტაშვილი“, ბიძინა ავალიშვილის „ვაჟა ფშაველა“, თეიმურაზ ასათიანს „მსახიობი სპარტაკ ბადაშვილი“, ეთერ კაკაბაძის „მსახიობი მედვა ჯაფარიძე“, ზაქარო კრაწაშვილის „მსახიობი სერგო ზაქარაძე“, ირაკლი ოჩიაურის „სტუდენტი ქალი“, ბორის ციბაძის „ქალიშვილის პორტრეტი“, ფარნაოზ მზარეულაშვილის „ნანა“ და „მეტალურგი“, მეერი სარაულის „მსახიობი მედვა ჩახავა“, თეიმურაზ ჭყონიას „ვ. ქეზერევაძის პორტრეტი“ და სხვ. მეტად საინტერესო ნაწარმოებები რელიეფური ქანდაკების დარგში ეკუთვნით: გიორგი სესიაშვილის, ანთიმოზ გორგაძეს, გიორგი ოჩიაურს და სხვ. ახალი ნაწარმოებები შექმნეს ქართულ მოქანდაკეთა საშუალო თაობის წარმომადგენლებმა: ტიტე სისარულიძემ, რომან შეროშიამ, გოგი ბილანიშვილმა, რომან დავლიანიძემ და სხვ.

ორმოდგაობიან წლებში მძლავრ აღმავლობას განიცდის ქართული გრაფიკა. უნა ჯავარიძის ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღისათვის“, სერგო ქობულაძის — ა. ს. პუშკინის „პოტლავასა“ და შალვა დადიანის „იური ბოლოფუბისათვის“, გრიგოლ ჩირინაშვილის — ოვანეს თუმანიანის „გეიორისთვის“ და ნიკო ლომოურის „ალისთვის“, გვიგულისაშვილის და ვლადიმერ ტოროტაძის — დანიელ ჭონძის „სურამის ციხისათვის“ და ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებისათვის, ალექსანდრე ბანძელაძის „არსენას ლექსისათვის“ და კიპლინის „მაუკონისთვის“, თეი-

მურაზ ყუბანეიშვილის ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქერი ვისთვის“, ყველა ეს წარმოდგენს ქართული წიგნბეჭდვითავე კის მნიშვნელოვან შენაძენს. ქართული საბჭოთა გრაფიკის საყურადღებო ნაწარმოებებია სვერიან მისიაშვილის მინიატურები, ზურაბ ლეჟავას ნახატები და სხვ. სატირისა და კარიკატურის დარგში ნაყოფიერად მუშაობენ დავით ნაცვლიშვილი, ვლადიმერ ლეონიჭავაძე, გიგლა ფრცხლავა, გიორგი ლომიძე, ანდრო კანდელაკი, მირის თალაკვაძე და სხვ. მიღწეულია დიდი წარმატება დაზურ გრაფიკაშიც, რაშიც თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის დავით ქუთათელაძეს, ლადო კეულავას, ლადო ქუთათელაძეს, დავით მახაშვილს, შალვა ცხადაძეს, ეთერ ანდრონიკაშვილს და მათთან ერთად ახალგაზრდებს — დინარა ნოღიას, რევაზ თარხან-მოურავს, თეიმურაზ ყუბანეიშვილს და სხვ.

შესამჩნევი გაცხდევლება ჩანს ქართული პლაკატის დარგში. უფროსი თაობის ისეთი ოსტატების გვერდით, როგორც არიან სამსონ ნადარევიშვილი, სერგო ქობულაძე, დავით გაბაშვილი და სხვ., ამ დარგში წარმატებით მუშაობენ მერაბ და ელგუჯა ბერძენიშვილები, ვახტანგ გიორგობიანი, ირაკლი გორდელაძე, შოთა უკუბრაშვილი, სერგო კაშხიანი, ნოდარ მაღალაშვილი და სხვ.

ამაღლა ქართული თეატრალურ-დემოკრატიული ხელოვნების დონე, ამ დარგის ხელოვნათა რიგები შეივსო ნიჭიერი ძალებით ივანე ასკურავას, კარლო კუკულაძის, ფარნაოზ ლაიაშვილის, იოსებ სუმბათაშვილის, შალვა ჟორჯოლაძის, დიმიტრი თაყაიშვილის და სხვათა სახით. კინოს დაოსტატებულ მხატვრებდა მოგვევლინენ ლეო მამალაძე, ლეო შენგელია და სხვ.

საბჭოთა სოციალისტური კულტურის ნამდვილი დღესასწაული იყო ქართული ოლიმპიკატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში 1958 წელს. დეკადასთან დაკავშირებით ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენაც მოწყობი. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ის ნაწარმოები, რომელიც ახლა დავახსენებთ.

სისტემატურად ეწყობა ჩვენი მხატვრების ნაწარმოებების გამოფენები მოძმე რესპუბლიკებში. ისინი მონაწილეობენ საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენებზეც.

კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა სახლი სულ უფრო და უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებენ სახვითი ხელოვნების მიღწევებს, მოუწოდებენ მათ ჭეშმარიტი ცხოვრებისეული ძალით და ღრმად პოეტურად, მაღალმხატვრულად ამტკცველთ კომუნისზმის მშენებლობის ეპოქის ღიადი საქმეები.

ამ დიდი ამოცანის წინაშე საქართველოს მხატვართა კოლექტივიც დგას. ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე მის მიერ მიმოვებულთ თვალსაჩინო მიღწევები იმის თავდებია, რომ ისინი ამ მიღწევათა განხორციელება-გადრმაგების და არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის გზით დირსეულად შესასრულებლ თავის მაღალ მოწოდებას, შექმნიან ახალ შთაგონებულ ნაწარმოებებს, წინ წასწვევენ შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ნაციონალურ ქართულ სახვით ხელოვნებას.



სანდრო ახმეტელი



კოტე მარჯანიშვილი

ქართული ხელოვნების 40 წელიწადი

ეთერ გუგუშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ართული თეატრი!

რა ბევრის მომცველი და მრავლის მოქმე-
ლია ეს ორი სიტყვა. ამ სიტყვების ქვეშ საამაყო
წარსულიც იგულისხმება და მშვენიერი აწმყოც
ჩვენი ხალხისა, მრავალი დიდი სახელი და განუზომებელი,
მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე პიროვნება,
უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ფაქტები.

დღეს ქართული საბჭოთა თეატრი თავისი არსებობის სა-
ხელოვანი ორმოცი წლისთავს ზეიმობს. ამ ხნის მანძილზე მან
უმდიდრესი გამოცდილება და უდიდესი შემოქმედებითი მიღ-
წევები მოიპოვა, მკვრამ უფრო ნათელი მომავალი და უფ-
რო მნიშვნელოვანი გამარჯვებები წინა აქვს ჩვენს თეატრს,
რომელიც ფართო და, სწორი გზით მიემართება ახალი მხატ-
ვრული მწვერვალების დასაპყრობად.

შობა რამ ისტორიიდან

დღეს, საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავის დღე-
სასწაულზე, უნებლიედ ფიქრობ ქართული თეატრის მიერ

განვიღო მდიდარსა და მრავალფეროვან გზაზე, რომელიც
ჩინებული გამოხატულებაა იმ კულტურული ფასეულობისა,
რაც ქართულმა თეატრალურმა კულტურამ შექმნა მრავალი
საუკუნის მანძილზე.

ქართული თეატრის ისტორიული ფესვები შორეულ წარ-
სულში უნდა ვეძებოთ. ამაზე მეტყველებენ დღემდე შემონახუ-
ლი უძველესი ძეგლები, დათარიღებულნი მესამე საუკუნით
ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ჩვენი ხალხი სამართლიანად ამა-
ყობს ამ ფაქტით. მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა
და თეატრიც, როგორც განუყოფელი ნაწილი ამ კულტურისა,
ნათლად მოწმობენ ქართველი ხალხის მაღალ ნიჭიერებაზე,
მის თვითმოყოფადობაზე, მის უდიდეს პოტენციურ შესაძლებ-
ლობებზე, მის დიდ სულიერ მითხრობილობებზე.

მიდიოდნენ საუკუნენი. ვერც ურიცხვ მტერთა გამუდმე-
ბულმა თარეშებმა ჩვენს მიწა-წყალზე, ვერც გაუთავებელმა
ხოცვა-ჟლეტამ და ვერც ხანგრძლივმა სისხლისმღვრელმა
ომებმა ვერ ჩაკლეს ქართველ ხალხში უღრმესი სიყვარული
თეატრალური სანახაობებისადმი. პირიქით, ქართველთა შეგ-



ივლითი — ვ. ახვარდარიძე („სურვილ აკოსტა“)

სცენა სპექტაკლიდან „ლაშარა“



ნებაში სულ უფრო მტკიცდებოდა თეატრისადმი ლტოლვა, რწმენა იმისა, რომ თეატრმა უნდა შეასრულოს ხალხის-თავის სუფლების სიყვარულისა და პატრიოტული გრძნობების თავისებური გამოხატველობის როლი. ასე იყო ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, როდესაც სახალხო თეატრალიზებული სანახაობა ბერიაკობა ნათლად გამოხატავდა ყმაგლეხობის პროტესტს დამონებულებისადმი. ასე იყო შემდგომ პერიოდშიც, როდესაც რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების შედეგად საქართველოში ფართო ნაკადად შემოიჭრა რუსი პროგრესული საზოგადო მოღვაწეების განმათავისუფლებლური იდეები, როდესაც ამ მოწინავე იდეების შედეგად გ. ერისთავი 1850 წელს აღორძინებს პროფესიულ დრამატულ თეატრს.

თეატრის მაღალი მოქალაქეობრივი დანიშნულების შესახებ არაერთგზის მიუთითებდნენ დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს ქართული პროფესიული თეატრის ხელახლა აღდგენაში 1879 წელს. ამ დიდ ეროვნულ საქმეში მათ ამოძრავებდათ ის ნათელი მიზანი, რომ ქართული თეატრი გადაეცეყოლიყო განმათავისუფლებელი იდეებისა და სოციალური ჰუმანიზმისათვის მებრძოლ ტრიბუნად. ამიტომ იყო, რომ ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ თეატრის სცენაზე დამკვიდრებინათ რევოლუციური დემოკრატიების მოწინავე იდეური მისწრაფებანი და მათი საბრძოლო განწყობილება.

სწორედ ამ ტენდენციის შედეგი იყო, რომ ქართული რევოლუციამდელი თეატრის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორც იყვნენ რეალისტური აქტიორული სკოლის ფუძემდებელი ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვანი, თეატრს უყურებდნენ როგორც სკოლას, როგორც კათედრას, საიდანაც შეიძლებოდა თამამად და დაუფარავად ექადაგათ ხალხისათვის მოწინავე იდეები, ესაუბრათ მათთან ყოველდღიურ საჭირობოტო საკითხებზე. ეს იყო მათი შემოქმედების მამოძრავებელი ძალა და ამიტომ იყო, რომ იმდროინდელ ქართულ თეატრს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ეს განმათავისუფლებლური ტენდენციები დიდი ქართველი ტრაგიკოსი მსახიობის ლადო ალექსი-მესხიშვილის შემოქმედებაში. უდიდესმა რევოლუციურმა პათოსმა, მხურვალე, ცვეცლოვანმა შემოქმედებამ და ცხრაას ხუთი წლის რევოლუციაში ბარიაკადებზე უშუალო ბრძოლამ ეს ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი ჭეშმარიტ მსახიობ-ტრიბუნად აქცია. შემთხვევით როდი წერდა ბოლშევიკური გაზეთი „გპერიოდი“ 1904 წელს ლ. მესხიშვილზე, როგორც ისეთ მსახიობზე, რომლის შემოქმედება ხალხის რევოლუციურ შეგნებას აღვიძებდა.

რევოლუციამდელი ქართული კულტურის საუკეთესო პროგრესულ მოღვაწეთა შემოქმედების რეალიზში და დემოკრატიული მისწრაფება იყო მტკიცე საძირკველი, რომელზედაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში აიგო ქართული საბჭოური კულტურის ბრწყინვალე ნაგებობა.

გზის დასაწყისი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ძირეული შემობრუნების ეტაპი იყო კაცობრიობის ისტორიაში, რევოლუციამ საფუძვლიანი გარდატეხა შეიტანა მთელი მსოფლი-

ოს ხალხთა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ მტკიცე სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი შექმნა ახალი კულტურის — შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის განვითარებისათვის. ამ საერთო კულტურულ მიღწევაში თეატრალურ ხელოვნებას განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა მიენიჭა.

თეატრის ბედი დაუკავშირდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ მოძრაობას, როგორც აქამდე არ ასსოვდა მსოფლიო ისტორიას, — ეს იყო ხალხის ბრძოლა სოციალიზმის აშენებისათვის. სწორედ ამ მოძრაობისა და მისი იდეების სიმამლიდან მოიპოვა თეატრმა უზარმაზარი ისტორიული პერსპექტივების ახლებური რეალისტური მხატვრული სინთეზის შესაძლებლობა. თეატრი გამოვიდა ისტორიის ფართო მარაგსაზე.

ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ლენინურმა პრინციპმა, ოქტომბრის რევოლუციამდელო ბოლშევიკური პრესის, კერძოდ, გაზეთ „პრავდის“ ბრძოლამ თეატრალური ხელოვნების იდეურობისა და რეალიზმისათვის, თავისი უშუალო გამოხატულება ჰპოვა როგორც მთლიანად სოციალისტური კულტურის, ისე თეატრალური კულტურის მშენებლობის პრაქტიკაში. საბჭოთა ხელისუფლების უკვე პირველი ღონისძიებები თეატრის დარგში მიმართული იყო სწორედ იმისკენ, რომ პრაქტიკულად შექმნილი ახალი ტიპის თეატრი, ისეთი თეატრი, რომელიც გამსჭვალული იქნებოდა სოციალიზმის იდეებით და ორგანულად დაუკავშირდებოდა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას, მის ბრძოლას ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის.

როგორც ცნობილია, მთლიანად საქართველო და, რა თქმა უნდა ქართული თეატრიც, რამდენიმე წლის განმავლობაში მოწყვეტილი იყო სოციალისტური რუსეთისაგან. მენშევიკურმა მთავრობამ, რომელმაც სრულ გაქანაგებამდე და კრიზისამდე მიიყვანა საქართველო, დამუშაველი გავლენა მოახდინა ქართულ თეატრზედაც. მენშევიკების ბატონობის წლებში ქართულმა თეატრმა განიცადა იდეურ-მხატვრული მარცხის მძიმე პერიოდი. უფრო მეტიც — თეატრი დადგა მთლიანი ლიკვიდაციის საფრთხის წინაშე. დღეს, როდესაც ქართველი ხალხის ისტორიის ეს საშინელი ხანა წარსულს ჩაბარდა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მენშევიკების უხადრუკი მთავრობის ბატონობის წლები ყველაზე მძიმე პერიოდი იყო ქართული თეატრის განვითარების მანძილზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას თეატრის ხელახალი აღორძინება მოჰყვა. საბჭოთა მთავრობამ ახალი სული შთაბერა თეატრს, ახალი ძალით აღაგუო იგი, შინაარსიც ახლებური მიანიჭა და ახალი კეთილშობილური მიზნებიც დასახა მის წინაშე. საქართველოს თეატრები, პირველად ისტორიაში, გადაიქცნენ ხალხის განათლებისა და აღზრდის უმნიშვნელოვანეს ორგანოებად.

ჩვენს თეატრს ეწვია ახალი მყურეხელი, რომელიც, კატანისლავსკის სიტყვით რომ ვთქვათ, „თეატრში ისე, სხვათა შორის კი არ მოვიდა, არამედ შინაგანი თრთოლვით, რაღაც უწვეულოს, მნიშვნელოვანის მოლოდინით შემოაღო თეატრის კარი. ეს მყურეხელი მსახიობისადმი დამოკიდებულებაში დიდ სიბოძს, რაღაც განსაკუთრებულ, ამაღლებველ გრძობას ავლენდა“. მყურეხელი ბერის მოვლოდა თეატრისაგან. იგი ელოდებოდა ახალ აღმოჩენებს, აღმოფერნას, ელოდებოდა ბასუსს მისთვის უმნიშვნელოვანეს და აქტუალურ



სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“



სცენა სპექტაკლიდან „უაიალიბი“



სცენა სპექტაკლიდან „ანზორი“



სცენა სპექტაკლიდან „ცხვის წყარო“

საკითხებზე. ეს მყურებელი თეატრისაგან მოითხოვდა მაღალ იდეურობასა და სიმართლეს, ყოველგვარ ესთეტიკურ, ფორმალისტურ და ნატურალისტურ მინარევებისაგან გაწმენდილ ხალხს სიმარჯულს.

საბჭოთა საქართველოს ახალი თეატრის წინაშე ჯერ არნახული პერსპექტივები გადაიშალა.

„ხელოვნება ხალხს ეკუთვნის!“ — ამ ლენინურმა მოწოდებამ უდიდესი მნიშვნელობა მიიღო ახალი ქვეყნის მშენებლობის პირობებში. თეატრი უნდა ქვეყლიყო ხალხის კუთვნილებად და სცენის მუშაკთა წინაშე დაისახა ნათელი მიზანი ამ დიდი იდეის განხორციელებლად.

სცენა სპექტაკლიდან „როცა ასეთი სიყვარულია“



გზის დასაწყისი ქართული საბჭოთა თეატრისა მკვეთრი და უჩვეული იყო. როგორც ვთქვით, თეატრის წინაშე აშკარად იყო დასმული დაზრუნვის საკითხი. დაბნეულობა და უპერსპექტივობა, ნათელი იდეურ-შემოქმედებითი პროგრამის არარსებობა, მტკიცე ნებისყოფისა და ძლიერი ხელმძღვანელის უყოლობა — ეს ყველაფერი ქმნიდა იმის პირობას, რომ თეატრალური საქმიანობა კარგა ხნით ჩამკვდარიყო საქართველოში. საჭირო იყო ძირეული რეფორმა თეატრალური საქმისა. ქართული თეატრი ელოდა მის ამდროისინებულს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს ყველაფერი იმას, რომ ახალი ქართული საბჭოთა თეატრი შიშველ ნიადაგზე უნდა შექმნილიყო? ცხადია, არა. პროლეტარიატის დიდი ბელადი ვ. ლენინი არაერთგზის ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ხელოვნებასა და ლიტერატურაში ახალი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ რევოლუციამდელი დემოკრატიული კულტურის უმდიდრეს გამოცდილებაზე დაყრდნობით. „პროლეტარული კულტურა — ამბობდა ლენინი — უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერ განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების უკულქვეშ“.

კომუნისტურმა პარტიამ დღის წესრიგში დააყენა წარსულის კულტურისადმი არა პასიურ-მჭვრეტელობითი დამოკიდებულება, არამედ მისი კრიტიკული ათვისება. ახალგაზრდა საბჭოთა თეატრს, რომელიც ახალ ხელოვნებას ქმნიდა, თავის პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა გამოეყენებინა ის უზარმაზარი შემოქმედებითი გამოცდილება, რომელიც მან მემკვიდრეობად მიიღო ძველი, რევოლუციამდელი თეატრისაგან.

მემკვიდეების ბატონობის პერიოდში რეალისტური სასცენო ხელოვნების წარმომადგენლები ერთგულნი დარჩნენ ქართული თეატრის მოწინავე რეალისტური ტრადიციებისა. აი რატომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სწორედ ქართული სცენის კორიფეები იქნნენ თეატრალური ხელოვნების იმ საიმედო საყრდენად, რომლის გარეშე ახალ თეატრალურ ორგანიზმს ძალიან გაუჭირდებოდა მკვიდრად დადგომა ფეხზე (ამ წლებში თეატრში მუშაობდნენ მსახიობები ნ. ჩხეიძე, ს. მესხი, ა. იმედაშვილი, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, თ. აბაშიძე, ც. ამირეჯიბი, ნ. გოცირიძე, ი. ხარდალიშვილი და ახალგაზრდები მ. გელოვანი და მ. ჭიაურელი, რეჟისორები — მ. ქორელი, ა. ფაღავა, კ. ანდრონიკაშვილი, ა. წუწუნავა, ზ. ბერიშვილი, ა. ახმეტელი).

ამვე მიზეზით უნდა აისხნას აგრეთვე ის გარემოება,

რამ ამ პერიოდის ქართული თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილი დაიჭირა მოწინავე კლასიკურმა დრამატურგებმა. ა. ლუნაჩარსკის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „წარსულის ძვირფასი ფორმები რევოლუციური წვეთით უნდა აივსოს“ ამ წლებში მიენიჭა თავისი რეალური, პრაქტიკული განსხვავლება. დღის წესრიგში დადგა თვით ცხოვრების მოთხოვნილებიდან გამომდინარე რეფორმა თეატრალური საქმიანობისა. ქართულ თეატრს უნდა მოეღწეოდა რეფორმატორი, რომელიც ცხოვრებაში გაატარებდა და შემოქმედებითად განახორციელებდა კომუნისტური პარტიის დიად მიზანსწრაფვასა და პოლიტიკას თეატრის დარგში.

საბედნიეროდ, სულ მალე მოეწინა ქართულ თეატრს ანთი რეფორმატორი. 1922 წელს რუსეთიდან ჩამოვიდა კოტე მარჯანიშვილი და სათავეში ჩაუდგა რუსთაველის სახელობის თეატრს, რომელიც 1921 წელს ჩამოყალიბდა როგორც ახალი თეატრალური ორგანიზმი, როგორც პირველი საბჭოთა ხელისუფლებისა.

ამ პერიოდისთვის კოტე მარჯანიშვილს უკვე ჰქონდა მოხვედრილი ბრწყინვალე რეჟისორის სახელი. ჯერ ქართულ, შემდეგ კი რუსულ და უკრაინულ სცენაზე მიღებულმა გამოცდილებამ, შემოქმედებითმა მეგობრობამ მ. გორკისთან, კ. სტანისლავსკისთან, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან, ა. სუმბათაშვილი-იუჟინთან და რუსული კულტურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან, მოსკოვის სამხატვრო თეატრის სახელგანთქმულ კოლექტივში წლების მანძილზე მუშაობამ, კოტე მარჯანიშვილი აღზარდეს პროგრესულ, რევოლუციური მიმართულების ხელოვანად, რომელიც თავგამოდებული დამცველი იყო რეალისტური სასცენო შემოქმედებისა. კოტე მარჯანიშვილის უაღრესად თავისებური, დამოუკიდებელი და ინდივიდუალური ხელოვნება, მისი გამუდმებული შემოქმედებითი ძიებანი არასოდეს არ ექცეოდა წინააღმდეგობაში მასთან მიმუშავე მსახიობების, შემოქმედებით ინდივიდუალობასთან. კოტე მარჯანიშვილი თეატრალურ წარმოდგენას უყურებდა როგორც სინარქსისა და სადღესასწაულო განწყობილების წყაროს, მაგრამ ეს არასოდეს ქცეულა მისთვის თვითმიზნად. მას ჰქონდა ჩინებული უნარი სახეიმო თეატრალური სანახაობა ჩაეყენებინა დიდი პროგრესული იდეის სამსახურში, ნათელი აზრის, დიადი მიზნის გამოვლენის, თანადროულობის პრობლემების მხატვრული ასახვის სამსახურში.


სოციალისტური რევოლუცია კოტე მარჯანიშვილმა მიიღო როგორც ქვეყნის დიადი განაზღვრის მომტანი — სინარქსითა და ალტაყებით. რევოლუცია მისთვის იქცა უდიდეს მიზნიდევლ ძალად, რომელმაც ახალი შემოქმედებითი ენერგიით აავსო ეს დაუცხრომელი თეატრალური მაძიებელი. მან თავიდანვე იწამა ახალი პერსპექტივების გახსნის შესაძლებლობა, მიხვდა, რომ სრულიად უჩვეულო, ნათელი შემოქმედებითი პიროვნებები გადაიშალა მის წინაშე. და მართლაც, მისმა ფართო ნიჭმა და დაუოკებელმა ენერგიამ უდიდესი ასპარეზი მძოვა ახალ პირობებში. უკვე რევოლუციის შემდეგმ პირველ წლებშივე კოტე მარჯანიშვილს ვხვდავთ ახალი თეატრისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. მისი მშფოთვარე საქმიანობა რევოლუციურ პეტროგრადში, მასობრივი აგიტაციური სადღესასწაულთ სანახაობების შექმნა (ამ სანახაობებში სახალხო პეროიკის იდეა იყო განსხვავებული) აშკარად მეტყველებდა კოტე მარჯანიშვილის სწრაფვაზე თანადროულობის ამსახველი ფართო მხატვრული ტილოების შექმნისაკენ. მის მიერ 1919 წლის მდღეობა დღებში კვივის




სცენა სპეტაკლიდან „მოკვთილი“ (მარჯ. თეატრი)



სცენა სპეტაკლიდან „კიკვიძე“ (რუსთ. თეატრი)



სცენა სპეტაკლიდან „რღვევა“



სცენა სპექტაკლიდან „ჰოლა, ჩვენ ევოცებოთ“

სცენაზე დადგმული „ცხვრის წყარო“ საბჭოთა თეატრის ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი, როგორც ახალი სიტყვა თეატრალურ ხელოვნებაში.

1922 წელს კოტე მარჯანიშვილი უკვე თბილისშია, ხოლო ამავე წლის 25 ნოემბერს ეს გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორი ქართული თეატრის რეფორმატორად იქცა.

25 ნოემბერს დაიდგა სპექტაკლი „ფუჟენტე ოვხუნა“ („ცხვრის წყარო“). ამ დღიდან ფაქტურად იწყება ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია. შესანიშნავი აქტიურული ანსამბლი, ღრმა რეალისტური სინარტოე და შომაბეჭდავი თეატრალურობა — აი, რა ახასიათებდა ამ სადღესასწაულო განწყობილებით გამსჭვალულ წარმოდგენას, რომელმაც ქართულ მაყურებელს გააცნო მთელი პლეადა იმ ნიჭიერი

სცენა სპექტაკლიდან „ფიკერე“



ახალგაზრდა მსახიობებისა, რომელთაც სულ მოკლე ხანში დაიკავეს წამყვანი ადგილი ქართულ თეატრში.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო ამ სპექტაკლში, რომ იგი მკაფიოდ ატარებდა მებრძოლ ხასიათს, გამოირჩეოდა გმირულ-რომანტიკული, ამაღლებული პათოსით. ამის ხაზგასმით აღნიშნა პრინციპულად სატირია ორი მიზეზის გამო: — ჯერ ერთი, — სპექტაკლის ეს პერიოდიკული და ზეაწეული ტონალობა ორგანულად აგრძელებდა გმირულ-რომანტიკული ხელოვნების იმ ტრადიციას, რომელიც მტკიცედ იყო დამკვიდრებული ქართულ თეატრში და რომელიც განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისება იყო ქართული სასცენო ხელოვნებისა. მეორეც, — ეს იყო თავისებური მაუწყებელი თვისობრივად ახალი თეატრის დასაწყისისა, რადგან ამ სპექტაკლიდან გამომდინარე პერიოდიკული განწყობილება თანამედროვეობის რევოლუციური პათოსით იყო გაქვნილი. აი რატომ მიგვანია მცდარ შეხედულებად ზოგიერთი თეატრმცოდნის ის მისაზრება, თითქმის პერიოდიკა და, რომანტიკული ზეაწეულობა ბევრად უფრო გვიან მოვიდა ქართულ სცენაზე. ჩვენ ვერ დავითანხმებთ ამ აზრს, რადგან მარჯანიშვილის სწორედ ამ პირველსავე სპექტაკლში გამოვლინდა მკაფიო სახეობა-თეატრალური განწყობილებაც, ნათელი რეალისტური ინდივიდუალიზაცია გმირებისა, რომანტიკული გზნებაც და ზეაწეული გმირული პათოსიც. საბრძოლო ყოინა ესპანელი ქალიშვილის ლაურენსიასი, რომელიც თანასოფლელებს მოუწოდებდა ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ცოცხალ გამოძახილს პოულობდა იმ ადამიანთა გულში, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ მოახდინეს რევოლუცია. მარჯანიშვილის „ფუჟენტე ოვხუნა“ ჭეშმარიტი გადატრიალება იყო ქართულ თეატრში; მან ახალი გზა, ახალი მიზანთულება მისცა ქართულ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას. რა უყუთ, რომ ეს პირველი სპექტაკლი თანამედროვეობის მასალაზე არ იყო შეშენილი. ამაში არავითარი გადახვევა არ არის საბჭოთა სინამდვილის ნორმებიდან. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს ნაწარმოები, რომელიც თავისი შინაარსით ძალზე დამორბეული იყო თანამედროვეობის მოვლენებისაგან, ძალზე ახლობელი და გასაგები გახდა ახალი სამყაროს შემოქმედი ხალხისათვის.

აი, სად უნდა ვეძებოთ მარჯანიშვილის სპექტაკლის არსი, სპექტაკლისა, რომელიც გადაიქცა ისეთ ფოკუსად, სადაც თავისებური მხატვრული გამოხატულება ჰყოვა კომუნისტური პარტიის თეატრალური პოლიტიკის პრინციპულმა აზრმა იმ პერიოდში.

თქმა არ უნდა, ახალგაზრდა საბჭოთა თეატრს პირველ ხანებში არ ჰქონდა სასულები იმისა, რომ დიდი მხატვრული მნიშვნელობის ფართო ტილოები შეეძინა თანამედროვეობის თემაზე. ნაქარვეად შექმნილ ავტეკებსა და მასობრივი სახეობა სანახაობებისთვის დაწერილ ლიბრეტოებს არ შეეძლო დიდი დრამატურგიის მაგივრობის გაწევა. ამიტომ ახლად-ფუნადმული საბჭოთა თეატრი ფართოდ იყენებდა წარსულის რეალისტური კულტურის საუკეთესო მიღწევებს იმ საკითხებზე პასუხის გასაცემად, რომელნიც თანამედროვეობამ დააყენა თეატრის წინაშე. ამ ინტერესის დაკმაყოფილებას იგი ცდილობდა მებრძოლი, მარად დაუბრუნებელი კლასიკური დრამატურგიის შემწეობით. საუკეთესო სპექტაკლები მოსკოვის მცირე თეატრისა, რომელსაც იმ წლებში ა. სუმბათაშვილ-იუჟინი ხელმძღვანელობდა, კ. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ ჩატარებული დღემი მიღა-

რი კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებისა — ნათელი და-
დასტურება იყო იმ აზრისა, რომ წარსულის საუკეთესო ქმნი-
ლებების ახლებურთა გააზრებით, მათში სოციალურ-მამული-
ბული საწყისის გაძლიერებით შეძლებოდა შექმნილიყო
ამაღლებელი, თანადროულობის ქვრივადობითა და უარყოფ-
ით მოვლენათა მხილების პათოსით აღსავსე სცენური ნაწარ-
მოებები. შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა თეატრის პირვე-
ლი სერიოზული და პრინციპულად მნიშვნელოვანი გამარჯვე-
ბანი დაკავშირებულია სწორედ კლასიკური პიესების დადგმა-
თან. მოვიგონოთ მცირე თეატრის ისეთი სპექტაკლები, რო-
გორც იყო „ვაი კეუსიან“, „შმაგი ფულები“, „ზოჯაერ
ბრძენიც შედგება“ და „რევიზორი“; მოვიგონოთ სამხატვრო
თეატრის „მზურვალ გული“, ლინინგრადის ალექსანდრიული
და დიდი დრამატული თეატრის დადგმები და სხვ. კ. მარ-
ჯანიშვილის „ცხვრის წყაროს“ ერთ-ერთი საპატიო ადგილი
უჭირავს ზემოხსენებულ სპექტაკლებს შორის. სასცენო მარ-
თელი იყო გამოჩენილი საბჭოთა მსახიობი აკაკი ხორავა,
როდესაც 1936 წელს, კრემლში მიღებაზე თქვა, რომ „ფუნტ-
თეატრს“ დადგმა დღიდანვე მსახიობთა ახალგაზრდა
თაობის წარმომადგენლებმა პირველებმა გაარღვიეს კულტუ-
რის ანტისაბჭოური ფრონტი და საბჭოთა მშრომელი ინტე-
ლიგენციის რიგებში ჩადგნენ. განსვენებული კ. მარჯანიშვი-
ლის დამსახურება ქართული თეატრის საბჭოურ ყაიდაზე
გარდაქმნის საქმეში — ისტორიული და დაუწყვიარია“ (გაზ.
„პრავდა“, 1939 წლის 21 მარტი).

ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ შემდეგ, კ. მარჯანი-
შვილმა მთელი რიგი ბრწყინვალე სპექტაკლები დაგა რუს-
თაველის სახელობის თეატრში. კერძოდ, — ს. ანტონოვის
„შვის დაბნელება საქართველოში“, გ. ერისთავის „გაყვარ-
შეჰსპირის“ ვინძორის ცელქი ქალები“ და „კამილეტი“, მო-
ლიერის „გაგანაურეზული მხაბობი“. ეს იყო კლასიკური დრამა-
ტიკურების ახლებური წაკითხვის ცდები, რომელთაც არაფე-
რი ჰქონდათ საერთო კლასიკის დამახინჯებისა და ვულგარ-
იზაციის იმ მოვლენებთან, რასაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ
იმ იმდროინდელი ფორმალისტი რეჟისორის თეატრალურ
პრაქტიკაში. ისევე როგორც „ფუნტე თეატრს“, მარჯანიშვი-
ლის ეს სპექტაკლებიც გამოირჩეოდნენ თანამედროვეობის
მსხვილი გრძობით, ნათელი იდეურობით, ღრმა შინაგანი
ტემპერამენტით, რეჟისორული გონებამახვილობით, შესრუ-
ლების ანამბლურობით და მასობრივი სცენების საკულდა-
გულო დაშუქვებით.

რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის მოსვლას თან
მოჰყვა ქართული მსახიობების, რეჟისორების, მსახივრების
ახალი პლადის გამოსვლა მათივე ახარებაზე. მას ვარ-
გად ესმოდა, რომ ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების გა-
მოვლენა უმნიშვნელოვანესი პირობა იყო ახალი თეატრის
ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის. ამიტომ იყო, რომ
კ. მარჯანიშვილი უდიდეს მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრ-
დობის მიმართ, ეხმარებოდა მათ ახალი ხელოვნებისათვის
ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში. მისი მოწაფეები: ვერიკო
ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, ცეცილია წუწუნავა, ელენე
დონაური, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, გიორ-
გი დავითაშვილი, შალვა ღამბაშიძე, ალექსანდრე ჟორჯო-
ლიანი სულ მოკლე ხანში ქართული საბჭოთა თეატრის წამ-
ყვან მსახიობებად გადაიქცნენ.

მაგრამ კ. მარჯანიშვილის ისიც კარგად ესმოდა, რომ ახალი
ეპოქის მსახიობების გამოზრდა და ტემპირატი მსახიობური



სცენა სპექტაკლიდან „ყვარყვარე თუთაბერი“ (მარჯ. თეატრი)

თეატრის შემქნა შესაძლებელი იყო პირველ რიგში თანამედ-
როვეობის ამსახველი დრამატურგიული მასალის საფუძველ-
ზე. აი რატომ ცდილობდა იგი ასეთის თავგამოდებით ქართ-
ველ დრამატურგებთან — შ. დადიანთან, ს. შანშიაშვილთან,
ნ. აზიანთან, პ. კაკაბაძესთან და სხვებთან მჭიდრო შემოქმე-
დებით თანამშრომლობის დამყარებას, თანამედროვეობის
მხატვრული ასახვისადმი სწრაფი უნდა აიხსნას აგრეთვე ის
ფაქტიც, რომ იგი, ხშირად მიმართავდა დასავლეთის პროგრე-
სულ მწერალთა — ე. ტოლერის, გ. კაიზერის, ნაწარმოე-
ბებს. რამდენ მეტყველებს თუნდაც მისი განუხორციელები
ოცნება ფუნქციონირის პლატოზე ვ. მაიაკოვსკის „მისტერია
ბუფის“ დადგმისა! მას სურდა მაიაკოვსკის პიესა დაედა რო-
გორც მასობრივი, გმირული სახალხო სანახაობა, როგორც სა-
ჯარო დღესასწაული, გამიზნული მაყურებელთა მრავალთა-
სიანი აუდიტორიისათვის.

დაიხ, სწორედ ჰერიკოვლ-მონუმენტური, დიდი აზრისა და
ენების, ფართო მასშტაბის თეატრი-დღესასწაულისადმი ილ-
ტროდა ყოველთვის იგი. ასეთი გახდა მის დროს რუსთაველის
თეატრი, ასეთი ჩააბარა იგი თავის უნიჭიერეს მოწაფესა და
მიმდევარს სანდრო ახმეტელს, რომელიც, მარჯანიშვილს

სცენა სპექტაკლიდან „ხევისბერი გოჩა“ (რუსთ. თეატრი)





სცენა სპექტაკლიდან „როგორ“

წყასლის შემდეგ, ხელმძღვანელობდა რუსთაველის თეატრს 1935 წლამდე.

სანდრო ამბეტელი თავისი მასწავლებლის ტრადიციების ბრწყინვალე გამგრძელებელი აღმოჩნდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან რუსთაველის თეატრში მეტისმეტად ძლიერი იყო კოტე მარჯანიშვილის ავტორიტეტი. ყველაფერი საუკეთესო, ფასული და სანტიქრესო, რაც კი მარჯანიშვილმა მოიტანა ქართულ თეატრში, განავითარა და გააღრმავა სანდრო ამბეტელმა თავის სპექტაკლებში. ამიტომ არა რაიმე უთანხმოებაზე, რაიმე დაპირისპირებაზე მათ შორის, არამედ მხოლოდ ტრადიციის განვითარებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ ამ ორი რეჟისორის ურთიერთობაზე მსჯელობისას. ს. ამბეტელის ბრწყინვალე სპექტაკლებში — „ანზორში“, „რდევასა“ და „აქაღლებში“ ძალუმაღ ქვდრდა ცხოველყოფილი გმირული პათოსი, რომელიც თანამედროვე რევოლუციური რომანტიზმით იყო შეფერილი. პეროიკის იმ ჩინარდამმა, რომელიც „ფუტნექ ოკესუნაში“ ავიზგიზდა, თავისი მსურვალბა არ დაკარგა მარჯანიშვილის ღირსეული მოწიხის ამ ტემპერამენტთან, ელვარე და შემოქმედებითი გუნებით აღსავსე ქმნილებებში. ამბეტელის ამ სპექტაკლებში კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს მარჯანიშვილისეული თეატრალურობა, თანადროულობის მაჯისცემის მახვილი შერქმევა. როდესაც „რდევას“ ფინალურ სცენაში მივლ დარბაზს თავზე გადაუფრიალებდა ახალი ერის მუწვეველი ალისფერი რევოლუციური დროშა, ეს რეჟისორული ხერხი რალაც უჩვეულ, აქამდე არნახული ელვარებით გააცისკროვნებდა ხოლმე მყურებელთა დარბაზის გუმბათს.

სასუბით გასაცემი გარემოებების წყალობით სანდრო ახ-

სცენა სპექტაკლიდან „ნიწოშვილის გურია“



მეტელს რუსთაველის თეატრში გაცილებით მომგებიან ვითარებაში მოუხდა სამხატვრო ხელმძღვანელობა, ვიდრე მის მასწავლებელს. რუსთაველის თეატრში მოღვაწეობისას ქართულ თეატრის რეფორმატორი — კოტე მარჯანიშვილი იძულებული იყო თავისი თეატრალური სახელწინი კლასიკაზე ანდა საზღვარგარეთის პროგრესულ მწერალთა ნაწარმოებებზე დაყრდნობით გამოეყენებინა; იგი მხურვალედ ისწრაფვოდა სცენაზე დაედგა თანამედროვეობის ამსახველი სანტიქრესო პიესები, მაგრამ იმ წლებში, ამგვარი ნაწარმოებების ნაკლებობის გამო, ვერც ეს წადილი შეისრულა მთლიანად. სამგივეროდ, როდესაც რუსთაველის თეატრს ს. ამბეტელი ჩაუდგა სათავეში, საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. დაწერა პიესები, რომლებშიც ღრმად იდევრ-მხატვრული განსოვადება პიესა ეპიკის უწინმედილოვნება მოვლენება. სწორედ ამ ნაწარმოებებზე შეაჩერა ს. ამბეტელმა ყურადღება ასე შეიქმნა „რდევას“, „ანზორი“ და რუსთაველის თეატრის სხვა მონუმენტურ-ეპიური ტილოები. ის სპექტაკლებში ჩვენ ვიხილეთ გმირული სული, მაგაფიო თეატრალურობა, ნათლად გამოკვეთილი ინდივიდუალობა გმირებისა და უდიდესი სიხუსტით დამუშავებული მასობრივი სცენები, ე. ი. ყველაფერი ის, რაც კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლების ნიშანდობივი თვისებად იყო. ამიტომ რა ღრმად შმეცდარია ა. ფერვალსკი, — ავტორი რუსთაველის თეატრზე დაწერილი წიგნისა, როდესაც ამბეტელს უსაყვედურებს საბჭოთა დრამატურგიასთან ავტორის გაწყვეტას. „რუსთაველის თეატრი, — წერს ა. ფერვალსკი, — სათანადო ყურადღებას არ უთმობდა რევოლუციისათვის მეტროში და სოციალისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების მხატვრულ საქმეს. თეატრი ნაკლებად იყენებდა იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც საბჭოთა რეპერტუარი იძლეოდა“. ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, მცდარია. ერთია ამბეტელის შექმნილების კრიტიკა და სულ სხვაა თქმა იმისა, თითქმის ამბეტელი სრულებით არ ცდილობდა საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებების სცენურ განსახიერებას. საყურადღებოა, რომ აგრძელებდა რა მარჯანიშვილის საუკეთესო ტრადიციებს და ამ მხრივ მისდევდა რა თავისი მასწავლებლის გზას, ამბეტელი ყოველთვის ცდილობდა მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი დამყარებინა საბჭოთა დრამატურგებთან. ამის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია, რადგან ეს ფაქტია. არ შეიძლება აგრეთვე უარყოფა იმისა, რომ ამბეტელი-რეჟისორი უაღრესად თვისთვისყოფად, ინდივიდუალური მანერის მქონე ხელოვანი იყო. მაგრამ ამბეტელის ეს შემოქმედებითი თვისიმყოფადობა „უცვრად“ კი არ აღმოცნდა, ცარიელ ნიდადაზე კი არ შეიქმნა. ამის მისაღწევად მას კი მარჯანიშვილის შემოქმედებამ მისცა ბიძგი. სწორედ მან აღმოაჩინა ამბეტელის ხალასი ტალანტი, მან შთაუნერგა მომავალ რეჟისორს თანადროულობის გამახვილებული შერქმენების უნარი, გაუღვივა გმირულ-რომანტიკული ქვდრისი ნაწარმოებებისადმი მისწრაფება, გაუცხოველა ინტერესი თეატრალური ზეაწეულობისა და სცენური ქმნილების სადღესასწაულო ელფერისადმი, შეასწავლა სახიერი თეატრალური აზროვნება, რაც შთამბეჭდავ სცენურ ფორმებში პოულობდა მხატვრულ ასახვას. სწორედ მარჯანიშვილმა გაუღრმავა ამბეტელს მასობრივი სცენების ოსტატურად დამუშავების უნარი, რამაც ასე მკვეთრად იჩინა თავი ამბეტელის საუკეთესო დადგმებში. მაგრამ იმ დამახსოვრებასთან, იმ ძვირფასსა და დადებითთან ერთად, რაც ამბეტელმა შესძინა ქართულ თეატრს, არ შეიძლება გვერდი აუვართო

იმ შეცდომებსაც, რომლებიც დამახასიათებელი იყო მისი შემოქმედებისათვის.

მკვეთრად გამოხატული ნაციონალური თეატრალური ფორმებისადმი სწრაფვა ზოგჯერ თვითმიზნად იქცეოდა ხოლმე ახმეტელისთვის. ამგვარ წუთებში მას ავიწყდებოდა, რომ ნაციონალური ნიშნები გარეგულ სტრუქტურაში, ეთნოგრაფიულ ნაბეჭებსა და ხანჯლებში კი არ უნდა გამოვლინდეს, ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელთა ეგზოტიკური მოძრაობითა და თავისებური შეძახილებით კი არ უნდა გამოიხატოს, არამედ შინაგანი დახასიათებით, ფსიქოლოგიის გახსნით, ტემპერამენტით, ამა თუ იმ გვირის აზროვნების თავისებურებით. მასობრივ სცენებზე მუშაობით გატაცება ზოგჯერ სულ სხვაგვარ დანიშნულებას ატარებდა ახმეტელისთვის. მარჯანიშვილს საოცარი უნარი ჰქონდა ადამიანთა არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ჯგუფით ხალხის უსარმაზარი მასის ილუზიის შექმნისა, ნაცულად ამისა და აგრეთვე გმირთა საგულდაგულო, მარჯანიშვილისებური ინდივიდუალუზაციის მაგივრად ს. ახმეტელს ზოგჯერ სცენაზე გამოყავდა, მართლაც, ხალხმრავალი მასა, რომელსაც აიძულებდა ემოხრავა განსაკუთრებულად თრგანისებელი რიტმიული გამოხმასხველებით. პირველ ხანებში, ვიქვით, სპექტაკლ „არღვევი“ მასობრივი სცენების ამგვარი დამუშავება გარკვეულ ინტერესს იწვევდა როგორც სიხლმე, როგორც ექსპერიმენტა. შემდგომ წლებში კი (თუნდაც იმავე „ლამარაში“) ეს მომენტი რეჟისორული ნამუშევრისა გადაიქცა ერთგვარად პრეტენციოზულ, სპექტაკლზე გარედან მიყვებულ ელემენტად. სწორად აღნიშნავდა იმდროინდელი პრესა, რომ „თუ ზედმეტ რიტმობაშია, მოძრაობის მუსიკალური ორგანიზება სიუჟეტურად და ლოგიკურად არ არის გაართლებული, მაშინ იგი ფიტავს სცენური მოქმედების კონკრეტულ შინაარსს“ (გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1928 წლის 12 თებერვალი).

მიუხედავად ამისა, არ იქნებოდა მართებული იმის თქმა, რომ ახმეტელის სპექტაკლებში მსახიობს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. განა მის სპექტაკლებში არ შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად რეალისტური სახეები, როგორცაა აკაკი ხორავას ბერსენგეი, ანზორი და კარლ მოთრი, ა. ვასაძის შვარჩი, ახმა და ფრანც მოთრი, ვ. გოძიაშვილის ახმა და სხვა მრავალი.

განა ეს აქტიორული მიღწევანი არ იყო მარჯანიშვილისეული რეალისტური ტრადიციების საუკეთესო გამოხატულება? იქ, სადაც ახმეტელი მიყვებოდა თავისი მასწავლებლის ტრადიციებს, მისთვის გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო. ხოლო პირიქით, მარჯანიშვილის ხაზიდან, ე. ი. ნამდვილი, მაღალი რეალიზმიდან გადახვევა ახმეტელს უქადადა წარუმატებლობას. ამ წარუმატებლობას, რასაკვირველია, არ უნდა მიეცეთ პოლიტიკური განზოგადება. ა. ფვერალსკის იმავე წიგნში, რომელიც საკმაოდ საინტერესო და სასარგებლო წიგნია, ახმეტელს სრულიად უსაფუძვლოდ ბრალდება ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. ფვერალსკი წერს: „მთელ მის გულწრფელ ლტოლვასთან აქმენება საბჭოთა ნაციონალური თეატრი, მის კონცეფციებში და შემოქმედებით პრაქტიკაში ობიექტურად გამომდევნდა ბურჟუაზიული უნდაც იონალური ხასიათის ტენდენციები“ (ხაზი ჩემია — ე. გ.).

რა თქმა უნდა ასეთ კატეგორიულ მტკიცებას არ შეიძლება დაეთანხმოს.

20-იანი წლების ბოლო დიდი მნიშვნელობის ფაქტებით აღინიშნა: 1928 წელს ქუთაისში შეიქმნა ახალი თეატრალუ-



გ. გოძიაშვილი
რინალდის როლში
(„არჩარს III“)

რი კოლექტივი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კოტე მარჯანიშვილი. ამ თეატრმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში თეატრალური კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში. ორი წლის შემდეგ, თეატრი გადმოვიდა თბილისში და მას მიენიჭა კოტე მარჯანიშვილის სახელი. ახალი თეატრის შექმნისას მარჯანიშვილი მართლ არ იყო. იგი სამუშაოდ იწვევდა საზოგადოების ყველაზე მოწინავე ადამიანებს. მათ შორის იყვნენ მწერლები შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე, სერგო ამალიბოძელი, ბესო ჟღნდერი, დემნა შენგელაია, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, გუგული ბუნიაშვილი, გვიგელ ბააზოვი; მხატვრული დავით კაკაბაძე, პეტრე ოცხელი, ლადო გუდიაშვილი, თამარ აბაკელია, ელენე ახვლედიანი; კომპოზიტორები ანდრია ბალანჩივაძე, თამარ ვახვახიშვილი და სხვ.

მარჯანიშვილიან ერთად ახალ თეატრში რუსთაველის თეატრიდან გადავიდნენ მისი მოწაფეები: ვერაკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, ელენე დონაური, უსანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ცეცილია წუწუნავა, ალექსანდრე ფორჟოლიანი,

სერენა სპიტაკოლიან „მთელ გირაკოზე“



დღოთ ანათაჲ და სხვ. სხვადასხვა დროს დასს შუეურთდენნ ძველი თაობის შემდეგი მსახიობები: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ნიკო გოცირიძე, შაქრო გომელაური და სხვ., რომლებმაც ახალგაზრდა კოლექტივში მოიტანეს რევოლუციამდელი ქართული აქტიორული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები.

იბრძოდა რა თანამედროვე რეპერტუარისათვის, ამ პერიოდში მარჯანიშვილმა განასხორციელა თავისი საუკეთესო დაღმები: ე. ტოლერის „პოპო, ჩვენი ვეცხვობობთ“, შალვა დადიანის „კაკალ გულში“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, კ. კალაძის „როფორ“ და „ხატიჯო“. დ. შენგელიას „თეთრები“, ვ. კირშონის „მოიანადე გუგუტეზი“. ნ. პოლოდინის „ფოლადის პოემა“, ი. მიკიტენკის „ანათე ვარსკვლავნო“, ა. აფინოგენოვის „შიში“, გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდენა“.

1929 წელს კოტე მარჯანიშვილი ქმნის თავის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლს, — კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტას“. ამ სპექტაკლმა ერთის მხრივ ახალის ძალით ცხადყო კლასიკის გამარეოლუციონერებელი მნიშვნელობა და მეორეს მხრივ ბრწყინვალე შეასხა ფრთები მარჯანიშვილის ოცნებას სინთეტურ თეატრზე. ხოლო უმანგი ჩხეიძის ურიელმა და ვ. ანჯაფარიძის ივლითმა მხატვრული სრულყოფის მწვერვალებს მიღწეეს.

მაშასადამე, ოციანი წლების დასასრულს საქართველოში არსებობდა ორი დიდი დრამატული თეატრი. ერთს კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო მეორეს — მისი მოწვევს ს. ახმეტელი. ორივე ეს თეატრი, რომელნიც დაფუძნებულნი იყვნენ სოციალისტური ხელოვნების საერთო იდეურ-მხატვრულ პრინციპებზე, მკავდნენ კიდევ ერთმანეთს რალაიცი და განსხვავებდნენ კიდევ ერთმანეთისაგან წმინდა შემოქმედებით მანერის თვალსაზრისით. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო რელიეფურად იკვეთებოდა მხატვრული სახე ორივე თეატრისა.

მარჯანიშვილის თეატრის უმთავრესი თვისება იმთავითვე ის იყო, რომ ცხოვრებისეული სიმართლის ერთგულებასთან ერთად ყოველი თვისამადა ექმნებოდა მკაფიო თეატრალურ გამომსახველობით ხერხებს. ისწრაფვოდა მაღლა დამდგარიყო

ყოფითობაზე და ყოფილიყო ფსიქოლოგიურად მართალი, და მკარებელი, ადამიანური. რუსთაველის თეატრი კი მთავრულდება მონუმენტური სტილის სპექტაკლების შექმნის ტენდენციას და სულ უფრო გარკვევით ყალიბდებოდა მისი, როგორც პერიოკულ-რომანტიკული პლანის, გმირული ხასიათების თეატრის შემოქმედებითი პროფილი.

1930-მა წელმა ორივე თეატრს ფართო აღიარება მოუტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ორი ქართული თეატრის გასტროლები მოსკოვში თავისებური შეჯამება იყო იმ ძიებებისა, რაც ამ თეატრებმა დაიწყეს ჯერ კიდევ ჩამოყალიბების დღიდან. მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დროს ალექსანსკის წერდა: „მოვესალმებით რა საქართველოდ ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს, ჩვენ მადლობა უნდა გადავუხადოთ მათ ჩინებული ხელოვნების იმ ყვავილისათვის, რომელიც ჩამოვტივანეს და რომლებიც ლაღად გაფურჩქნა უწერიან“. ხოლო რუსთაველის თეატრის გასტროლების გამო იგივე ა. ლუნარსკი აღნიშნავდა: „რუსთაველის თეატრმა გააოცა მოსკოვი. მოსკოვის და ჩემის აზრითაც რუსთაველის თეატრი წინაურდება მსოფლიო თეატრების პირველ რიგში“.

საბჭოთა ქვეყნის გაბოჩნელი მოღვაწის ეს შეფასება მარტო ახალგაზრდა ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევათა დახასიათება კი არ იყო, არამედ ეს იყო აგრეთვე თავისებური გზის დათვაობა, ეს იყო რწმენა ქართული თეატრის ბრწყინვალე მომავლისა.

ალმავლობის ბზახში

ქართული თეატრის ცხოვრებაში ახალი მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა ოცდაათიანი წლები. თეატრი, რომელიც საერთო სოციალისტური კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა, სულ უფრო და უფრო აქტიურად ემგებოდა სინამდვილის გაღრმავებისათვის ბრძოლაში. სოციალიზმის მშენებლობაში მიღწეულმა წარმატებებმა და სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობითმა გადასვლამ ახალი, გაზრდილი მოთხოვნილებები დააყენა ქართული თეატრის მოღვაწეთა წინაშე.

ამ წლებში მნიშვნელოვნად ძლიერდებოდა იდეურობისა და ხალხურობისათვის ბრძოლა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში, დაისახა გარკვეული ამოცანა შეექმნათ სიმართლითა და ისტორიული კონკრეტულობით აღმუქვდილი, რევოლუციური განვითარებაში თანამედროვეობის ამსახველი სცენური ნაწარმოებები, რომლებიც მაღალ იდეურ პრინციპებზე, სოციალისტური ხელოვნებით აღზრდილ მშრომლებს.

საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე (1934 წ.) პირველად იქნა მოცემული ვრცელი და ნათელი განმარტება სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის, ხელოვნების, კრიტიკის საუთვარეს, წამყვან მეთოდად იქცა.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა საზოგადოების შემდგომმა განვითარებამ, რასაც 30-იანი წლების ნახევარში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები მოჰყვა, ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ტიპის თეატრალური მოღვაწე-მოქალაქე თავისუფალი სოციალისტური ქვეყნისა, მოღვაწე, რომელიც მტკიცედ იყო დაფუძნებული ხალხის ცხოვრებასთან და რომელიც თავის შემოქმედებაში გამოდიოდა, პირველ ყოვლისა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებიდან, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესებიდან.

სცენა სპექტაკლთან „არსენა“



ამ დროისათვის ნიჭიერ ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა რიგები შეივსო ახალი შემოქმედებითი ძალებით. ქართულ თეატრში მოვიდნენ შემდგომში ფართოდ ცნობილი მსახიობები: ს. თაყაიშვილი, მ. დავითაშვილი, თ. ბაქრაძე, ნ. ლაფანი, ა. თოძე, თ. წულუკიძე, ხ. ჭიჭინაძე, ნ. ალექსიმეხიშვილი, მ. ქორელი, თ. ჩარკვიანი, ბ. შავიშვილი, ვ. გოძიაშვილი, ს. ზაქარიაძე, ემ. აფხაძე, პ. კობახიძე, გ. შავგულიძე, ალ. იომაძე, ა. კვანტალიანი, მ. სარაული, მ. და ე. ლორთქიფანიძეები, ალ. გომელაური, გ. საღარაძე, შ. და ს. ჯაფარიძეები, გ. სარჩიელიძე, გ. კოსტავა, კ. დაუშვილი, ვლ. ადამიძე, და სხვ. თავიანთ უფროს კოლეგებთან ერთად მათ საკუთარი წვლილი შეიტანეს მშობლიური თეატრალური ხელოვნების განმტკიცებასა და განვითარებაში.

მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით ქართულ საბჭოთა თეატრში მსახიობებს ა. დოვინელს, ბ. გამრეკელს, რ. ბერიძეს, ე. სიბილას, თ. თარხნიშვილს, ელ. ვაჩაძეს, ირ. დონაურს, მ. ჯაჯანაშვილს, ნ. მაჭავარიანს, ბ. ზაქარიაძეს, ა. უკრაშვილს, ვ. დოლიძეს, გ. კიკნაძეს, ვ. აფხაძეს, ივ. გვიჩიძეს, ივ. ჯავახიშვილს, ალ. ტატიშვილს და სხვ.

ძალიან დიდი ამაგი დასდო ქართული თეატრის მშენებლობას ნიჭიერი ქართველი რეჟისორების მიერმა პლეადამ: აკ. ვასაძემ, ა. თაყაიშვილმა, ვ. ყუშიტაშვილმა, დ. ანთაძემ, დ. ალექსიძემ, ა. ჩხარტიშვილმა, შ. აღსაბაძემ, გ. გურულმა, კ. პატარბიძემ, ა. მიქელაძემ, ს. ჭელიძემ, მ. ფრანგიშვილმა, გ. ლენიაშვილმა, მ. კვალაშვილმა, ნ. გოძიაშვილმა, შ. ინახაჩიძემ, გ. იოსელიანმა, ვ. ტაბლიაშვილმა, გ. სულიაშვილმა და სხვებმა. ყოველი მათგანი, თავისი შემოქმედებით შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობდა ქართულ სცენაზე მთავარ თემად დაემკვიდრებინა საბჭოთა სინამდვილის თემა.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისათვის პრიორიტის საერთო პროგრამით გაერთიანებული ქართველი რეჟისორები უშეცდომოდ აღმოცდილენ იმ პიკეტის დადგმას, რომლებშიც თანამედროვე გმირს თვისობრივად ახალი ელვადობა აქვს მინიჭებული. სცენაზე ხიხილეთ ახალი ცხოვრების შემოქმედებელი ადამიანები—მუშები, კოლმურნეები, ახალი საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ოცდაათიან წლებში საბჭოთა თეატრში მოვიდა მთელი პლეადა ახალი დრამატურგებისა, რომელთა გამოვლენას თვით ცხოვრებამ შეუწყო ხელი. მათი შემოქმედების ძირითად თემად თანამედროვეობა იქცა. ქართული თეატრის მოღვაწენი დიდი გულისხმიერებით ეკიდებიან ამ დრამატურგების შემოქმედებითი ზრდის საქმეს, ცდილობენ ყოველი მათი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ხალხის კუთვნილებად აქციონ.

ამ საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის კოტე მარჯანიშვილს. იგი ცდილობდა რუსული საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებანი ქართულ სცენაზე დაედგა და ამით გაემდიდრებინა ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარი. მან დადგა ნ. პოგოდინის „ფოლადის პოემა“ (1931 წ.) ა. აფინოგენოვის „შიში“ (1932 წ.), ვ. კირსონის „პური“ (1931 წ.) და სხვ. მას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მტკიცე შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ქართველ დრამატურგებთან.

თანამედროვეობასთან კავშირის განმტკიცების ეს ხაზი მისმა მოწაფეებმაც გააგრძელეს, კერძოდ, უშ. ჩხეიძემ, დ. ანთაძემ და შ. ლაშაშვილმა, რომელიც მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგნენ თეატრს. ოცდაათიანი წლების დასასრულს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და-



სცენა სამეტაკლიდან „კოლმურნის ქორწინება“

იღგა ა. აფინოგენოვის „შორეული“ (1936 წ.), ი. ვაკელის „შური“ (1938 წ.), ვ. გაბისკირიას „მათი ამაგი“ (1939 წ.). ამ პიესებში მართლად და დამაჯერებლად არის დასატული საბჭოთა ინტელიგენციის იდეური ზრდა. ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში ღრმა პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა პ. კავაბაძის ბრწყინვალე კომედიის „კოლმურნის ქორწინების“ დადგმას (1938 წ. რეჟისორი შ. ლაშაშვიძე), რომელშიც მთელი თავისი მრავალფეროვნებით იყო ნაჩვენები საკოლმურნეო სოფელი. სამეტაკლში შეიქმნა მთელი რიგი მკაფიო და თეატრალური გამომსახველობის მხრზე არაჩვეულებრივად კოლორიტული სახეები. მათ შორის გამოირჩეოდა ოთხი მხატვრული სახე: ს. თაყაიშვილის გვირისტინე, აკ. კვანტალიანის ხახული, ს. ზაქარიაძის ჯიბილი და განსაკუთრებით გიორგი შავგულიძის ხარტონი, — ბრწყინვალე სატირული სახე, რომელიც ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო შემოქმედებით მიღწევად იქნა მიჩნეული.

რეპერტუარის გათანამედროვეობის მიზნით ამ პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარა რუსთაველის თეატრმაც, რომლის სცენაზე ამ დროისათვის წამყვანი ადგილი ეჭირათ ისეთ

სცენა სამეტაკლიდან „სლოლონ ისაიჩ მიჯლანაშვილი“





სცენა სპექტაკლიდან „ხარატიანი კერა“

სპექტაკლებს, როგორცაა ა. მამუშვილის „განგაში“ (1931 წ.), ს. შანიშვილის „სანა“ (1931 წ.), პ. სასნიძის „სალტე“ (1932 წ.), ლ. სლავინის „ინტერვენცია“ (1934 წ.), განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ს. ასმეტელისა და აკ. ვასაძის მიერ დადგმული შ. დადიანის ტრაგედია „თეთნულდი“ (1931 წ.), რომელშიაც მწერალმა ამაღლებებლად მოგვიხიბრაძა ძველი რელიგიური ადათ-ჩვეულებებისა და პატრიარქალური ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლის, ძველზე ახლის გამარჯვების ამბავი. „თეთნულდი“ ფაქტიურად პირველი ცდაა საბჭოთა დრამატურგიაში თანამედროვე მასალაზე ტრაგედიის შექმნისა. თეატრმა ეს ტრაგედიული თემა გაიხარა ოპტიმისტურ პლანში და სწორედ ეს ოპტიმისტური უღრმადობა ანიჭებდა სპექტაკლს რევოლუციური თანამედროვეობისათვის შესატყვის ელფერს. საბჭოთა თეატრის ისტორიაში პირველად ამ სპექტაკლში იქნა გამოყენებული ქორო, როგორც თეატრალურ-გამომსახველობითი ხერხი. ის როლი, რასაც ქორო ასრულებდა „თეთნულდში“, ბევრი რამით მოგვაკონებდა ანტიურ ტრაგედიებში გამოყენებული ქოროს როლს.

შემდგომ წლებში რუსთაველის თეატრს სათავეში ჩაუდგინენ გამოჩენილი საბჭოთა მსახიობები აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე. მარჯანიშვილის ამ მოწაფეებს, რომლებმაც კარ-

სცენა სპექტაკლიდან „კვიციანი“ (გრიბოედ. თეატრი)



გად შეითვისეს თავიანთი მასწავლებლისაგან რეალისტური ხელოვნების ტრადიციები, საკუთარი ხანგრძლივი შემოქმედებითი პრაქტიკის მანძილზე არასოდეს უღალატნიათ ამ ტრადიციებისთვის. აკ. ხორავამ და აკ. ვასაძემ თავიანთ თავში განასახიერეს ყველაფერი კარგი და მოწინაავე, რაც ახასიათებდა იმდროინდელ რუსთაველის თეატრს — მაღალი პეროია, ფორმის მონუმენტური ეპიკრობა, ცხოვრების მოვლენების განზოგადებისა და ტიპიზაციის ჩინებული უნარი. ისინი ცდილობდნენ ეს თვისებები რუსთაველის თეატრის ყველა სპექტაკლისათვის მიენიჭებინათ. არა ყოფილი, არამედ მაღალი, თანამედროვეობის რომანტიკული და გმირული პათოსით შეფერილი რეალიზმი, ქვეშაობითი ხალხურობა და კომუნისტური იდეურობა, — აი ის უმთავრესი თვისებები, რომელნიც რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედების მიზნად და საფუძვლად იქცა.

რეალიზმთან რუსთაველის თეატრის განუყრელი კავშირის მაკაფიო დამადასტურებელი იყო ამ წლებში დადგმული ისეთი სპექტაკლები, როგორცაა ა. კორნეიჩუვის „ალბატონ კრეჩერი“ (ფეხისორი შ. აღსაბაძე, 1935 წ.), რომელშიაც აკ. ხორავამ საბჭოთა ექიმის შესანიშნავი სცენური სახე შექმნა და ს. შანიშვილის „არენა“ (რეჟისორი აკ. ვასაძე, 1936 წ.), რომელმაც ქართულ თეატრს მისცა გლახური მოძრაობის ბელადის ბრწყინვალე სახე, შექმნილი იმავე აკ. ხორავას მიერ.

სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის მხრივაც განსხვავებულ დრამატურგიულ მასალაზე შექმნილი ორივე ეს სპექტაკლი განამტკიცებდა თეატრის მაღალ მოქალაქეობრივ პათოსს, თანამედროვეობის არსებითი პრობლემების მახვილ შედგენას და გათვალისწინებას თეატრის მუშაობაში.

იმ პერიოდის საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მხატვრულ მოვლენად იქცა შექსპირის „ოტელოს“ დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე (რეჟისორი შ. აღსაბაძე). ამ სპექტაკლში ფართოდ იქნა გამოყენებული საბჭოთა თეატრის ის მიღწევები, რაც მან შექსპირის სცენური ხორცენახის საქმეში მოიპოვა. ამასთან, ამ მიღწევებს თავისებური ეროვნული ელფერი მიენიჭა აკ.

სპექტაკლი „ოტელო“ ღრმად ნაციონალური ნაწარმოებია თავისი ტემპერამენტით და ამავე დროს ძალზე დაშორებული ნაციონალური შეზღუდულობისაგან, რაც ასე ნათლად იგრძნობოდა თუნდაც ისეთ სცენურ ქმნილებაში, როგორიც „ლამარა“ იყო. „ოტელოში“ ორგანულად იყო შერწყმული ერთმანეთთან რუსთაველის თეატრისათვის აგრეთვე რიგად დამახასიათებელი გმირული შემართებაც, მისი მონუმენტური უბრალოებაც, ნათელი რეალისტური დამაჯერებლობაც და მახვილი სახასიათო კულმენტაც. ყველა ამ თვისებამ თავისი შესანიშნავი გამომატკეობა პიოვა თეატრის ორი წამყვანი მსახიობის ნამუშევარში, აკ. ხორავას მიერ ოტელოს ბრწყინვალე სახის გამოკვეთაში და აკ. ვასაძის მიერ იაგოს როლის ჩინებულ განსახიერებაში. სპექტაკლ „ოტელოთი“ ქართულმა თეატრმა საბოლოოდ მოიპოვა ფართო პოპულარობა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ქართული თეატრი, რომელიც სულ უფრო და უფრო აფართოვდა თავის იდეურ-შემოქმედებითს შესაძლებლობებს, აღრმავებდა და სრულყოფდა თანამედროვეობის საკითხებზე მუშაობის მეთოდებს, ამ პერიოდში ძალზე მიუხალოვდა არაჩვეულებრივად საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტას — რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის სახის სცენურ ხორცმს-

ხმას. იყენებდნენ რა რუსული თეატრის გამოცდილებას ამ საქმეში, კერძოდ, ითვალისწინებდნენ რა საბჭოთა ეპოქის დიდი მსახიობის შ. შკუბინის მიერ ლენინის მხატვრული სახის შექმნის ბრწყინვალე მაგალითს, ქართული თეატრისა და საქართველოში მომუშავე რუსული დრამატული თეატრის მსახიობებმა დ. მუაგვიამ (რუსთაველის თეატრი), პ. კობახიძემ, შ. გომელარამა (მარჯანიშვილის თეატრი), კ. მიუფუკემ (გრიბოედოვის სახ. თეატრი) ჩვენს სცენაზე შექმნეს შთამაგონებელი და ღრმად ადამიანური სახე დიდი ლენინისა. ამასთან ერთად მ. გელფანმა, ვ. გოძაშვილმა, ა. კობალაძემ, ა. ომიანიძემ და ვ. ბრაგინმა საქართველოს თეატრების სცენაზე შექმნეს ი. სტალინის მხატვრული სახე.

ოცდაათიანი წლების დასასრულს ქართულმა თეატრმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. მრავალი სიძულესი დაძლიეს შემდეგ, იგი აღმა ხელს შეუდგა. და ამ დროისათვის თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის განვითარებაში. განსაკუთრებით განმტკიცდა და გაძლიერდა მისი ავტორიტეტი რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების გასტროლების დროს მოსკოვისა და უკრაინაში, აგრეთვე ქართული ხელოვნების პირველი დეკადის დღეებში მოსკოვში, როდესაც მოსკოველი მაყურებლებისა და მსმენელების წინაშე პირველად წარსდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, თეატრი, რომელმაც შესანიშნავი დემონსტრირება მოახდინა ჩვენი ვოკალისტების, მოცეკვავეების, მუსიკოსების და რეჟისორების ხელოვნებისა.

ცმცხლის ხასხუ

ომი. როგორც მძინვარე გრივალი, ისე შემოიჭრა იგი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, ააფორიჭა მისი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა. ომს თან მოჰყვა მრავალი ათასი ადამიანის ტანჯვა, წამება, დამცირება და სიკვდილი. ომმა ბევრი რამ შესცვალა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ ვერ შესცვალა უმთავრესი, — მისი სიმტკიცე, გამძლეობა და სიამაყე. საბჭოთა ადამიანი დადგა თავისი საშობლოს სადარაჯოზე.

მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად თეატრმაც სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა თავისი მუშაობა.

ბევრი რამ შეიცვალა თეატრის ცხოვრებაშიც, — ხანგაყვარი გახდა მისი რიტმი, მისი მაჯისცემა. როგორც ნათელი შემოქმედებითი ქმნილებანი ომის წლებისა, ისე დარჩა ხალხს მესასიერებაში საშფო ბრიგადების, ეგერეთოდებული საფრონტო ბრიგადების კონცერტები. ეს ბრიგადები უდიდეს ენთუზიაზმსა და თავდადებას იჩენდნენ საბჭოთა არმიის ნაწილების მხატვრული მომსახურების საქმეში. ამ ფრონტულ კონცერტებში თავი ისახელეს როგორც უფროსი თაობის მსახიობებმა, ისე ახალგაზრდა აქტიორებმა.

ქართული თეატრი ცეცხლის მოწინავე ხასზე აღმოჩნდა. და თუ საომარი ვითარების ამსახველი სრულფასოვანი დრამატურგიის უქონლობის გამო თეატრი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო ნაქართველ შექმნილი „ბოიევიკებით“, ამამოაც იყო განუყოფელი, თავისებური მიმზიდველობა. სასწრაფოდ, ომის გაუნღებელ ნაკვალევზე შექმნილი ეს ერთაქტიანი მინიატურა-სკეტჩები, საკონცერტო ნომრები გაუღნთილი იყო მებრძოლი სულსკვეთებით, მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილით. მებრძოლებში მათ შეჭჭოდათ გამარჯვების რწმენა.

მალე დიდი დრამატურგიაც მოვიდა თეატრში. რა ვუყოთ,


რომ ამ პიესათაგან ყველაში არ იყო მოცემული საომარი მოვლენების ფართო განზოგადება, რა ვუყოთ, რომ ზოგიერთ ეს პიესები არ გამოირჩოდნენ ხასიათების დამუშავების სიღრმით, სამაგიეროდ უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო მათში — მხრვალე გულწრფელობა და სიმართლის დიდი გრძნობა, რაც ერთგვარ კომპენსაციას უკეთებდა ამ პიესების მხატვრულ არასრულესაფერებას. ისეთ სპექტაკლებში, როგორც იყო გ. მდივის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“ და „მოსკოვის ბჭესთან“, ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“, ბ. გამრრევილის „გრივალი“, გ. მდივის „პარტიზანები“, კ. სიმონოვის „მედლეუ“, გ. შატერაშვილის „ფიჭვის გორა“, ხილო ცოტა მოვიყვანოთ, უკვე ომის შემდგომ — ბ. ჩირსკოვის „გამარჯვებულნი“ (რუსთაველის სახ. თეატრი, რეჟისორი ა. ვასაძე) და ლ. გოთუას „უძლეველნი“ (მარჯანიშვილის სახ. თეატრი, რეჟისორი ვ. ტაბალიაშვილი), ქართული თეატრის ცდილობდა სიმართლით აესახა ომის გმირული ეპიზოდები, დამაჯერებლად ეჩვენებინა ომით გამოწვეული რთული შინაგანი განცდები ადამიანისა. რამდენი აქტიორული წარმატება მოიპოვა ქართულმა თეატრმა ომის თემაზე შექმნილი სპექტაკლებში! რა შესანიშნავი, პირდაპირ განადიოვული შთაბეჭდილების მომხდენი იყო აკ. ხორავას მიერ შექმნილი გენერალი მურავიოვი („გამარჯვებულნი“), ანდა გენერალ ვინკოვადოვის სახე, შექმნილი გ. დავითაშვილის მიერ იმავე სპექტაკლში. როგორი შთამბეჭდავი სისადავე და ჭეშმარიტი გმირობა იყო ს. ზაქარიაძის მიერ შექმნილი კაპიტან რატიანის მხატვრულ სახეში („უძლეველნი“). ამ აქტიორული დამუშავებებში ბრწყინვალედ იყო ხორცმეხსმული თვით პრობლემა თანამედროვე დადებითი გმირის რეალურობისა საბჭოთა თეატრში.

ქართულ სცენაზე გამოჩნდნენ მამაცი სახალხო გმირების — ბაგრატიონის, კიკვიძის, ოლეკო ლუნდიჩის, გენერალ ბრუსილოვის სახეები, და ეს საცხებით კანონზომიერი მოვლენა იყო, — ომის დღეებში განსაკუთრებით გაძლიერდა ხალხის ინტერესი გმირული წარსულისადმი, რომელიც არა შეთხზულ, გამოგონილ, არამედ კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენებში იყო განსხვავებული.

ომის უკვე პირველივე თვეებში დაიდა რუსთაველის

სცენა სპექტაკლთან „ბატალიონი“





სცენა სპექტაკლიდან „მზის დახვეწება საქართველოში“

თეატრის სცენაზე ვ. დარასელის „კიკვიძე. სპექტაკლის დამდგმელმა და მთავარი როლის შემსრულებელმა აკ. ვასაძემ მხატვარ ირაკლ გამრეკელთან ერთად შექმნა ამაღლებული ნაწარმოები სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირის, დომლის სახეშიც მკაცრი ვაჟკაცური უბრალოება შერწყმული იყო გმირულ-რომანტიკულ შემართებასთან.

1942 წელს აკ. ხორავამ და ბ. ზაქარიაძემ შესარულეს ოლეო დუნდინის როლი მ. კაცისა და ა. რეშვების ამავე სახელწოდების პიესაში. ეს იყო დიდებული სცენური სახე სერბიული გმირისა, რომელმაც თავისი მამაკობით შორს გააუთქვა სახელი სერბიულ ხალხს სამოქალაქო ომის წლებში. ეპიური სიშველიდა და კეთილშობილებით გამოირჩეოდა გ. დავითაშვილის მიერ შექმნილი სახე გენერალ ბრუსილოვისა ი. სელვინის ამავე სახელწოდების პიესაში.

ამ ხასიათის სპექტაკლებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია რეჟისორ ვ. ყუმიტაშვილის მიერ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დადგმულ ა. სამსონიას პიესას „ბავრატინი“. აგრძელებდა რა მარჯანიშვილის ტრადიციას, თეატრი ისწავლიდა წინ წამოეყენა ამაღლებული, გმირული საწყისი პიესისა, ამასთან შეენარჩუნებინა აქტიორული განსახიერების ცხოვრებისეული სიმართლე, და თეატრმა მიაღწია კიდევ დასახულ მიზანს. სწორედ უბრალოებასა და ცხოვრებისადმი სიმართლის უსაზღვრო ერთგულებაში იყო შალვა ღამბაშიძის კუტუშოვის სცენური გამოშასხველობის ძალა, სწორედ უშუალობასა და განცდის სიწრფილეში იყო დამაჯერებლობა სერგო ზაქარიაძის ბავრატინის ვენიანის, მხურვალე შინაგანი სამყაროსი. ორივე მსახიობმა დიდის ოსტატობით გახსნეს თავიანთი გმირების ხასიათების სიღრმე და ამ როლებში რეალისტური, დამაჯერებლობის დიდ სიმაღლეს მიაღწიეს.

თავის განვითარების მთელ მანძილზე ქართული თეატრი ყოველთვის დიდ მისწრაფებას იჩენდა ისტორიული სიუჟეტებისადმი. ქართული თეატრების სცენაზე არაერთხელ შეიქმნა, მაგალითად, გიორგი სააკაძის სახე. სამამული ომის პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებისადმი. წარმატებით დაიდო რუსთაველის თეატრში ს. მანიაშვილის პიესა „კარწაისის გმირი“ (რეჟისორი დ. აღუქიძე); ასევე ჯერმეტბა ხედა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგმულ დ. გოთუას ისტორიულ პიესას „მეფე ერეკლე“ (დადგმა ვ. ტაბიაშვილისა). ამ პიესებში გადმოცემულია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის. განსაკუთრებით

გამორჩეოდა ვ. გვიძაშვილის მიერ შექმნილი ერეკლე შორის სახე და გ. შავგულიძის საიათ-ნოვა. რომანტიკული აღმართების ნათელი სხივი შეჭინდა სპექტაკლში ვ. ანჯაფარიძის (ანა) და ს. ზაქარიაძის (ბესიკი) შესანიშნავ დუეტს.

პერიოდისა და პატრიოტიზმის სულით იყო გაკუნთილი ისეთი დადგმები, როგორც იყო მ. ჯაფარიძის „ქამბატარის ასული“ (დადგმა მ. ღამბაშიძისა) და დ. გოთუას „დაით აღმამეხეხელები“ (დადგმა ვ. ტაბიაშვილისა, მარჯანიშვილის სახ. თეატრი), ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლატია“ (დადგმა ა. ხორავასი, რუსთაველის თეატრი). ამ პიესაში გამოყვანილი ამაღლებული ისტორიული სახეები მაყურებელს ყოველთვის ახსენებდნენ, თუ რა მაღალი ღირებულება აქვს ადამიანის ისეთ თვისებებს, როგორცაა სამშობლოსადმი სიყვარული, ხალხისადმი ერთგულება, ვაჟკაცობა და გმირობა.

დიდი სამამული ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ბევრი რამ იყო გადატანილი ამ წლებში, და თეატრებს ჰქონდათ განვლილი ამბების შეჯამების შესაძლებლობა. შეიძლება ყველაფერი არ იყო გაკეთებული დადგმების მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისით; მართალია, ქართულ სცენაზე არ დადგმულა ისეთი შესანიშნავი პიესები ომის შესახებ, როგორცაა „ფრონტი“ — ა. კორნიჩუკისა, „რუსი ადამიანები“ — კი. სიმონოვისა, „შემოსევა“ — ლ. ლეონოვისა, რომლებშიც ომის პერიოდის ამბების შესანიშნავი განზოგადებაა მოცემული (ლეონოვის „შემოსევაში“ დღის სინათლე იხილა 1959 წელს და, სამწუხაროდ, ძალიან სუსტი რეჟისორული გადაწყვეტილი), მაგრამ მთავარი მანინც იყო ის თავდადება, უანგარო ერთგულება სამშობლოსა და ხალხისადმი, რაც ქართული სამტოთა თეატრის მოღვაწეებმა გამოაღიანეს იმ მრისხანე დღეებში.

ეს ყოველივე საშვილოშვილოდ იწერებოდა ისტორიაში ოქროს ასობით.

ოსტატობის მწვერვალისაკენ

ომის შემდგომი წლები ქართული თეატრის ცხოვრებაში ახალი შემოქმედებით აღმავალი აღინიშნება. პიტაგორელთა ურდოებზე გამარჯვება, მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის გაფართოება, სასალხო მუწურების აღდგენა და შემდგომი განვითარება ახალ ამოცანებს აყენებდა საქართველოს თეატრების წინაშე. თავის ისტორიულ კადრწევებით მისცა ამ ამოცანებს. პარტია მოუწოდებდა თეატრებს შექმნათ სრულყოფილი, მხატვრული თვალსაზრისით, მაფიო სპექტაკლები, რომლებშიც გახსნილი იქნებოდა საბჭოთა ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებები.

საქართველოს თეატრები მზად იყვნენ ამ ამოცანების შესასრულებლად. მტკიცედ და ბეჯითად მიიწოდდნენ ისინი თავისი მიზნისაკენ, ცდილობდნენ უფრო ღრმად და სრულად აღეშინათ ომგადატანილი ადამიანის შინაგანი სამყარო.

ომისშემდგომ წლებში შექმნა სპექტაკლები, რომლებშიც თანამედროვე ადამიანის ცხოვრება საკმაოდ დამაჯერებლად და ამაღლებულად იყო წარმოდგენილი. როგორც ზეით იყო აღინიშნული, მაყურებელში დიდი წარმატებით სარგებლობდა სპექტაკლები: „გამარჯვებულნი“ და „უძლიერნი“, აგრეთვე ბ. ლავრენცის „მეზღვაურები“ (1946 წ.), ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“ (1947) და „მისი ვარსკვლავი“ (1950), კ. სიმონოვის „სხვისი ჩრილი“ (1949), ფიჭიკის „ადამინაბეო, იყავით ფიზიკად“ (1951), გ. ქეღბაძის-ნის „ახალგაზრდა მასწავლებელი“ (1953), ვ. როსოვის

„გზა შვიდობისა“ (1955), ი. ვაკელის „საქმიანი კაცი“ (1956) — რუსთაველის სახელობის თეატრში. მ. მრევლი-შვილის „სარატანთ კერა“ (1949), ვ. პატარაიას „სანაპირო რუკი“ (1950), მ. ბარათაშვილის „მარინი“ (1950), ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“ (1951), ვ. გაბისკირიას „გაზაფხულის დღია“, (1952 წ.), პ. მუსხტიანის „ოჯახის ღირსება“ (1953), ი. გალანის „სიყვარული გარყვარებში“ (1953), ვ. მიწის „გვიანის დასახელებული“ (1954), რ. თაბუკაშვილის „რეაქციის მდივანი“ (1954), გ. შატბერაშვილის „უცნობი ქალი“ (1955), ვ. გაბისკირიას „ახალწლის ღამეს“ (1956), მ. მრევლიშვილის „ზავი“ (1956) — მარჯანიშვილის სახ. თეატრში და სხვ.

რასაკვირველია, ჩამოთვლილ პიესებსა და სპექტაკლებში ყველაფერი ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ბევრ მათგანს აცლიდა მორეალისტა ფართოდ აღქმა, აზრის სიღრმე. ერთში არ იყო კონფლიქტები, მეორეს ბოჭვად მოქმედების სფეროს შესრულებულია. დრამატურული მასალის ვერცხვით სწორად დამუშავებად მოქმედებდა მთელ დადგამზე. და მაინც, ამ სპექტაკლების უმრავლესობა ხასიათდება გულწრფელობით, ადამიანობით, მაღალი მორალური და მოქალაქეობრივი პათოსით, ემოციურობით. მათში ქართული თეატრის ამჟღავნება თავის სწრაფვას ფხვდახვდ მისკოლოდა თანამედროვეობას. სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ აქ წარმოიშვა ისეთი აქტიური პორტრეტები, როგორცაა ლევან ჩაღანელი — ა. ვ. ვასაძისა, ზურია, ლონგინოზ, ზანდუკელი, — გასო გოძიაშვილისა, პროფესორი გოლეთიანი — შალვა ღამბაშიძისა; სერგო ზაქარაიძის გიგაური, მიკოლა, ჯაფარიძე და თინათინი; ცყცილია წუწუნავას ფეროსინე; ვერიკო ანჯაფარიძის დარეჯანი და ვარგარ; ნიკოფორე უკლებ და ლუკა — გიორგი შავგულდიასა, ნეფირიძე — აკაკი ჭავჭავაძისა; პირიდიონი — ალექსანდრე ჟორჟოლიანისა, ჭრიჭინა — მედეა ჯაფარიძისა, გაბოზ ხათასი — ვახტანგ ნინუასი და სხვ.

ყოველი ამ სახეთაგანი შორს იყო ყოველდღიური ერთფეროვნებისგან. მკვეთრი, მახვილი სახასიათო კომპლექსობა ერთისა, მკაცრი თავშეკავებულობა მეორესი თუ პირიქით, რომანტიული აღმადგენა — ადასტურებდნენ რეალისტური თეატრალურობის სიყოფისუნარიანობას, რომლის საფუძველი ქართულ საბჭოთა თეატრში კოტე მარჯანიშვილმა შექმნა.

ძიება ამ თეატრალურობის ისევე, როგორც გმირულისა, სრულიადე არ ეწინააღმდეგება ქართული თეატრის ბრძოლას სცენაზე სოციალისტური რეალისმის მეთოდის დამკვიდრებისათვის. პირიქით, იგი ამ ბრძოლის ბრწყინვალე გამობატელებია.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ქართული თეატრი ყოველთვის იწინა მიდრეკილებას ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის თემებისადმი. ქართული თეატრების სცენაზე ომის შემდეგაც იდგება პიესები, სადაც მთელი თავისი სიღაღით წარმოგვიდგება სახე ხალხისა, რომელმაც რევოლუცია მოახდინა. და ისევე ამაღლებული, მონუმენტური პერიოკა პოულობს ასახვას ახლად შექმნილ სპექტაკლებში: შალვა დადიანის „ნაპერწყლიდან“, ნ. პოგოდინის „ოთფიანი კაცი“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, ი. პოპოვის „ოჯახი“, „დაუვიწყარი 1919 წელი“ და „ოპტიმისტური ტრაგედია“ ვს. ვიშნევსკისა, „1917 წელი“ — მ. ტიუხარლის და ლ. ასათიანისა და სხვ.

ქართული თეატრის რეალისტური საფუძვლების განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემოქმედებითი კოლექტივების მისრულებამ აეთვისებით ქართული კლასიკური დრამატურების მდიდარი მემკვიდრეობა, რაც ჩვენი თეატრის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გამოიხატა. კერძოდ, ჩვენი თეატრების სცენაზე დაიდგა ქართული კლასიკოსების ნაწარმოებთა ინსცენირებები („ნინოშვილის გურია“ — ე. ნინოშვილის ნ-წარმოებთა მიხედვით, — 1933 წ., ი. ტაგაძის „ჩატხილი ხიდი“ — 1935 წ. და „კაცია-ადამიანი?!“ — 1946 წ., ლ. არდაზანის „სოლომონ ისაკი მუჯღან-ნაუშვილი“ — 1940 წ., ა. ყაზბეგის „მოდგარი“ — 1948 წ.), აგრეთვე ა. ცაგარლის კომედია „ჩაცე გინაბავს, ველარ ნაბავ“, გათა ფშაველას დრამა „მოკვეთილი“ და სხვ. ქართული კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების საქმეში დიდი მიღწევა იყო გასო გოძიაშვილის მიერ შექმნილი ლუარსაბ თათქარის („კაცია-ადამიანი?!“). ამ ცოტა ხნის წინ რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ დადგა რომანტიკითა და პერიოტი აღბეჭდილი, შესანიშნავი მონუმენტური სპექტაკლი „ბატრიონი“ (გაუთა ფშაველას ცნობილი პიემის სცენური ვარიანტი, ავტორი — დ. გარეჩილაძე), რომელშიაც ხორმესხმულია მარჯანიშვილისეული თეატრალობის საუკეთესო ტრადიციები.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩატარა ქართულმა თეატრმა რუსულ კლასიკაზე. ჩვენს სცენაზე იდგმებოდა მ. ლერ-მონტოვის, ა. ბუშინის, ნ. გოგოლის, ა. ოსტროვსკის, ა. სუხოვი-გობლინის ქმნილებანი. განსაკუთრებული წარმატება ხვდა სპექტაკლ „უშუბოვის“, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა 1944 წელს (მთავარ როლს ვ. ანჯაფარიძე ასრულებდა). ასევე წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე სპექტაკლი „ზოჯაჯარ ბრძენი“ შეცდება“, რომელშიაც გლუმოვის როლი შეასრულა ახალგაზრდა მსახიობმა გ. გვეგვიკორმა.

ქართული თეატრისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო რეჟისორ ა. თაყაიშვილის მიერ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგმული „რევიზორი“ (1951 წ.), რომელშიც გიორგიანის როლს ბრწყინვალედ ასრულებდა მ. დამაშვიძე.

ღრმა მნიშვნელობა აქვს ქართული თეატრისათვის სოციალისტური რეალისმის ფუძემდებლის მ. გორგის პიესებზე მუშაობას. ჩვენს სცენაზე წარმატებით დაიდგა მისი „მტრები“

სცენა სპექტაკლიდან „კოლხეთის ცისკარი“ (მარჯ. თეატრი)





სესია საბუღალტრო-საგადასახადო მუშაკებზე

(რეჟისორი ავ. ვასაძე, 1951 წ.), „ვასა ქელეზნოვა“ (რეჟისორი დ. ალექსიძე, 1954 წ.), „ფსკერზე“ (რეჟისორი ლ. იოსელიანი, 1957 წ.) და სხვ. ამ სპექტაკლებში თეატრები ცდილობდნენ ხაზი გაესვათ და წინა პლანზე წამოეწიათ გორკისეული სიცოცხლისდამაგვირგებელი პათოსი, ხასიათების არაჩვეულებრივი სიმდიერე და გმირთა მშურვალე განცდები.

ქართული და რუსული თეატრების მჭიდრო ურთიერთობის გამოხატველი იყო რუსთაველის თეატრის სცენაზე ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფის“ დადგმა (რეჟისორი ავ. ვასაძე). ეს სპექტაკლი დიდი მნიშვნელობის მოვლენად იქცა საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში. ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“ საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრში დაიდგა, მაგრამ ყველაზე სრულყოფილი სცენური განსახიერება მან ქართულ თეატრში ჰპოვა. თეატრმა ღრმა განზოგადებითა და მნიშვნელობით გაიაზრა რუსეთის ისტორიის თემა, ხოლო აკაკი ხორავას ივანე შრისხანე და აკაკი ვასაძის შუისკი სრულყოფილ სცენურ ქმნილებებად იქნა მიჩნეული. სპექტაკლს მიენიჭა სტალინური პრემია.

ქართულ საბჭოთა თეატრს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი უცხოურ დრამატურთათასთან. ისევე, როგორც ჩამოყალიბების პირველ წლებში, იგი შემდგომშიაც ხშირად დგამდა შექსპირისა და შილერის, მოლიერისა და ლოპე დე ვეგას, გოლდონისა და შოუს ნაწარმოებებს.

შექსპირის შემოქმედება ყოველთვის ახლობელი იყო ქართული თეატრისათვის. მისი ქმნილებანი ყოველთვის ის სასიამოვნო იქნა იყო, რომელზედაც გამოიცდებოდა ხოლმე ქართველი რეჟისორების, მსახიობებისა და მხატვრების მისწრაფება მკაფიო თეატრალურობისაკენ, ღრმა გრძნობებისა და ვნებების გამოხატვისაკენ.

მაგრამ არც შექსპირი და არც შილერი არასოდეს არ გამხდრან ქართულ თეატრის მიღვაწეთათვის ისეთი ავტორები, რომელთა ნაწარმოებები მათ დასქეპტაკლებოდნენ გარკვეული ტრადიციულობის გამოსახატავად. შექსპირის (ისევე, როგორც შილერის) შემოქმედებაში ისინი ეძებდნენ გმირთა საცეცხლის ღრმა ფსიქოლოგიურ გამართლებას. ქართველი აქტიორის ბუნებრივი ტემპერამენტი არასოდეს არ ვლინდებოდა „თავის-

თავად“, იგი დამყარებული იყო ღრმა შინაგანი განცდის სიძლიერეზე და ამიტომ ქართველი აქტიორის ამ მძლავრ ტემპერამენტის შერწყმა დიდ შინაგან სიმართლესთან ყოველთვის ამაღლებული, ნათელი და მკვეთრად გამოხატული იყო. ასე გაიგო ქართულმა თეატრმა ტრაგედია „ოტელო“, რომელზედაც ზვეთი ვლასარაკობდით, ასე გაიაზრა მან კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, ასე დაიდგა ამ რამდენიმე წლის წინ „ანტონისი და კლეოპატრა“ (რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი) და სულ ცოტა ხნის წინ კი — „რინარდ III“ (რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი).

ამიტომ იყო, რომ ქართულ სცენაზე შილერიც შექსპირულად აჟღერდა! შილერი, რომელიც აქტიორისაგან მოითხოვს უზარმაზარ შინაგან ძალას, ამაღლებულ პათოსს და პათეტიკას, არასოდეს ყალბად არ აჟღერებულა ქართულ სცენაზე. ქართული თეატრის მიერ შექსპირისა და შილერის შემოქმედების ღრმად გაგების საუცხოო ნიმუშია ისეთი სპექტაკლი, როგორიცაა „მარიამ სტიუარტი“ (რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი) და ისეთი აქტიორული ნამუშევრები, როგორიცაა შექსპირისეული ოტელო და იაგო ავ. ხორავასა და ავ. ვასაძის შესრულებით, ვერკოვ ანჯაფარიძის კლეოპატრა და ვასო გიძიაშვილის რინარდ მესამე. შილერის მარიამ სტიუარტი ვერკოვ ანჯაფარიძის შესრულებით და სესილია თაყაიშვილის დედოფალი ელისაბედი.

სისარულსა და ჭეშმარიტი თეატრალური დღესასწაულის რამდენი წუთი განცდევინა ჩვენს მაყურებელს ქართულ სცენაზე დადგმულმა ისეთმა სპექტაკლებმა, როგორიცაა ლოპე დე ვეგას „სხვისთვის სულელი“, თავისთვის ჭკვიანი“ და კ. გოლდონის „საპატარძლი აფთვიში“ (რეჟისორი დ. ალექსიძე), ბოზარშე „ფიგაროს ქორწინება“ და ვ. პიკუსი „რუი ბლავი“ (რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი), ლოპე დე ვეგას „ცეცხლის მასწავლებელი“ (რეჟისორი დ. ლინიაშვილი), შოუს „პიგმალიონი“ (რეჟისორი ლილია იოსელიანი) და „იულიუს კეისარი და კლეოპატრა“ (რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი), ჯ. ფლტჩერის „ესპანელი მღვდელი“ (რეჟისორი მ. თუმანიშვილი) და მრავალი სხვა.

რეჟისორი დ. ალექსიძის დიდ შემოქმედებით გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს დადგმა სოფოკლეს ტრაგედიის „ოიდიპოს მეფისა“, რომელზედაც ანტიური გმირის სახე სამი თაობის მსახიობებმა — ა. ხორავამ, ს. ზაქარაიძემ და ე. მანჯგალაძემ შექმნეს. ამ შორდებიან რა მთლიან რეჟისორულ გააზრებას, სამივე მსახიობს რაღაც საკუთარი, ღრმად ინდივიდუალური შეაქვს ოიდიპოსის სახის გაგებაში. ავ. ხორავას დიდებული, მიწუმენტური ოიდიპოსი თითქმის განსახიერებდა სოფოკლეს შესანიშნავი სიტყვებისა: „შე ვქმნიდი ისეთ ადამიანებს, როგორებიც უნდა იყვნენ ისინი“. ოიდიპოსი — ს. ზაქარაიძე არ ისწრაფვის ფართო განზოგადებისაკენ, მსახიობს ოიდიპოსის სახეში უფრო მეტად მომხდარი ამბების განჭვრეტის პროცესს იტაცებს; იგი ეძებს თავისი გმირის მოქმედების ლოგიკურ საფუძვლებს და ამ მხრივ იგი ძალიან ღრმა, ჭეშმარიტ დრამატისმს აღწევს. ე. მანჯგალაძის ოიდიპოსში ჭაბუკობი ცუცხლი და ახალგაზრდული დაუოცებელი ვნება ჭარბობს, მას სულიერი სისპეტაკე და რაღაც პავშევირის სისუსტე ახასიათებს. ამ სამი მსახიობის მიერ შექმნილი ოიდიპოსი კიდევ ერთხელ ნათლად მეტყველებს ქართული საბჭოთა თეატრის დიდ შემოქმედების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე.

საღვარგარეთული დრამატურებისადმი ცხოველი ინტე-

რესტი უნდა აიხსნას აგრეთვე ეს ფაქტი, რომ ქართული თეატრი დღესაც ხშირად დგამს უცხოელი პროგრესული მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებს. უკანასკნელი წლების ქართული თეატრალური ცხოვრების ერთ-ერთი საყურადღებო მოვლენა იყო ვ. ანჯაფარიძის მუშაობა ბეზიას როლზე ესპანელი დრამატურგის ა. კასონას პიესაში „ხევი ზეზუურად კვდებიან“. მასურებელთა დამსახურებული წარმატებით სარგებლობს რეჟისორ მ. თუმანიშვილის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმული პ. კოპოტის „როცა ასეთი სიყვარულია“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში თეატრების ფართო ქსელი შეიქმნა. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ოცი პროფესიული თეატრი მუშაობს. აქედან ათი თეატრი თბილისშია, დანარჩენი — კი საქართველოს მსხვილ საოლქო და რაიონულ ცენტრებში — ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორში, სტალინირში, ჭიათურაში, თელავში, ფოთში, მახარაძეში, შუგდიდში.

ეს თეატრები ინტენსიურ შემოქმედებითი სიცოცხლით ცხოვრობენ. სწავლებენ სა თავისი უფროსი კოლეგებისაგან და მიდიან რა იმ გზით, რომელიც საბჭოთა თეატრალური პოლიტიკის მიერ არის გაკვეთილი, საქართველოს ადგილობრივმა და რაიონულმა თეატრებმა თავისი არსებობის მანძილზე გამოიმუშავეს საკუთარი, ინდივიდუალური შემოქმედებითი თავისებურება. რა ვუყოთ, რომ ეს თავისებურება ყველა ამ თეატრის მიერ ბოლომდე არ არის გამოკვეთილი და ნათლად ჩამოყალიბებული, სამაგიეროდ მათ მისწრაფებას — საკუთარი სიტყვა თქვან ხელოვნებაში, ხშირად სასურველი შედეგი მოსდევს.

მაგალითისათვის თუნდაც ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრი ავიღოთ. ქუთაისი დიდი თეატრალური ტრადიციების ქალაქია. ქუთაისელი მასურებელი არასოდეს არ ყოფილა თავისი თეატრის მუშაობის შორიდან მაცქერალი, მირიგ პრემიერაზე შემთხვევით მოსული კაცი. თეატრი ღრმად შეიჭრა მის ცხოვრებაში და ყოველდღიურ საქმიანობაში, იგი მისი ფიქრებისა და განცდების განუყოფელ ნაწილად იქცა. თავისი მასურებლის ამგვარ დამოკიდებულებას არ შეიძლო გარკვეული დღი არ დაესვა ქუთაისის თეატრის შემოქმედებითი მუშაობისათვის, არ შეიძლებოდა გარკვეული მოქალაქეობრივი პათოსი არ მიენიჭება მისი სპექტაკლებისათვის.

ქუთაისის თეატრში მრავალ გამოჩენილ ქართველ რეჟისორს უმოღვაწია: სხვადასხვა დროს თეატრს ხელმძღვანელობდნენ ალ. მიქელაძე, გრ. სულიაშვილი, არჩ. ჩხარტიშვილი, დ. ანთაძე, ვ. ყუშიტაშვილი და სხვ. დიდი ენერჯია შესწირა ქუთაისის თეატრს რეჟისორმა თეიმურაზ ლორთქიფანიძემ. ამჟამად თეატრს სათავეში უდგას აკაკი ვასაძე, და უნდა ითქვას, რომ დღეს ეს თეატრი ხელახალ აღორძინებას განიცდის. მისი რეპერტუარი თვითმყოფადობითა და ორიგინალურობით გამოირჩევა, მისი სპექტაკლები კი რომანტიკობის ელფერით არის აღბეჭდილი. მსახიობები ნამდვილი შემოქმედებითი სიცოცხლით ცხოვრობენ. წარმატებით მუშაობენ აქ რეჟისორები თორა ალექსიშვილი და თამაზ მესხი, მსახიობები შ. პირველი, შ. შაჯალაია, ვ. მეგრელიშვილი, იმ. ხვიჩია, შ. გელაშვილი, ქ. კოლხიდელო, გ. გვენცაძე, თ. კიკნაძე, ნ. საღარაძე და სხვ.

საქართველოს რაიონული თეატრები არა მარტო გულდასმით და ენერგიულად იმალდებენ საკუთარი პროფესიული



სცენა სპექტაკლიდან „რევიზორი“

კულტურის დონეს, არამედ ხშირად შემოქმედებით შეჯიბრში ემგებიან დედაქალაქის თეატრებთან.

საბჭოთა ხელოვნების წლებში დიდ აღმავლობას მიაღწია აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის თეატრალურმა ხელოვნებამ. ამ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც დიდი წარმატებით ჩატარდა თბილისში, ამ აზრის ნათელი დადასტურება იყო.

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში სამუდამოდ შევიდა არჩ. ჩხარტიშვილის მიერ ბათუმის თეატრში ბრწყინვალედ დადგმული „ოდიშოს მეფე“. მსახიობი ი. კობალაძის მიერ შემქმნილი ოტელიოს სახე კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენახვებთან დიდი წარმატებით შეიქმნა. ჩვენი რესპუბლიკის კარგად იცნობს ბათუმის თეატრის მოღვაწეებს — მ. ხინიკაძეს, შ. ინასარიძეს, თეთრაძეს და სხვებს. ამ თეატრში დიდხანს ნაყოფიერად მუშაობდა რეჟისორი შოთა მესხი.


ორი დასი მუშაობს სოხუმის თეატრში — ქართული და აფხაზეთი. ორივეს ჰყავს სერიოზული შემოქმედებითი ძალბი, ისეთი, როგორც არიან მ. ჩუბინიძე, ლ. ჭვიალი, თ. ბოლქვაძე, შედანიია, ვ. ნუნავაძე (ქართული დასი), მ. ზუხუბა, ლ. კას-

სცენა სპექტაკლიდან „მე, ბუბია, ილიკა და ილარიონი“





აკაკი ფაღავა



გიასა ცუცუთაშვილი



აკაკი ვაშაძე

ლანძია, ა. არგუნ-კონოშოკი და სხვ. (აფხაზური დასი). ბეგ-რი საინტერესო საპეტაკალი დაღაა სოხუმის თეატრში რეჟისორმა ს. ჭელიძემ (ქართ. დასი), აფხაზურ დასში კი — აზიზ აგრბამ. ამჟამად როგორც ქართული, ისე აფხაზური დასი შევსებულია თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურს-დამთავრებულებით.

ანალოგიური მდგომარეობაა სტალინის თეატრში, სადაც ასევე ორი — ქართული და ოსური დასი მუშაობს. ამ კოლექტივიდან გამორჩევიან ი. ცხვირაშვილი, ვ. საჩალე-ლი, ი. შერეზაძეშვილი (ქართული დასი), ნ. ჩაბიევა, ზ. გაგ-ლოვა, ვ. გავლოვა, ბ. ცხოვრებოვი, ჩ. გასაევი, დ. მამიევი, კ. ჩოჩიევი და სხვ. (ოსური დასი).

ნიჭიერი და თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარული შე-მოქმედებითი მუშაკების მთელი პლეადა აღიზარდა სხვა რაი-ონულ თეატრებშიც. ესენი არიან გ. ტყაბლაძე, მ. ვაშაძე და ც. ცომაია (ჭიათურის თეატრი), თ. ბურბუთაშვილი, ვ. ჩელ-დოსპირელი და პ. ახვლედიანი (თელავის თეატრი), დობორ-

ჯგინძე, კიტია (ფოთის თეატრი), ბ. ნაკაიძე, თ. თალაკვაძე, ლ. თურმანიძე, ლომიძე და სხვ. (მასარაძის თეატრი), ა. რო-გავა, მოსია და სხვ. (ზუგდიდის თეატრი).

საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრმა. აქ დიდხანს მუშაობდა ვ. ყუმი-ტაშვილი, მის დროს ეს თეატრი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა საქართველოში. ამ ცოტა ხნის წინ თეატრის ხელ-მძღვანელობა დაეკისრა ასალგაზრდა რეჟისორს ლილი იოსე-ლიანს და უკვე ნათლად იგრძნობა, რომ თეატრი ხელახლა იკრებს შემოქმედებით ძალას. ლ. იოსელიანის მიერ გორის თეატრის სცენაზე დადგმული საპეტაკალები — მ. მრეველი-შვილის „ზავაი“ და ვ. გამბისკირიას „შრიალბენი ვერხვები“ გამოირჩევიან ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლით, ადამიან-ური სითბოთი და რეჟისორული აზროვნების სახიფათოთ. ამ თეატრში წარმატებით მუშაობენ მსახიობები: რ. ლორთქიფა-ნიძე, ქ. ბოჭორიშვილი, ვ. ბერუაშვილი, მ. ხვინციანი, ი. ოსაძე და სხვ. აქ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მსახიობი ქალი გ. ივრიელი.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრს. რუსული თეატრი ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა საქართველოში. 1945 წელს ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა საქართველოში მუდმივი რუსული დრამატული თეატრის დაარსების ასი წლისთავი. გრიბოედოვის სახელობის თეატრი თავისი ნაყოფიერი შემოქმედებით ხელს უწყობს რუსული და ქართული კულტურის კავშირის შემდგომ გაღრმავებასა და განმტკიცე-ბას. გარდა იმისა, რომ ჩვენს მაყურებელს აცნობს საუკეთესო რუსულ და უცხოურ კლასიკურსა და თანამედროვე ნაწარ-მოებებს, ამასთან ერთად გრიბოედოვის თეატრი ქართული დრამატურგიის აქტიური პროპაგანდისტიცაა. აქ ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობენ ჩვენი მაყურებლებისათვის კარ-გად ცნობილი მსახიობები: ვკ. სატანა, ა. სპირანიანი, კ. მიუჟ-კე, ა. ზაგორსკი, ნ. ბურმისტროვა, თ. ბელოუსოვა, ი. რუსი-ნოვი, ვ. ზახაროვა, ნ. სპერანსკაია, ი. მაქსიმოვა, ე. კერჟენე-ვიჩი, დ. სლაგინი და სხვები.

თავისი მაყურებლის მიმართ ამგვარივე მისიას ეწევა სომ-

სცენა საპეტაკოდან „სისსლიანი ქორწილი“ (თელავის თეატრი)




ხური დრამის თეატრი, რომლის არსებობა თბილისში კიდევ ერთხელ ადასტურებს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სიბრძნეს. ჩვენი მაცურებელი იცნობს სომხური თეატრის ისეთ მოღვაწეებს, როგორც არიან მ. ბეროიანი, ფ. ბეციკიანი ა. აბარიანი, ა. ლუსინიანი, ე. სტეფანიანი, მ. მოჭორიანი, ს. შეგოიანი, რ. პაპოვიანი და სხვ.

საბჭოთა თეატრალური კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი რესპუბლიკაში შექმნილი მოზარდთა და თოჯინების ქართული და რუსული თეატრები.

საქართველოს საბავშვო თეატრები თავის მაცურებელს აცნობენ ქართული, რუსული და საზღვარგარეთული კლასიკის, აგრეთვე საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს. ისეთი მშვენიერი სპექტაკლებით, როგორც არის „ლ. კეცხოველი“, „ნაცარქექია“, „აჩაკუნე“, „სურამის ციხე“ და სხვ. მოზარდმაცურებელთა თეატრი ნორჩ მაცურებელს უნერგავს სიყვარულს თავისი ქვეყნის სახელოვანი წარსულისა და ლამაზი აწმყოსადმი. ხსენებული სპექტაკლები თეატრმა შექმნა ქართველ დრამატურგებთან — გ. ნახუცრივილთან, ს. მთვარაძესთან და სხვებთან მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობით.

საბავშვო თეატრების სცენაზე აღიზარდნენ მსახიობები გ. კუბარაშვილი, თ. თვალაშვილი, მ. ბუბუტიშვილი, თ. ბელენკო, ჩ. კიროვა, გ. დარსიპანაშვილი, ვ. არეშიძე, დ. ცხაკაია, შ. ცუცქერიძე, იუდიანი, რომანოვი, თ. ორიოლი, მ. ერგნელი და სხვ. საქართველოში საბავშვო თეატრების ორგანიზაციის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ა. თაყაიშვილს, ნ. მარხაძეს, ვ. ვისიერიძეს, ვ. მიქელაძეს და სხვ. ამჟამად როგორც ქართულ, ისე რუსულ მოზარდმაცურებელთა თეატრებს სათავეში უდგანან ახალგაზრდა რეჟისორები ა. გამასახურდია და მ. ოლმანიცკაია.

მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულმა თეატრალურ-დეკორაციულმა ხელოვნებამ. თამამად შეიძლება თქვას, რომ ქართული თეატრის გმირულ-რომანტიკული სტილისა და სადღესასწაულო საზოგადოების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა სწორედ თეატრალურ-დეკორაციულმა ხელოვნებამ. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია მარჯანიშვილისეული „ფუნქტე ოგუზუ-



სცენა სპექტაკლიდან „რაიკომის მდივანი“


ნას“ ანდა „ურიელ აკოსტას“ წარმოდგენა ვ. სიღამონ-ერის-თავისა და პ. ოცხელის გარეშე. და საერთოდაც, ძნელია წარმოიდგინოთ კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობა ქართულ საბჭოთა თეატრში ამ ორი მხატვრისა და აგრეთვე დავით კაკაბაძის, ლალო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, თამარ აბაკელიას და თ. შარლემანის გარეშე. კ. მარჯანიშვილს საოცარი უნარი ჰქონდა „აღმოეჩინა“ არა მარტო მსახიობები და რეჟისორები, არამედ მხატვრებიც. სწორედ კ. მარჯანიშვილმა „აღმოაჩინა“ თეატრისათვის ირ. გამრეკელი, „აღმოაჩინა“ და მიანდო კი-დეც „ჰამლეტის“ ვაფორმება. კ. მარჯანიშვილსაც და ს. ახმეტელსაც შეეძლოთ თავიანთი ჩანაფიქრის მიხედვით წარემართათ მხატვრის ფანტაზია, შეეძლოთ აღენთათ მხატვარი მკაფიო თეატრალურობის იმ გრძნობით, რომლის გარეშე არ არსებობს დღესასწაული ხელოვნებაში.


ქართულ თეატრს უფლება აქვს იამაყოს ისეთი თეატრალური მხატვრებით, როგორც არიან დ. თვაძე, ს. ქობულაძე, კ. სანაძე, ირ. შტენბერგი, უფრო ახალგაზრდებიდან კი —

პავლე ფრანგიშვილი

ალექსანდრე თაყაიშვილი

კონსტანტინე ანდრონიკაშვილი





სცენა საპეტყალისა „თაუელა“

ფ. ლაბიაშვილი, ი. სუმბათაშვილი, ნ. ყაზბეგი, დ. თაყაიშვილი, ი. ასკურავა, ე. დონცოვა, ნალბანდიანი, დ. ნოღია და სხვ. მთელი რიგი ბრწყინვალე ტილოები შექმნა ქართულ სცენაზე ს. ვირსალაძემ.

თეატრი რთული ორგანიზაცია და მისი მართვა ძნელი საქმეა. ხშირად ის, რაც ჩვენ იოლად მისაღწევად გვევლინა სცენაზე, ხოლო რეჟულატორი კი, — სტანისლავსკის სიტყვით რომ ვთქვათ, — „ლაბანია“, თეატრის მთელი კოლექტივის დაძაბული, თავდადებული შრომის ნაყოფია. დიას, მთელი კოლექტივისა, რადგან საპეტყალის და. აქედან გამომდინარე, მთლიანად თეატრის შექმნაში შემოქმედებით კოლექტივთან ერთად მონაწილეობას იღებს ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სადადგმო ნაწილიც. ეს თავდადება, ეს ჭეშმარიტი სიყვარული თეატრისა ძალზე ძვირფასი გრძნობაა. ზევრისთვის (აქ უკვე მსახიობებსა და რეჟისორებს აღარ ვგულისხმობთ) თეატრი თავის მეორე ოჯახად იქცა. მერე რა, რომ მაყურებელი სცენაზე ვერ ხედავს მათ, რა ვუყოთ, რომ ჩვენთვის ხშირად უცნობია მათი ვინაობა; ისინი, თეატრისადმი ამ უზომო სიყვარულის გამო, დიდ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ და

უშუალო გავლენას ახდენენ წარმოდგენის ხარისხზე, ამიტომ დირსნი არიან, რომ ჩვენმა მკითხველმა და მაყურებელმა იცოდეს მათი გვარი და სათანადოდ დააფასოს კიდევ მათი ღვაწლი. აი ეს ადამიანები: ნ. კრავიშვილი, მ. ბარტუტევი, მ. ვასნიანკი, შ. ჯაფარიძე, გ. ქორიძე, ირ. გრატიანოვილი, ნ. გიგაძე, ი. ლორის-მელიქოვი, ა. ქურციკიძე, ს. კილაძე, ა. პატარიძე, თ. კობახიძე, რ. მერაბოვი, თ. კობახიძე, ა. გამყრელიძე, გ. მამულაშვილი, გ. ფარმუშოვი, ა. კობალევიშვილი, ი. მელიქეტოვი, ქ. სხივიშვილი, დ. მაცაბერძე, თ. თაყაიშვილი, ი. ლოვინოვი, შ. ხომერყი, ი. ყარაშაიანი, ი. ფურცელაძე, ი. პეტრიაჩისი და მრ. სხვ.

ქართული თეატრი ძლიერია თავისი შემოქმედებითი მოღვაწეების მრავალრიცხოვანი არმიით. თეატრის ინტერესების სადარჯულე ხანგრძლივი დროის მანძილზე დგანან ისეთი მუშაკები, როგორც არიან დ. მჭედლიძე, დ. ანთაძე, პ. მურდულია, პ. კანდელაკი, ი. გვინჩიძე, პ. პატარაია, ს. ვაჩნაძე, დ. ჩხეიძე, დ. ძნელაძე, შ. გაბესკირია, შ. ქუთათელაძე, ს. პოლიანოვი, აკ. შანიძე, კ. ვაისერმანი, ფ. შენდეროვი, გ. გოგეშვილი, გ. დვინიაშვილი, გ. გვევნიანი, დ. ჭეიშვილი, ზ. ლლონტი, ი. დარსანია, გ. ნავროზაშვილი, ს. კალანდარიშვილი, ბ. ნაკაიძე და სხვები (ნაწილი ამ მუშაკებისა ადმინისტრაციულ სარბილზე შემოქმედებითი მოღვაწეობიდან მოვიდა).

თეატრალური ხელოვნების მაღალი იდეურობისა და რეალიზმისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა თეატრალურმა კრიტიკამ და თეატრმცოდნეობამ. ქართული თეატრის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კრიტიკა ცდილობდა გამოეყო და წინ წამოეწია ის კარგი და ფასეული, რასაც თეატრი ქმნიდა; ამასთან იგი ყოველთვის დროულად მიუთითებდა თეატრს მის შეცდომებსა და ხარვეზებზე. ქართული ხალხი არასოდეს დაივიწყებს უდროოდ დაღუპული სერგო ამალბოლულის მგზნებარე სტატიებს თეატრზე. ქართული თეატრი დიდად არის დავალებული ისეთი მოღვაწეებისაგან, როგორც არიან შალვა აფხაიძე, დიმიტრი ჯანელიძე, აკაკი ფალავა, ზესო ჭლენტი, გუგული ბუხნიკაშვილი, სერგო გერსამია, ალექსანდრე ბურთიკაშვილი, ოთარ ევაძე, ერემო ქარელიშვილი, პეტრე ბახტუნიძე.


ალექსანდრე მიქელაძე



მიხეილ ქორელი



დოდო ანთაძე





დimitრი ალექსიძე



არჩილ ხაჩატაშვილი



გ. კ. პატარიძე

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შეივსო ახალგაზრდა ძალებით ქართველ თეატრმცოდნეთა და თეატრალურ კრიტიკოსთა რიგები. მრავალი მათგანი თეატრალურ სარბიელზე მოვიდა საქციალური უმაღლესი თეატრალური განათლების მიღების შემდეგ. პერიოდულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდება ნ. შალუტაშვილის, ე. თოფურაძის, ნ. ურუშაძის, ნ. შვანგირაძის, ე. შავათაძის, შ. სალუქვაძის, ნ. გურაბანიძის, თ. ჯანელიძის, ვ. კიკნაძის, ე. დუმბაძის, ა. შალუტაშვილის, ტ. იაშვილის, ნ. ლეინფაძის, ც. ყიფიანის, ლ. დლონაძის, დ. დავითაიას, ე. პოპოვას, ლ. კოპლატაძის, ე. გელდიაშვილის და სხვათა სტატეიები, წერილები და რეცენზიები. ისინი ხშირად გამოდიან აგრეთვე როგორც ავტორები თეატრზე დაწერილი წიგნებისა და ბროშურებისა, როგორც ავტორები რადიო და ტელევიზიური პროგრამებისა. თეატრის საკითხებზე სისტემატურად წერენ ლიტერატურათმცოდნე გ. ციციშვილი, ჟურნალისტები გ. მუხრანელი, ს. გველესიანი, ლ. პირადოვი, კ. წერეთელი, ლ. მარკოზოვი, რეჟისორები მ. გიჟიყვრელი, თ. ყანდინაშვილი და სხვ.

ვითარდება რა მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის ერთიანი მდინარების საფუძველზე, ქართული საბჭოთა თეატრი (და ამაში დიდი დასახურება მიუძღვის კოტე მარჯანიშვილს) ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობაში იყო და არის არა მარტო რუსული, არამედ აგრეთვე სხვა მიმომხალსების თეატრალურ კულტურასთანაც. სხვადასხვა დროს ქართული თეატრის სცენაზე იდგმებოდა ი. მიკიტენკოს, ა. კორნეიჩუკის, ი. გალანის, დ. ტუავეის, ი. კორეჩინის, გ. სუნდუკიანის, ვ. მიჩკოს, პ. მუხტაროვის და სხვათა პიესები. ქართული თეატრი არაერთხელ გასულა საქართველოს ფარგლებს გარეთ. მას გასტროლები ჩაუტარებია მოსკოვში, უკრაინაში, აზერბაიჯანში. თბილისში ხშირად ჩამოდიოდნენ უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ლატვიის თეატრები. აღარაფერს ვამბობთ მოსკოვის, ლენინგრადის და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების თეატრებზე, რომელთა სტუმრობა საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა. ქართველი და ჩვენი ქვეყნის მოძიე ხალხების ძმური ურთიერთობის ნათელი დადასტურება იყო „ამიერკავკასიის თეატრალური გაზაფხული“, რომელიც ტრადიციად იქცა. ამ თავისებურ შემოქმედებითს დათვალვიერებაზე სომ-

ხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს თეატრალური კულტეტივები მაყურებლებს უჩვენებენ საუკეთესო სპექტაკლებს და ერთმანეთს ეცილებიან პირველობაში. შემოქმედებითი შეჯიბრება შესანიშნავი სტიმულია ამ თეატრების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც 1958 წელს გაიმართა მოსკოვში. დეკადა თავისებური შეჯამება იყო ჩვენი თეატრების მიერ გაწეული შრომისა. დეკადამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რა ძლიერი შემოქმედებითი ძალები გააჩნია ქართულ სცენას, რა დიდი წარმატებები მოიპოვა ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ იმ იტყ წლის მანძილზე. რომელიც ერთმანეთისაგან აშორებს პირველ და მეორე დეკადას. დეკადამ გვიჩვენა, რომ ქართულ თეატრს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა თეატრალურ კულტურაში, რომ ჩვენი თეატრის მიერ მოპოვებული მიღწევები მხოლოდ ქართველი

სურს სპექტაკლთან „ლოლოს მთა“ (ალოლის თეატრი)





გიორგი
შულაველიძე

ხალხის გი არა, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის კულტურის მიღწევაცაა, რომ ქართული თეატრის ყველაზე მნიშვნელოვანი გამაარვეებანი საბჭოთა კულტურის ოქროს ფონდში შევიდა.

ჩვენნი თეატრის იმედი

დაიხ, სწორედ ამ კეთილი და მრავლის აღმოქმედი სიტყვით გვიანდა დავიწყოთ საუბარი ჩვენს თეატრალურ ახალგაზრდობაზე. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე თეატრში მოსულ ამ ახალგაზრდობას ეკუთვნის არა მარტო აწეული ჩვენი თეატრისა, არამედ მისი მომავალიც. სწორედ მათ, — გამარჯვებული სოციალიზმის წლებში აღზრდილებს — ხედათ წილად ბედნიერება თეატრალურ ასპარეზზე გამოსულიყენენ ქართული სასცენო ხელოვნების შემოქმედებითი აყვავების პერიოდში, მაგრამ ამ საღმრთესაწული განწყობილებას სრულიადაც არ შეუწყვიტა ხელი თვითგამყოფილებისა და თვითდადმეიდების ატმოსფეროს შექმნისათვის. ქართული თეატრის ახალგაზრდა თაობას კარგად ჰქონდა შეგნებული მთელი პასუხისმგებლობა მის წინაშე დასმული ამოცანისა. საჭირო იყო არა მარტო შენახვა იმ მონაპოვრისა, რაც ქართულმა საბჭოთა თეატრმა დააგროვა, არამედ საჭირო იყო თეატრის ახალი წინსვლა, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებების მოპოვება.

კვლევ დადგა დღის წესრიგში ტრადიციის, მეგვიდრეობის ათვისების, წარსულ წლებში მიღებული გამოცდილების გაზიარების, შემდეგ კი — როგორც ლოგიკური გაგრძელება ყოველდღე ამისა, — ნოვატორობისა და ახლის გაბედული ძიების საკითხი.

დრომ უკვე საგრძობლად დაგვაშორა იმ პერიოდს, როდესაც ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე მოვიდა მუხამე თაობა მსახიობებისა, — უმეტესწილად შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი. ეს თაობა გაუბედავად, მსიმიტ როდი მოვიდა თეატრში, პირიქით, მათი ჭაბუკური მზა იმედისმომცემად აუღერდა 40-იანი წლების დასასრულსა და 50-იანი წლების დასაწყისის ქართული თეატრის სცენაზე. მათ ჯერ არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ, არ ყოფნდათ ოსტატობა, მაგრამ მათ შეძენილი ჰქონდათ პროფესიული განათლება და ნიადაგსაც მკვიდრად

გრძობდნენ ფესვებს, და ქართველი მაყურებლისთვის — მალევე მალე გახდა ცნობილი ამ ახალგაზრდების სახელი, ^{აბრ. მსხ. უკ.} ნიქ: მედეა ჩახავა, მედეა ჯაფარიძე, მარინე თბილელნი, ^{სალ. მსხ. უკ.} ყანწელი, ნათელა აფაქიძე, ორივე თამარ თეთრადე, ეკატერინე ვარჩაძე, ელენე ყიფშიძე, თინა ბოლქვაძე, ელენე საყვარელიძე, მზია მახვილაძე, ნოდარ ჩხეიძე, მერაბ და გიორგი გვეგუკორები, ეროსი მანჯავაძე, იაკობ ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, ედიშერ მაღალაშვილი, ვახტანგ ნინუა, კოტე მახარაძე, ბადრი კობახიძე, პავლე ინწკირველი, დავით ქუთათელაძე, გიორგი ტატიშვილი და სხვ.

აქტიურილი მოღვაწეობის უკვე ამ ეტაპზე ნათლად გაიკვია არა მარტო ხასიათი მათი სცენური გამარჯვებებისა, არამედ, მათი შემოქმედებითი ინდივიდუალობა და მხატვრული პროფილი.

შეიძლებოდა დავწრილებით გველაპარაკანა მ. ჩახავას, მ. ჯაფარიძის და ს. ყანწელის ლირიკულ-კომედიურ მინაცემებზე, მ. თბილელის, ელ. ყიფშიძის, ელ. საყვარელიძის, ვ. ნინუას, მ. გვეგუკორის, ბ. კობახიძის მახვილ კომედიურ ნიქზე, ნ. ჩხეიძისა და გ. გვეგუკორის თამაშის მსურვალე, ვნებით აღსავსე და ზეაწეულ მანერაზე, მსახიობებისა, რომელთაც ამავე დროს შეუძლიათ ბრწყინვალედ შეასრულონ კომედიური როლები; ბევრის თქმა შეიძლებოდა ე. მანჯავაძის აქტიურილი პალიტრის მკაფიო მრავალფეროვნებაზე, ე. მაღალაშვილის, კ. მახარაძის, ტ. საყვარელიძის დიდ სცენურ ტემპერამენტზე და ა. შ. მაგრამ რა პირობითაც არ უნდა იყოს ამ ახალგაზრდა მსახიობების ამგვარი „აქტუტაცია“ (ზემოთ ჩამოთვლილმა ყოველმა მსახიობმა აკი ჩინებულად გვიჩვენა თავი სრულიად საპირობირო ხასიათის როლებში), მასში მაინც არის რაღაც ისეთი, რაც შეტანალებად ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ მსახიობთა შემოქმედებითს თავისებურებაზე, მათს ინდივიდუალობაზე. ასეა თუ ისე, მათ მიერ ქართულ სცენაზე შექმნილი ისეთი მხატვრული სახეები, როგორიცაა ა. ჩხეიძის გიჟო, ე. მანჯავაძის ზომირობე, გ. გვეგუკორის ბარათაშვილი, კ. მახარაძის ფუჩიკი, მ. ჩახავას ლიდა პლახა, მ. ჯაფარიძის ჭრიჭინა, თ. თეთრადის ძიძია, ელ. ყიფშიძის ნუკია, ე. მაღალაშვილის აკმა, მ. თბილელის მირანდოლია და ამ წლებში შექმნილი კიდევ მრავალი სხვა სცენური სახე ქართული თეატრის ისტორიაში შევა როგორც მნიშვნელოვანი შემოქმედებითი შედეგები.

გადიოდა დრო. ყოველი ახალი სეზონის დადგომისთანავე ახალი ძალები ემატებოდა ჩვენს თეატრს. ისინი მოდიოდნენ იმავე თეატრალური ინსტიტუტიდან, კინო-აქტიურილი სკოლიდან და მალე ქართველმა მაყურებელმა გაიცნო კიდევ ერთი ნაკადი ახალგაზრდა მსახიობებისა, კერძოდ — დროს ტეზინაძე, ლილია ღამბაშიძე, ნელი მაგლობიშვილი, ჟუჟუნა დუღლავი, ნათელა და მერი მიქელაძეები, თამარ სიხრტაძე, ლაშვინა ჩხეიძე, ლილია ძიგრაშვილი, ლილია შოთაძე, იაშვი ტყავაძე, ბელა ჯაფარიძე, ზენიან ზალდასტანშვილი, ერთი გაგლობიშვილი, იზოლდა ელისაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, კარლო საკანდელიძე, მერაბ თაბუკაშვილი, ვალერიან ელიოშვილი, გიზო სიხარულიძე, რევაზ თავართქილაძე და მრ. სხვა. ამ მსახიობებმა ქართულ სცენას არაერთი საინტერესო სილ შექმნილი სცენური სახე შემატეს.

ზემოთ ჩვენ ვლაპარაკობდით ქართული თეატრის გმირულ-რომანტიკულ ტრადიციებზე, საუკეთესო ქართული სპექტაკლების მონუმენტურ, ენერგ ფორმზე, მკაფიო, სასოფან თეატრალურობაზე, მკვეთრად სახასიათო კომედიურობაზე. როგორ

იყენებენ თავიანთ შემოქმედებაში ქართული თეატრალური ხელოვნების ამ ძვირფას თვისებებს ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები? იქცა თუ არა ჰეროიკა და რომანტიკა ისევე აუცილებელ „ატრიბუტებად“ თავიანთი სცენური ცხოვრებისათვის, როგორც ეს იყო მათი უფროსი კოლეგებისა და მასწავლებლების შემოქმედებაში? როგორ თავსდება ამ ახალგაზრდების შემოქმედებაში რომანტიკული ზეაწეულობა უბრალოებასა და ცხოვრებისეულ სიმართლესთან, რეალისტურ მეთოდთან, რაც თეატრალურ ინსტიტუტში მათი სწავლების უმთავრესი საფუძველი იყო?

ამ კითხვებზე ძნელია ორიოდვე სიტყვით პასუხის გაცემა, ძნელია, რადგან მეტიმეტად რთული და ხანგრძლივია ის პროცესი, რომელიც უნდა გაიაროს ყოველმა ახალგაზრდა მსახიობმა სცენური ცხოვრების დიდ გზაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი შემოქმედებითი გამარჯვებების ანალიზი გვარწმუნებს, რომ გეორგიასა და ამაღლებულის ძიება ისეთივე ბუნებრივ და აუცილებელ მოთხოვნებში იქცა მათთვის, როგორც ქართველ აქტივორთა უფროსი თაობისათვის. ეს ძიებანი არა თუ არ გუნაზღაურებდნენ რეალისტური განსახიერების უმთავრეს პრინციპებს, არამედ უფრო მკვეთრი, უფრო ფართო და დამაჯერებელი ფორმით წარმოგიდგინებ მას. მეორეს მხრივ, ეს ძიებანი არასოდეს არ ქცეულა მექანიკურ გამოვრებად იმისა, რასაც ადრე სხვებმა მიაღწიეს ქართულ სცენაზე.

... როდესაც რუსთაველის თეატრში აღადგინეს სპექტაკლი „ყაჩაღები“ და ავ. ვასაძესთან ერთად ფრანც მთორის როლი ნოდარ ჩხეიძემაც შეასრულა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ახალგაზრდა მსახიობმა დამოუკიდებელი გზით არჩია სიარული სასცენო ხელოვნებაში, რომ მის შესრულებაში არაფერი, არც ერთი მომენტი არ იყო ისეთი, რაც სხვა მსახიობთა მიერ მიღწეულს მოგვაგონებდა. რა თქმა უნდა, ნ. ჩხეიძემ გამოიყენა უფროსი ოსტატების გამოცდილება, მაგრამ ეს იყო გამოცდილებების წმინდა შემოქმედებითი გამოყენება. მან შექმნა დამოუკიდებელი მხატვრული სახე ფრანცისა. რა ვუყოთ, რომ მის მიერ შექმნილ სახეში ნაკლებად იგრძნობოდა სოციალური ქვრადობა, სამაგიეროდ ის ტემპერამენტი, ვნებიანობა და სიმძაფრე, რაც ასე ჭარბად იყო მსახიობის თამაშში, გახდა საფუძველი ნ. ჩხეიძის ფრანცის ფართო აღიარებისა.

... როდესაც ასევე ხელახლა აღდგინელ „ვიკინგიში“ მთავარი გმირი კოტე მასარაძემ განასახიერა, ჩვენ ვერც შეგონდით რომ შემკვიდრებისათვის განსებასთან ერთად (ამ როლსაც ავ. ვასაძემ ასევე ასრულვდა ადრე) ახალგაზრდა მსახიობი მხატვრული სახის გახსნის საკუთარი გზით წასულა.


... იმ წუთებში, როდესაც სცენაზე ვუყვებდით ვრ. მანჯგალაძის ტრაგიკული სიდიადით მოსილ ოიდიპოს მეფეს, ანდა როდესაც ამავე სპექტაკლში მერი მიქელაძის ტემპერამენტიანსა და შინაგანი ტრაგიზმით აღსავსე თამაშს ვუცქერდით მშვეალი ქალის როლიმ, როდესაც ქართული თეატრის სცენაზე მსახიობებმა ე. ყიფშიძემ, მ. მახვილაძემ, თ. თეთრაძემ, თ. ბურბულაძემ, თ. ელბაქიძემ, ბ. ჯაფარიძემ და სხვებმა შექმნეს უმაჯესო ქართველი ქალის მათი წყნითების ამაღლებებელი მხატვრული სახე, ჩვეთვის საცსებით ნათელი გახდა, რომ გმირულ-რომანტიკული თეატრის ტრადიციებმა თავისებური, ასლებური განვითარება ჰპოვეს ახალგაზრდა ქართველი მსახიობების შემოქმედებაში. მეტი რა, რომ ზოგჯერ ეს გმირული ტონი არც თუ ისე ძალუმად ქვრდა, რა ვუყოთ, რომ ზოგჯერ მათ თამაშს მხურვალე ვნება და ის მოწონებელი ეპიური ძალა აკლდა, რაც აგრე რიგად იყო დამახასიათებელი უფროსი თაობის მსახიობებისათვის. სამაგიეროდ, ვერაგინ იტყვის იმას, რომ მათ აკლიათ პოეტური აღმაფრენა და ამაღლებული, მგზნებარე განცდის უნარი. განა ამ სიტყვების დადასტურება არ არის გ. გეგეჭკორის მიერ შექმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილი? მსახიობმა ამ მხატვრულ სახეში თითქმის თავი მოუყარა აღმაფრენას, პოეტურ გზნებას და შინაგან ადამიანურ თრთოლვას.

ცხადია, ყველაფერი ეს თავისთავად როდი მოდიოდა. ხშირად ჰქონდათ მათ შეცდომებები და სერიოზული ჩავარდნებიც, რაც სხვადასხვა მიზეზიდან მომდინარეობდა, როცა ახალგაზრდა მსახიობს არ გამოუვიდა ჰამლეტის როლი, მან თავის წარუმატებლობაში „ბრალი და სიბო“ სპექტაკლის დამდგმელსა და... თავის სიხალგაზრდავეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა მოვაგონოთ გ. გეგეჭკორის (მხედველობაში გვაქვს მისი სტატია ჟურნალ „ტიტატრში“, 1961 წ. № 5), რომ თეატრის ინსტიტუტში მრავალი შემოსხვევა შევიძლია დავსახელოთ, როცა უფრო ახალგაზრდა მსახიობებს უთამაშნიათ

შალვა ინსარაძე

ვიორგი ახილი

სერგო ჰეიძე





გიორგი მელიქიძე



სცენა სპექტაკლიდან „მთა წყნეთელი“ (ოსური თეატრი)

პამლეტი და პირველივე სპექტაკლებში მოუპოვებიათ წარმატება. გაეხსენოთ მოჩალოვი, კაჩალოვი, უმ. ჩხეიძე და მრ. სხვ. თანაც კაჩალოვს „არ გაუმართლდა“ რეჟისორის მხრივ. მაინც ახალგაზრდა კაჩალოვის პამლეტი რუსული თეატრის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო რეალისტიური ქმნილებაა.

ცხადია, ამ სტატიაში ჩვენ სულაც არ ვაპირებთ დავესვათ „დაიჯონოზი“ იმისა, თუ რატომ ვერ გამოვიდა რუსთაველის თეატრს დანიელი პრინციის მსატრეული სახე. უნდა შევიზომოთ მხოლოდ, რომ აზგვარი წარუმატებლობანი საესეებით კანონ-ზომიერი მოვლენაა ხელოვნებაში და ამიტომ ახალგაზრდა მსახიობს უნდა ეყოს გამებედაობა პირდაპირ აღიაროს საკუთარი მარცხი და ვაეკაცურად გადაიტანოს იგი.

ქართული თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე გმირის მსატრეული სახის შექმნის პრობლემას. ეს საკითხი ყოველთვის უპირველესი საკითხი იყო ქართული თეატრისათვის თვით კოტე მარჯანიშვილის დროიდან. დღეს კი განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემა ქართული თეატრის მუშაკების წინაშე, აქ ჩვენ კვლავ ვერ აუვლით გვერდს ტრადიციის საკითხს, რადგან როგორის თავგამებურობითაც არ უნდა გვიმტკიცებდეს ზოგიერთი ახალგაზრდა მსახიობი, რომ ავ. ხორავა, პირველ ყოვლისა, კარლ მორისი, ოტელის და ოიდიპოსის კლასიკური სახეების შემქმნელია, ჩვენ მაინც იმ შარისა ვართ, რომ ქართული თეატრისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია შემოქმედება აკაკი ხორავასი, როგორც ჩვენი თანამედროვე გმირების ისეთი თეატრი, მონუმენტური სახეების შემქმნელისა, როგორცაა ბერსენევი, ანზორი, პლატონ კუჩუკიძე, მურავიოვი და სხვ.

ამიტომ, როგორ შეიძლება თუნდაც ერთის წუთით ეჭვის ქვეშ დაეაყნოს ეს ანბანური ჭეშმარიტება. როგორ შეიძლება ჩვენს ახალგაზრდობას არ ახსოვდეს და არ სწავლობდეს უფროსი თაობისაგან იმ შემართებას და დაფინებულ სწრაფვას, რასაც ჩვენი სახელოვანი მსახიობები: ავ. ვასაძე, ს. ზაქარიაძე, თ. ჭავჭავაძე, ვ. გომიანიშვილი, უ. დამაშვიძე, გ. შავგულიძე და სხვები იჩინებენ თანამედროვე გმირის განსაზღვრების ურთულესი გზის გაკავალბისას.

გაკაცუნენ რა უფროსი კოლეგების გზას, ჩვენმა ახალგაზრდებმა შექმნეს თანამედროვე ადამიანის მრავალი ისეთი სახე, რომელთაც მაღალი შეფასება დამისახურეს. მათ შორის არის

შვეთრად სახასიათოც და ღრმად ღრამატული სახეებიც, დადებითი გმირებიც და უარყოფითიც, ერთი სიტყვით, მივესალმებოდა მრავალფეროვანი პერსონაჟებისა. ამ მსატრეული სახეების უზრალო თვალის გადავლებითაც ვრწმუნდებით, რომ ჩვენს ახალგაზრდა მსახიობებში უმდიდრესი მარაგია პოეტური შესაძლებლობისა. მივიგონოთ მ. ჯაფარიძის ჭრიჭინა და პარასკა, სალომე ყანჭელის ცირა და კალაია, გაიფხ ხავთა-სი ვ. ნინუასი, ბუხალატერი ემოკრატე ბ. კობახიძისა და მრ. სხვ.

დღეს, ქართული თეატრის საიუბილეო დღეებში, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა მსახიობებმა საესეებით გაამართლეს მოლოდინი.

ამ მსახიობთაგან მრავალმა უკვე დაიმსახურა საპატიო წოდება. დღეს ისინი უკვე გადაიქცნენ ქართული თეატრის საშუალო თაობად. მათ კვალზე კი მოდიან ახალი მსახიობები, ახალი შემოქმედებითი ძალები. ამ ახალგაზრდობიდანაც ზოგიერთმა უკვე მოასწრო მაცურებელთა სიყვარულის დამსახურება. გასულ სეზონში შესანიშნავად შეასრულა ზინა კვერნჩხილაძემ ლელას როლი „ბახტრიონში“. მთელ რიგ სპექტაკლებში მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს თათრ მეღვინეთ-უსუცესმა, ნუჯარ ანდლუაძემ, ლეო ანთაძემ, ნელი ფილიაშვილმა, თენგიზ არჩვაძემ, ნუნუ ხეთეღელმა, სოსო ლაღიძემ, ზანდა იოსელიანმა, ქეთო კიკნაძემ, ია ბოკუჩავამ, რეზო ჩხაიძემ, გურანდა გაბუნიაშვილმა, სოფიო ტაიურელმა, ჯ. დღანიძემ, ე. ჭავჭავაძემ, ა. კავსაძემ, ნ. მარგველაშვილმა.

შემოქმედებითად იზრდება ახალგაზრდობა პერიფერიულ თეატრებშიც. ეს პროცესი განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა ქუთაისის თეატრში. ავ. ვასაძის ხელმძღვანელობით აქ თანდათანობით ხდება გაახალგაზრდადებისა. ამიტომაც, რომ ქუთაისელთა საუკეთესო სპექტაკლებში წამყვანი ძალა ახალგაზრდობაა. ეს მდგომარეობა თვალსაწირო გახდა ქუთაისის თეატრის გასტროლების დროს თბილისში. დღეს უკვე აღარავის აეჭვებს ის ფაქტი, რომ თ. ლასხიშვილი, ც. ბერიძე, ლ. ვაჟაბერიძე, თ. სისხარი, ე. სვანაძე, ნ. წიგლაური, გ. ლასხიშვილი და სხვები ქუთაისის თეატრის სერიოზული შემოქმედებითი ძალაა.

უკანასკნელ წლებში თავი გამოიჩინეს ბ. წიფურიაშვილი, ე. კო-



დონიამ და ლ. ფილფანმა (სოხუმის თეატრი), ნ. საკანდელიძემ, ლ. ლოწონტა, მ. შერვაშიძემ და ე. ჩაიძემ (ბათუმის თეატრი), რ. ცაბაძემ, ს. გოგინიაშვილმა, გ. წითაიშვილმა, გ. მახუთაშვილმა, ან. არსოშვილმა (გორის თეატრი) და სხვებმა. ახალგაზრდათა შექმნილი გამარჯვების გზით სიარული! ეს სიტყვები თანაბრად ეყუთვნის იმ ახალგაზრდაობასაც, რომელიც ომისშემდგომ წლებში მოვიდა ქართულ რეჟისურაში. მიიღეს რა სპექტაკლური განათლება თეატრალური ინსტიტუტის კვლევაში, პედაგოგების დახმარებით დაეუფლებნენ რაკ. სტანისლავსკის სისტემის საფუძვლებს, ისინი ისწავფოდნენ პრაქტიკულად გამოყენებითა უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნა. შემოსხვევითი როლია მის გარემოება, რომ მათი მუშაობა ძირითადად წარმოართა მსახიობის ორგანული ბუნების გამოვლინების, სცენაზე ადამიანის სულის ცხოვრების დაშვადრების გზით. სხვა საქმეა, რომ ყველამ ვერ მიაღწია, ანდა ბოლომდე ვერ დასძლია ეს რთული ამოცანა. მაგრამ ისიც კი, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა ახალგაზრდა ქართული რეჟისორების მიერ, უკვე ბევრს ლაპარაკობს მათ ნიჭიერებაზე, მათ პროფესიულ ინსტიტუტაზე.

მართლაც, განა ჩვენმა ახალგაზრდა რეჟისორებმა არ დადგეს მრავალი სხვა სპექტაკლი, რომელნიც კრიტიკისა და საზოგადოებრიობის სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა? გავისწინეთ ახალგაზრდათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლები „ესპანელი მღვდელი“ და „როცა ამოთა სიყვარულია“. ეს სპექტაკლები ნათლად ადასტურებენ იმ აზრს, რომ მ. თუმანიშვილის ხანთა ჩვენ გვეყვას მკაფიო ნიჭის თვითმოყოფი რეჟისორი, რომლის შემოქმედება ქართული რეჟისორული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებად გვესახება. ამიტომ, რა დროსა შემცდარია თეატრცენტრი ე. კრიშოვა*, რომელიც ცდილობს შემოაყენოს კინეცეცია, თითქმის ამგანად რუსთაველის თეატრში რაღაც ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული შემოქმედებითი ხაზი არსებობდეს. თუ აღარაფერს ვიკეთებთ იმაზე, რომ თავივი სტატიითა. კრიშოვა ერთგვარად ავტრძლებს მარჯანიშვილისა და ახმეტელის ურთიერთ დაპირისპირების საფუძველზე მცდარ ტენდენციას, ამასთანავე იგი უპირისპირდებოდა მცდარ ტენდენციას, ამასთანავე იგი დაპირისპირებით თანამედროვეობაში გადმოვიტანოს.

წინამდებარე სტატიის მიზანი სრულიადც არ არის ნ. კრიშოვასთან პოლემიკის გაბმა (ჩვენ უფლებას ვიტოვებთ ხელახლა დავერწინდეთ ამ საკითხს), ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენნი ახალგაზრდა რეჟისორების შემოქმედებითი პრაქტიკაში, ისევე როგორც მათი უფროსი კოლეგების მოღვაწეობაში, მკვეთრად იგრძნობა როგორც მარჯანიშვილის, ისე ახმეტელის საუკეთესო ტრადიციებისადმი სწრაფვა. განა რეჟისორ და ალექსიძის მიერ დადგმული „ოიდიპოს მფეე“ ანდა „ბახტრიონი“ ბრწყინვალე გაგრძელება არ არის ამ ორი რეჟისორის ტრადიციებისა? დიახ, სწორედ ორივე რეჟისორისა და არა მხოლოდ ახმეტელისა, როგორც ეს ნ. კრიშოვას პკონია. განა იგივე არ ითქმის ნ. თუმანიშვილის, ლ. იოსელიანისა და სხვა ახალგაზრდა რეჟისორების საუკეთესო სპექტაკლებზე?

ზევით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რეჟისორმა ლილი იოსელიანმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია გორის თეატრის ხელმძღვანელობის მოკლე პერიოდში. მაგრამ ამ თეატრში

იგი მოვიდა როგორც უკვე გამოცდილი დამდგმელი-რეჟისორი, რომელსაც მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ძველზე-საქართველო ინტერესი, დრმა ადამიანურებით აღბეჭდილი წარმდგომი სპექტაკლი ჰქონდა დადგმული. ასეთია მისი „სიყვარული გაბრწყინება“, „რაიობის მივინჯა“, „გომბალიონი“. ხილო „ფსევრზე“ კი ჩვენ მივგანჩნა მ. გორკის პიესის ნოვატორული წაითხვის საფურადღებო ცდა.

მთელი რიგი საინტერესო დადგმები განახორციელეს რუსთაველის თეატრის სცენაზე რეჟისორმა აკაკი დვალაშვილმა, გრიბოედოვის თეატრის სცენაზე — მერი ოლშანიცკაიამ და თენგიზ ყანდინაშვილმა, სოხუმის თეატრში — იური კაკულიამ (განსაკუთრებით საინტერესო იყო მის მიერ სოხუმში დადგმული ვ. მაიაკოვსკის „აბანო“), მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში — ასიყო გამსახურდიამ და კოტე სურმაშვილმა. წარმატებით მუშაობენ ტელევიზიაში შოთა ქაურხანიშვილი და მერაბ ჯალიაშვილი, რადიოში კი — გურამ მაცხოვრისი. ქუთაისის თეატრში მუშაობენ თორა ალექსიშვილი და თამაზ მესხი. კარგად გამოიხინეს თავი რეჟისორულ მუშაობაში თენგიზ მაღალაშვილმა, ნანა ხატიაშვილმა, გურამ პატარაიამ, გუგული სემისკერაძემ, ნათეს ქაურხანიშვილმა, ლევან მირცხულავამ, ალექო ნინუამ, ნანა მჭედლიძემ, ვაჟა ფაქურელი და სხვებმა.

თეატრალური კადრების სამჭედლო — ასე უწოდებენ რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტს, სადაც უმაღლეს პროფესიულ განათლებას იღებენ დრამის, კინოს და მუსიკალური კომედიის მომავალი მსახიობები, რეჟისორები და თეატრცენტრები. თეატრალური ინსტიტუტი, რომელიც 1939 წელს ჩამოყალიბდა თეატრალური სტუდენტის ბაზაზე, (ამ სტუდენტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი რეჟისორი ა. ფ. ფაღავა) ამჟამად უკვე გადაცემა ქართული თეატრალური კულტურის ნამდვილ კერად. და დღეს, როდესაც ვესვიმობთ ქართული საბჭოთა თეატრის მეორეული წლისთავს და ვლაპარაკობთ ჩვენ თეატრის მომავალზე, არ შეიძლება არ შევინებოთ თბილი, მაღლობის გამოხმატყველი სიტყვა იან რამენამ ამ ინსტიტუტზე, მის პედაგოგებზე, რომლებიც დიდ და კეთილმოზილურ საქმიანობას ეწევიან. ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი ყოველთვის სიყვარულით მოიგონებენ თავიანთ ალმშრდლებს, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, — ინსტიტუტის დირექტორს ი. თავაძეს, პროფესორებს აკ. სორაგას, აკ. ფაღავას, აკ. ვასაძეს, კ. მეღვინეთ-უსუცესს, კ. ანდრონიკაშვილს; დოცენტებს და ალექსიძეს, და. ჯანელიძეს, მ. მრეკელიძეს, ნ. შალუბაშვილს, კ. თოფურაძეს, ნ. ბოკუჩავას; უფროს მასწავლებლებს ვ. გამახაშვილს, რ. მიქელაძეს, ა. კიკნაძეს, ე. კელიას, კ. პადრიძეს, თ. კოსტანაშვილს, კ. პატარიძეს, ა. მიქელაძეს, ა. თავზარაშვილს, კ. ღვინიაშვილს, კ. სარჩიშვილს, ნ. კონტრიაძეს, ა. ჩიკავაძეს, ე. ქუთელიას, ნ. სვანიძეს, მ. ბორჩხაძეს, ა. ფეოდოროვს და სხვებს.

შესანიშნავი ფაქტია და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის დღევანდელ მასწავლებელთა შორის არიან მისი ყოფილი სტუდენტები — დიენტი ბ. ნიკოლაშვილი, ნ. თუმანიშვილი, ლ. იოსელიანი, ნ. ურუშაძე, კ. მახარაძე, ბ. კობახიძე, გვიკ სარჩიშვილი, ლ. მირცხულავა, გ. ჟორდანი, ნ. დატუა, შ. გაყურელია, ლ. კახანაძე, ი. კაკულია, ნ. კანდელია, ი. ცაპააძე.

როგორც ვხედავთ, ამ ოცი წლის მანძილზე ინსტიტუტს ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია. ამაზე ნათლად მეტყველებს ზემოხსენებული ფაქტები.

* იხ. უფროსი „ტეატრი“, 1961 წ. № 3.



ქართულ მიწაზე ლაღად მოაბიჯებს გაზაფხული, გაზაფხული მეორმოცე წლისთავისა.

ორმოცი წელი ეს მართლ სასწიმიო თარიღი როდია, ეს თავისებური საქმიანი შეჯამებაცაა ვანკლელი გზისა.

წლებანდელი, საიუბილეო სეზონი განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობით ჩაატარეს ჩვენმა თეატრებმა. თეატრების ხელმძღვანელები ცდილობდნენ ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების მჭიდრო კავშირის ნიშნით აუგოთ რეპერტუარი. ეს ვანკლელი სეზონის რეპერტუარის ანალიზი ხათლად ადასტურებს იმ აზრს, რომ თეატრების სწრაფვამ თანამედროვე თემატიკისადმი საგულისხმო შედეგი გამოიღო.

გადავხედით თეატრალურ აფიშებს და დავრწმუნდებით, რომ პიესების უმეტესობა თანამედროვე ავტორებს ეკუთვნის. თეატრების რეპერტუარში შეტანილია პიესები, რომლებშიც ასახულია ჩვენი ხალხის სახელოვანი რევოლუციური წარსული, ჩვენი გმირული სინამდვილე. როგორც დადებითი ფაქტი, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა წამყვანმა თეატრებმა თავიანთი საქმიანობა წარმატებულად ავტორიზაციის გზაზე გააგრძელეს. მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობის დროს, ამას კი არ შევძლო სასურველი ნაყოფი არ გამოიღო. აქ ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო ისეთ ამაღლებულ ფაქტს ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში, როგორც იყო ვეჯა-ფშაველას პოემის მიხედვით დავით განჩილაძის მიერ შექმნილი პიესის „ბახტრიანის“ დადგმა, არამედ პირველ რიგში თანამედროვეობის თემაზე დაწერილი პიესებისა და შესანიშნავი ქართული პროზაული ნაწარმოებების სცენურ ხორცშესხმას (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ — ქუთაისისა და მარჯანიშვილის თეატრებში, ს. კლდიაშვილის „ქარიშხალი“ („მყდრო სავანე“) — რუსთაველის თეატრში). ორივე ეს ინსცენირება შეიქმნა თეატრებისა და ავტორების მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგად. ცხადია (და ამაში საკვირველი არაფერია), ამ ნაწარმოებების სცენური ვარიანტები მხატვრული ღირსებებით საგრძნობლად ჩამორჩებიან პროზაულ ორიგინალებს, მაგრამ თვით ფაქტი თეატრების დაინტერესებისადმი ლტერატურით — უმეტესად მისაწიხი და მხარდასაჭერია.

საინოვანებით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი თეატრების საქმიანობაში აშკარად შეიმჩნევა თანამედროვე თემატიკისადმი გაძლიერებული სწრაფვა. ზემოხსენებული ინსცენირებების გარდა, ჩვენი თეატრების სცენაზე დაიდგა თანამედროვეობის ამსახველი მრავალი პიესა. კერძოდ, 1960/61 წლების სეზონში მარჯანიშვილის თეატრში დადგეს ნაზიმ ჰიქმეთის „დამოკვლეს მახვილი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ — ნ. დუმეაძის მოთხრობის მიხედვით, ანა ალბაძის „მღვალაურ დღეები“. მიმდინარე სეზონში მხოლოდ თანამედროვეობის თემაზე აგებული რეპერტუარი აქვს გრიბოედოს თეატრს. ამ პიესათაგან მრავალმა მოუტანა თეატრის შემოქმედებითი წარმატება.

სულ ახლახან დაიდგა გრიბოედოსის სახელობის თეატრში თოარ ჩიჯავაძის „ბედნიერი უღბლო“, რომელშიც ავტორი გონებამახვილურად დასცინის ადამიანურ სისუსტეებს. ამ საექტაკლოში (რომელიც სანატორიოდ დადგა ა. რუბინმა), ჩვენ ვინილბო ისეთი შესანიშნავი ოსტატობით შექმნილი სცენ-

ურის სახე, როგორცაა არჩილ გომიამვილის იკვით. რუსთაველის თეატრმა რეპერტუარში შეიტანა „მედიკოსი“ ლიძის „თანამედროვე ტრაველია“, გრ. აბაშიძის „მოგზაურობა სამ დღეში“, მარჯანიშვილის თეატრმა — დ. შენგელიას „ბათა ქქეია“ (ინსცენირებული კ. მახარაძის მიერ). მოზარდმაყურებელთა ქართულმა თეატრმა ამ ცოტა ხნის წინ დადგა. მრულაშვილის „იყალბილი ბიჭები“ და დ. თქა თაქიშვილის „ნევის შევადრთ“, რომელშიც მოთხრობლია ქართველი ბიჭის თავგადასავალი, თუ როგორ დაიღუპა იგი თეთრგვარადობით ხელით 1922 წელს ლენინგრადში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავის სასწიმიო დღეებში თეატრმა მყურებელს უწევს მ. აბულაძის „ჩიკორი“ (დ. სულაშვილის მოთხრობის მიხედვით). მალე დაიდგება ი. ნონეშვილის პიესა გმირ ქალიშვილზე ზოია რუხაძეზე.

აქტიურად მუშაობს თანამედროვე თემატიკაზე მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრც. მიმდინარე სეზონში აქ დაიდგა მაკვეის „ბრინჯის პირველი მცხოვრები“, ვ. როზოვის „უთარანო ბროლი“, რანეტის „გზაბანული შვილი“, გ. ნახუცრიშვილის „ცეცხლის ხაზზე“ და კაპიტალურად აღდგენილი „პოლკის შვილობილი“ ვ. კაცავისა.

ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი თეატრები ცდილობენ იმგვარად გადაახალისონ თავიანთი მუშაობა, როგორც ამას პარტიისა და ხელისუფლების მიერ კულტურის მუშაობა წინაშე დასმული ამოცანები მოითხოვენ. თეატრები ცდილობენ თავიანთი შემოქმედებით პრაქტიკულად დაეხმარონ კომუნისტური საზოგადოების მშენებელ ადამიანებს. შესაძლოა, ყოველთვის და ყველაფერი არ არის მოწესრიგებული ამ საექტაკლოებში, შესაძლოა მათში აშკარად შეიმჩნევა დრამატურული მასალის სისუსტე, არ ყოფიოთ, რომ ბევრ მათგანში სრულფასოვნად არ იგრძნობა ეპოქის მძლავრი მახვიცემა, იქნებ ზოგიერთი შემსრულებლის მხატვრული ოსტატობაც ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე და ვერც დადებითი გმირის უშიშროვლოვანებას პრობლემამ კპოვა და საექტაკლოებში სრულყოფილი გადაწყვეტა, მიუხედავად ამისა, თეატრები სულით არ დაცემულან. სინდლეები, წარუმატებლობა, შეცდომები, ძიება და ბოლოს შემოქმედებითი აღმადგენა — ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ამბავია შემოქმედებაში. და თუ დღეს, ქართული თეატრის დღესასწაულის ჟამს, ძირითადად ჩვენი თეატრის მიღწევებზე ვილაპარაკეთ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქმის განვიტოვოთ გზაზე მას არ შეხვედროს სინდლეები, მწვადე დათარღობა ადამიანობები. მაგრამ ამ სინდლეების დაძლევა შეუძლია იმას, ვინც ყოველთვის უშიშრად მისიწრაფვის წინ.

დიდ ხომალეს სივრცე უსახლარო სჭირდება სანაოსნოდ. ეს სივრცეობა სუსებით შეესაბამება ქართული თეატრის სულის მისი სურვილი — ფხვნილად მისდიოს თანამედროვეობას, განამტკიცოს კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, მისი სწრაფვა — განაპროცელოს კომუნისტური პარტიის მითითებანი ხელოვნების დარგში, შექმნას პარტიული სულისკვეთებით გაფლნითილი, მაღალი იდეური ჟღერადობისა და ჭეშმარიტი ხალხურებით აღბეჭდილი სცენური ნაწარმოებები, — ყოველივე ეს საწინდარია იმისა, რომ მომავალში უფრო დიდ და მნიშვნელოვან გამარჯვებებს მოიპოვებს ქართული საბჭოთა თეატრი.




აკაკი დვალისვილი



მიხეილ თუშანიშვილი



ლილი იოსელიანი



ლეო შატბერაშვილი



ოთარ ალექსიშვილი

გრიგოლ ლორთქიფანიძე



სცენა სპექტაკლიდან „მეღია“ (აფხაზ. თეატრი)



თანამედროვეობა და თეატრი

(ლ. სანიკიძის „ჭუთათურებში“ ლ. მისიხვილის სახელოვანი თეატრში)

თენგიზ ჯანელიძე

მთავითვე ერთი საკმაოდ ცნობილი და პრესაშიაც არაერთგზის აღნიშნული აზრი უნდა გავიმეოროთ: გარეუკაცმა დღევანდელი ჩვენი ლიტერატურის თვალთ რომ შეხედოს საქართველოს, უთუოდ დარჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის სოფლის მეურნეობის, — ჩაის პლანტაციების, ციტრუსებისა და ვენახის ქვეყანა. მიუხედავად ქართული მუშათა კლასის ცხოვრებაზე შექმნილი რამდენიმე საინტერესო პროზაული ნაწარმოებისა, მაინც ძნელია იმის თქმა, რომ დღევანდელ ქართულ ლიტერატურას სათანადო სიღრმით და მაღალი მხატვრული ოსტატობით აქვს ასახული ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რაც მძიმე ინდუსტრიის განვითარებას მოჰყვა ჩვენს რესპუბლიკაში თუნდაც ომის შემდგომ პერიოდში.

მაგრამ თუ ქართულმა პროზამ ნაწილობრივ მაინც მოიხადა ვალი ამ მხრივ, სამაგიეროდ ქართული თეატრი

და დრამატურგია ისევ ვალმოუხდელია ჩვენი მკითხველისა და მსურველის წინაშე. უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე ქართულ თეატრში არც ერთი პიესა არ დადგმულა მუშათა კლასის თემაზე, რომელსაც სერიოზული პრეტენზია ექნებოდა დღევანდელი ქართველი მუშის ცხოვრების, მისი ფსიქოლოგიის, მისი შინაგანი სამყაროს სრულყოფილი ასახვისა. ის ორიოდ ნაწარმოები, რომლებიც ამ ხნის მანძილზე დაიდგა ჩვენს სცენაზე (პ. კაკაბაძის „ბედნიერების სამჭევლო“, ი. ვაკელის „რვალი“, მ. აბულაძის „ვარსკვლავი ინათობს“ და სხვ.) მთლიანად ვერ უქასუებენ ამ მოთხოვნილებას. ქართული თეატრის წინაშე კვლავაც მთელი სიმწვავეთ დგას ეს ამოცანა და ამიტომ მუშათა კლასის ცხოვრებაზე შექმნილი ყოველი ასალი დრამატურგიული ნაწარმოები განსაკუთრებულ ყურადღებას და მხარდაჭერას მოითხოვს როგორც თეატრების, ისე მსურველთა საზოგადოების მხრივ.

თეატრისა და მსურველის სწორედ ამგვარი მხარდაჭერა პიოვა ლევან სანიკიძის კომედია „ჭუთათურებში“, რომელიც ახალ სეზონში დადგა ქუთაისის თეატრმა.

ის ფაქტი, რომ ქუთაისელთა ამ სპექტაკლს განსაკუთრებული წარმატება ხვდა და ერთი სეზონის მანძილზე სრული აწმლაგებით მიდის, მრავალმხრივ არის საყურადღებო.

უკანასკნელ წლებში ქართულ სცენაზე თანამედროვეობის ამსახველი მრავალი პიესა დაიდგა, მაგრამ, რა დასაძალია, ამ პიესათა ძალიან დიდი ნაწილი ორიოდვე წარმოდგენის შემდეგ მოიხსნა რეპერტუარიდან. ეს პიესები საგულისხმოს არაფერს ეუბნებოდნენ მსურველებს და ეს უკანასკნელიც გულგრილი რჩებოდა მათ მიმართ. აზრის სიღარიბე, პრობლემის უმნიშვნელობა, პერსონაჟთა სქემატუზმი

და პრიმიტიულობა მოსაწყენსა და არაფრისმთქმელს ხდიდა ამგვარ პიესებს და თუმცა ისინი სხვადასხვა საშუალებით პოპულოდნენ გზას სცენისაკენ, სამაგიეროდ სცენიდან ჩამოსასვლელი გზა ერთნაირი ჰქონდათ — მსურველებს ზურგს აქცევდა მათ. ლევან სანიკიძის პიესას კი თანაგრძნობით შეხვდა მსურველი. ზოგიერთმა ეს იმით ახსნა, რომ „ჭუთათურებში“ ქუთაისელთათვის ძალზე ნაცნობი ამავდროულად გმირებიც არ არიან უცნობნი მათთვის. ეს, მართლაც, ასეა. „ჭუთათურები“ გმირები ქუთაისის ავტოქარხნის მუშები არიან და დრამატურგმა, მართლაც, გამოიყვანა თავის პიესაში მსურველისათვის კარგად ნაცნობი ადამიანები. მაგრამ მართლაც ეს რომ იყოს საერთოდ ლიტერატურული ნაწარმოების გამარჯვების ერთადერთი პირობა, მაშინ ყოველი კეთილსინდისიერად დაწერილი ნარკვევიც კი შედეგრი იქნებოდა მხატ-

დრამატურგი ლევან სანიკიძე



რეჟისორი თამაზ მესხია




გრული შემოქმედებისა. ლევან სანიკი-
ძის პიესას და ქუთათისელთა სპექტაკლს
ამიტომ ხვდა დიდი წარმატება, რომ
დრამატურგმა და თეატრმა რეალური
სინამდვილის დამაჯერებლად ჩვენე-
ბასთან ერთად მიზნად დაისახეს ისეთი
სერიოზული პრობლემის წამოჭრა, რო-
მელიც ჩააფიქრებდა და ააღლევებდა
მაყურებელს. ამიტომ მხოლოდ ფაქტის
რეალურად ასახვამ კი არა, აზრის სიღრ-
მემ და მნიშვნელობამ განაპირობა „ქუ-
თათურების“ გამარჯვება. ამიტომ ამ
ნაწარმოების მხარდაჭერა პრინციპია-
ლური საკითხია, მიუხედავად იმისა,
რომ გარკვეული პრეტენზიები ჩვენცა
გვაქვს პიესისა და სპექტაკლის მიმართ
წმინდა ლიტერატურული და პროფე-
სიული თვალსაზრისით.

„ქუთათურებში“ ძირითადი საკით-
ხია ახალგაზრდა ქართული ქალის,
თანამედროვე ახალგაზრდობის მომავ-
ლის საკითხი, მათი დამოკიდებულება
ოჯახთან, შრომასთან, მათ გვერდით
მყოფ ადამიანებთან და სხვ. ეს შირა-
ლური პრობლემა ავტორმა ისეთ ვითარ-
ებაში წარმოსახა, როდესაც საბოლოო-
ოდ უნდა გადაწყდეს ადამიანის ბედი,
მისი მომავალი. პაპუნა ჯულუბაძის
ოჯახი იმით არის სხვალგანსხვავებული,
რომ ამ ოჯახიდან სამი მამაკაცი მუშა-
ობს ავტოქარხანაში და სამივე საუკეთესო
ოსტატია თვისი საქმისა. პაპუნას-
თან ერთად მისი ორი მოწოდული ვაჟ-
კაციც იღებს მონაწილეობას ქართული
ავტომობილების შექმნის საშვილიშვილო
საქმეში და ამით ამაყობს კიდევ ჯულუ-
ბაძეების ოჯახი. პაპუნა მოწინავე შეხე-
დულებების კაცია და კარგადა აქვს
შეგნებული, რომ მხოლოდ თავდადე-
ბულ, უნებარე შრომას შეუძლია ქვეყ-
ნის აყვავება. ეს კარგად იცის პაპუნამ
და ამიტომ იყო, რომ წამოეზარდნენ
თუ არა ვაჟები, ისინიც თავის კვალზე
დააყენა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს
გაიგო, რომ ერთადერთ ქალიშვილს ნა-
თელასაც, საშუალო სასწავლებლის
დამთავრების შემდეგ, ავტოქარხანაში
მუშაობა გადაუწყვეტია და აი, სათა-
ვეც ოჯახური კონფლიქტისა. ერთის
შეხედვით გასათვარიც კია, რომ პროგ-
რესულად მოაზროვნე ისეთი კაცი, რო-
გორც პაპუნა, უკიდურესად აღშფოთ-
და, როდესაც დარწმუნდა ნათელას გა-
დაწყვეტილების სიმტკიცეში. თითქოს
არ უნდა ყოფილიყო ამაში უცნაური და
მოულოდნელი პაპუნასათვის, რომელ-
მაც თავისი და თავისი ვაჟების ანდენი

ენერჯია შეალია საკუთარ ოჯახად
ქველუ ქარხანას. მაგრამ იგი არც ისე
ვიწრო შესხედულებების კაცია, როგორც
ამ დავის მიხედვით შეიძლება მოგვე-
ჩვენოს. პაპუნას ის კი არ აწუხებს,
რომ ქალიშვილიც მშრომელი ადამიანის
ბედს უნდა ეზიაროს, რომ საკუთარი
შრომით უნდა მოიპოვოს თავისი ადგი-
ლი ცხოვრებაში და სხვისი მოწყალების
შემყურე არ უნდა იყოს მუდამ. პაპუნას
სურს, რომ ნათელამ არ უღალატოს
თავიდანვე არჩეულ გზას და ბოლომდე
დარჩეს ურთგული იმ ოცნებისა, რომე-
ლიც ადრე ჰქონიათ მამა-შვილს. ძვე-
ლი მუშის გუმანიტ ხვდება პაპუნა, რომ
ნათელას ქარხანაში მუშაობა კი არ
იტაცებს, არამედ სულ სხვა რამ, რაც
მისთვის, პაპუნასათვის, უცნობია და
ეს არის, რომ მოსვენებას არ აძლევს
ნათელამ ოქროს მედალზე დათმავრ-
ებულად უმაღლეს სასწავლებელში,
ე. ი. უკვე გარკვეული ჰქონდა მომავალი
გზა და ოჯახიც მომხიბ იყო ნათელას
ამ გადაწყვეტილებისა. ასლა ყველაფერ
ი შეტრიალდა. მამის მოსყვარებელი
და აქამდე დამთმობმა შვილმა უცნაუ-
რი სიჯიუტე გამოიჩინა და აღარ სურს
სიტყვის უკან წაღება. არც პაპუნა, არც
ძმები, არც დედა, არაფერ არ უჭერს
მხარს ნათელას და ამიტომ უფრო და
უფრო მწვავედება მათი ურთიერთობა.
შეძრება პაპუნას დამოკიდებულებაში
ნათელას საქციელის მიმართ ერთგვარი
მოვლელბული შეხედულებების გამოვ-
ლენაც დაინახოთ, მაგრამ დრამატურ-
გის ჩინებულმა ალბომ, რასაც ის იჩენს
გმირის შინაგანი სამყაროს დასატ-
ვის დროს, ამ მომენტშიც იჩინა თავი.
პაპუნა ახალი დროის ადამიანია და
ახალი თვალთაც უყურებს ცხოვრებას.
მან იცის, რომ დასაძრძისი არაფერია
ქალის ფიზიკურ შრომაში. მაგრამ ში-
ნაგანად მაინც წინააღმდეგია ნათელას
ქარხანაში გაშვებისა. მას სულ სხვა
იზრები, სულ სხვა ოცნებები ჰქონდა.
იგი სხვა ცხოვრებისათვის ამზადებდა
ნათელას და ვეღარ შეგუებია ამ ოცნე-
ბების გაქარწყლების აზრს.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა,
ნათელა მაინც წავიდა ქარხანაში. იოსა
საბუთი მოუტანა ნათელამ მშობლებს,
რომ დაერწმუნებინა საკუთარი ნაბიჯის
სისწორეში; რა მიზეზი არ დაასახელა,
რომ გაემართლებინა თავისი სასციელი,
მაგრამ ვერ იქნა დევეც მშობლები
გადამიზრა და ვერც ძმები. ვერ გადაიბი-



პაპუნა — შ. პირველი

რა იმიტომ, რომ ნამდვილი მიზეზი არ
დაასახელა, ვერ გამოუტყდა ახლობელ
ადამიანებსაც კი, რომ ქარხანაში წასვ-
ლას გრძობდა აიძულებს, საყვარელ
ადამიანთან ახლოს ყოფნის სურვილი
და არა რაღაც ზეზუნებრივი მისწრა-
ვება ფოლადის დეტალების დამუშავე-
ბისა. როგორც ვხედავთ, დრამატურგმა
იპოვნა გმირის მოქმედების ადამიანური
ახსნა და ამიტომ თავისი პერსონაჟი
ააკლია ყალბი გზით სიარულს. ამიტომ-
მაა, რომ პაპუნაც, ნათელაც, მირიან

ნათელა — თ. სისხურო






ირინე — ქ. კოხიძელა

ჯიხვადე, გიორგი ამირანიძე და პიესის ზოგიერთი სხვა გმირიც ნამდვილად ცოცხალი ადამიანები არიან და იქცევიან არა ისე, როგორც ეს ავტორს სურს, არამედ ისე, როგორც ეს მათი სახიათის განვითარების ლოგიკიდან, მათი ინდივიდუალური თვისებებიდან გამომდინარეობს. ეს გმირები ახალი და ამავე დროს მენთოვის უკვე ნაცნობი ქართველი ადამიანები არიან. დრამატურგი ახერხებს ახალი ადამიანისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ თვისებებს ოსტატურად შეურწყას

მირიანი — ა. ხვიციანი



